ქართული ხალხური ზღაპრები

შეკრებილი

თედო

რაზიკაშვილის მიერ

საწყალი კაცის ამბავი

იყო და არა იყო რა, იყო ერთი საწყალი კაცი. დადიოდა გზებზე და იძახოდა: ჭკუა მაქვს და სარჩო არაო, ჭკუა მაქვს და სარჩო არაო.

გაიგონა ერთმა სოვდაგარმა და იფიქრა: მოდი ერთი, ორას-სამასი თუმანი ვითომც წყალში გადამიყრია, ავიღებ, მივცემ მაგ კაცს, და, აბა, თუ ჭკუა აქვს, მაშინ გამოჩნდებაო.

სოვდაგარმა დაიბარა ეს გლეხკაცი, მისცა ორასი თუმანი და უთხრა: აი, ახლა სოვდაგრები სავაჭროდ ემზადებიან და შენც უნდა წახვიდე იმათთან და ივაჭროო.

კარგიო, უთხრა საწყალმა კაცმა.

ეს კაცი როდესაც სოვდაგრებთან მივიდა, იმათ დაცინვა დაუწყეს, შენმა მზემ, შენს აღას ერთს ოთხად მოუტანო!.. რამ გააგიჟა ის სოვდაგარი და რამ მიაცემინა ამისთვის ფულიო.

საწყალმა კაცმა ჩაიცინა თავისთვის. სოვდაგრები მალე გაემგზავრნენ სავაჭროდ და თან გაჰყვა ეს საწყალი კაციც. ზღვასთან რომ მივიდნენ, სოვდაგრები ხომალდებში ჩასხდნენ.

ამ საწყალმა კაცმა კი სთქვა, არა, ძმობილებო, მე ზღვას ვერ ვენდობიო.

იყიდა ერთი პატარა ნავი, ჩაიდგა სამი-ოთხი ტომარა ჩამიჩი, ჩაჯდა და კიდის ახლოს დაიწყო ცურვა, თან ჩამიჩს სჭამდა. ერთ მუჭა ჩამიჩს რომ შეჭამდა, მეორეს ზღვაში გადაჰყრიდა. საწყალი კაცის ნავს გარს თევზები ეხვივნენ და გაჩქარებით ჰყლაპავდნენ ტკბილ მარცვლებს. ასე დიდხანს აჭამა მან თევზებს ჩამიჩი: მე რო ვჭამ, სხვებმაც ჭამონო, ამბობდა ის.

ბოლოს თევზებმა სთქვეს, ეგ რო ხმელეთის ნაყოფს გვაჭმევს, მოდით, ჩვენ ზღვის სიმდიდრე გადავუყაროთ, იქნება გამოადგესო.

თევზები ზღვაში დაყურყუმალავდნენ და ცოტა ხნის შემდეგ ამოიტანეს თვალ-მარგალიტი, რომელიც კიდეზე მთასავით ააგეს. საწყალმა კაცმა იფიქრა: ჩემი ამხანაგები რო მოვლენ და ამ სიმდიდრეს ნახავენ, მომკლავენ და წაიღებენ, თუ არაფერი ვიღონეო.

ადგა ეს კაცი, აიღო ნეხვი, გააკეთა ჯამებივით, ჩაყარა შიგ თვალ-მარგალიტი, ზევითაც ნეხვი დააფარა და ისე გაახმო წივად. რაკი ნეხვი გახმა, ამ კაცმა აიღო, ჩააწყო ყუთებში და ოთხი საპალნეც ცარიელი წივა შეჰკრა.

მოვიდნენ სოვდაგრებიც. ზოგს მაუდი ეყიდა, ზოგს ფარჩა, ზოგს რა და ზოგს რა. სოვდაგრებმა რომ ნახეს საწყალი კაცი და იმის წივა, დაუწყეს თავში ცემა: შე ოხერო, თუ შენი თავი არაფრად გეზოგებოდა, აღას ფულებს მაინც გაუფრთხილდებოდი, რად გინდოდა, ნეხვი რო აქედან არ წაიღო, ჩვენ ქალაქში კი ცოტა არისო?!

საწყალმა კაცმა უთხრა, მე ეს მინდოდა და ეს ვიყიდე, თქვენ, რაც გინდოდათ, ის ივაჭრეთო. შეკაზმა აქლემები, ჯორ-ცხენები, აჰკიდა ეს საპალნეები და გაუდგა გზას.

მთაზე სოვდაგრებს თოვლი მოუვიდათ. საწყალმა კაცმა მოჰხადა ორი წივიანი საპალნე, გაახურა ცეცხლი, შემოუმწკრივა ირგვლივ აქლემები, ყუთები და თვითონაც ჩამოჯდა. დაიყინენ სოვდაგრები და დაუწყეს ხვეწნა წივის პატრონს, ერთი ორიოდე საპალნე წივა გვასესხეო.

წივის პატრონმა ციცი უარი სტკიცა, თქვენცა გაქვთ საქონელი, გადმოიღეთ, დაწვით და გათბითო.

სოვდაგრებმა კიდევ დაუწყეს ხვეწნა, აბა, როგორ დავწვათ ეს საქონელი, გვასესხე წივა და ქალაქში თუნდა ერთს ხუთად მოგცემთო.

წივის პატრონმა უთხრა, მაშ კარგი, თქვენ ხელწერილი მომეცით, რომ ჩემგან ისესხეთ ორი საპალნე იმ წივისა, რაც ჩემს აქლემებს ჰკიდია; მე მეტი არ მინდაო.

სოვდაგრებმა სიხარულით მისცეს ხელწერილი და გულში კი ლანძღავდნენ. როდესაც ქალაქს მიუახლოვდნენ, სოვდაგრებმა კაცები გაგზავნეს ქარვასლების დასაქირავებლად. წივის პატრონის აღას კი შეუთვალეს, შენს ჭკვიანს კაცს ნეხვი მოაქვს შენი ორასი თუმნისაო.

აღას საწყალი კაცისაგან წინათვე ჰქონდა ნათქვამი, რომ სანამ შენი თვალით არ ნახო და შენით ყურით არ გაიგონო, ნუ დაიჯერებ, თუ ჩემზე რამე გითხრან,—ცილისწამება იქნებაო.

საწყალმა კაცმა გამოუგზავნა აღას კაცი და შემოუთვალა, რაც კარგი ქარვასლა არის ქალაქში, ის დაიქირავეო.

დაიქირავა საწყალი კაცის აღამ ერთი დიდი ქარვასლა და მოლოდინი დაუწყო თავის მოვაჭრეს. მალე მოაყენა საწყალმა კაცმა წივით დატვირთული აქლემები ქარვასლას და კაცებს უბრძანა ჩამოეხადნათ საპალნეები. აღამ ნახა, რომ იმის „ჭკვიანს“ მართლა წივა მოუტანია, და გული დასწყდა, მაგრამ მაინც რაღაცას ელოდა და არაფერს ამბობდა.

როდესაც დაღამდა, აღამ ეს კაცი სახლში წაიყვანა: წავიდეთ, პური ვჭამოთ, დაისვენე და მიამბე, რა გაჭყიდე, რა იყიდეო. საწყალმა კაცმა ორი ნაჭერი წივა აიღო, გაახვია ერთ ხელსახოცში და წავიდნენ.

როდესაც ვახშამზე დასხდნენ და აღა სანთლისთვის გავიდა, საწყალმა კაცმა ერთი წივა გადატეხა და თვალ-მარგალიტი კი გაბდღვინდა. სახლი მზესავით განათდა. გამოვიდა აღა და გაკვირვებულს თვალები დაჭყეტილი დარჩა. საწყალმა კაცმა უთხრა: აი, ეს მოვიტანე და იმ სოვდაგრებს

ამ წივისა ორი საპალნე მართებთ, წავიდეთ, ხელმწიფესთან ვუჩივლოთ და წავართვათო.

მართლაც, გასწიეს ხელმწიფესთან; საჩუქრად მიართვეს, ერთ წივაში რაც თვალ-მარგალიტი იყო. საწყალმა კაცმა იჩივლა, მე და ის სოვდაგრები ერთად ვმგზავრობდით, გზაზე თოვლმა მოგვასწრო, იმათ ჩემგან ორი საპალნე წივა ისესხეს, ხელწერილიც მომცეს და ახლა კი აღარაფერს მაძლევენო.

ხელმწიფემ მაშინვე დაიბარა სოვდაგრები და უთხრა, ამ კაცისაგან ორი საპალნე წივა გისესხებიათ, ხელწერილიც მიგიციათ და ახლა კი აღარ აძლევთო.

სოვდაგრებმა გაიცინეს და ხელმწიფეს მოახსენეს, მაგ საწყალს ჩივილი რად უნდოდა, ნეხვს თუნდა ერთს ხუთად მივცემთო.

ეს ნეხვს კი არა, ამისთანა წივასა გთხოვთო, უთხრა ხელმწიფემ და აჩვენა თვალ-მარგალიტით სავსე წივა.

სოვდაგრებმა უარი სთქვეს, ჩვენ მაგისთანა წივა არ გამოგვირთმევია, მაგას ეგ ერთი წივა ჰქონია თვალ-მარგალიტით სავსე და ახლა სურს, ჩვენ ორი საპალნე მივცეთო.

საწყალმა კაცმა ხელმწიფეს მოახსენა:

დიდებულო ხელმწიფევ, კაცები გამომაყოლე, ყველა წივას სათითაოდ დავამტვრევთ, სოვდაგრებიც იქ იქნებიან, და თუ ყველაში თვალ-მარგალიტია, ხომ უნდა გადამიხადონ, თუ არ არის, მე თავი მომჭერითო.

ხელმწიფემ კაცი გააყოლა. სათითაოდ დაამტვრიეს ყველა წივა, ყველა თვალ-მარგალიტით იყო სავსე. რაღას იზამდნენ სოვდაგრები? მათი სარჩო-საბადებელი ნახევარი საპალნე წივის ფასიც არ გამოვიდა და ამ საწყალმა კაცმა ეს სოვდაგრებიც მონებად წაიყვანა.

ფისასოს ზღაპარი

იყო და არა იყო რა, იყო ერთი დიდებული ხელმწიფე, ჰყავდა სამი ვაჟი და სამი ქალი.

როდესაც ხელმწიფე კვდებოდა, შვილებს უანდერძა: შვილებო, ეს მთელი ჩემი სახელმწიფო თქვენთვის დამილოცნია; როგორც გსურდეთ, ისე მოუარეთ. მაგ სამს ცოდვის შვილს კი ნუ გამიუბედურებთ,—ვინც პირველმა გთხოვოთ, იმას მიეცითო.

ამასთანავე უმცროსს შვილს მისცა ერთი თვალი და უთხრა, რომ უბედურების დროს დაგიხსნისო. შვილებს აჩვენა ერთი შავი მთა და უთხრა: იმ მთაზე ნუ წახვალთ წითელსი და თეთრ მთაზე კი შეგიძლიათ ნადირობაო.

მოკვდა ხელმწიფე. დამარხეს, როგორც ხელმწიფეს შეეფერებოდა, და იგლოვეს.

გავიდა ორი თვე. ერთ დღეს, კარებზე რომ დიდი ქვა იდო, იმაზე ბუ შემოჯდა. ძმებს კაცი შეუგზავნა და სთხოვა და ცოლად.

ძმებმა, უფროსმა და შუალამ, კეტებს მოავლეს ხელი, წაეთრიოს იქვე, საიდანაც მოთრეული, ჩვენს დას ბუს როგორ მივცემთო.

უმცროსმა ძმამ კი მოავლო უფროსს დას ხელი: მამის ანდერძს ვერ გავტეხო, და მისცა ბუს.

ბუმ შეისვა მხრებზე ქალი და გაუდგა გზას.

მეორე დღეს მოვიდა მგელი. უფროსმა ძმებმა ისეთივე პასუხი მისცეს, როგორც ბუს. უმცროსმა კი გამოუყვანა და და მისცა.

სიტყვა რაღა გავაგრძელოთ, მესამე დღეს შავარდენი მოფრინდა და უმცროსმა ძმამ უმცროსი და მისცა. შავარდენმა შეისვა ქალი და ღრუბლებში აფრინდა.

რაკი დები გაათხოვა, უმცროსმა ვაჟმა იფიქრა, მამის ეს ერთი ანდერძი ხომ არ გავტეხე, მოდი და ერთი იმ შავ მთაზე კი წავალ და ვნახავ, რა არის იქ ისეთი, რომ კაცის მავნებელი იყოსო.

მართლაც ადგა, ჩაიცვა ჯაჭვი, აისხა აბჯარი, შეჯდა ცხენზე და გასწია სანადიროდ. მთელი დღე ინადირა შავ მთაზე, ვერსად სულიერი და ვერსად მცენარე ვერა ნახა, ვერც ვერაფერი მოკლა. იმ ღამეს იქ დადგა.

მეორე დღეს იარა კიდევ და ბოლოს ერთი ტბა ნახა. შუა ტბაში ერთი ბატი დაცურავდა. კაცს ეგონებოდა, ან ფეხები ექნება დამტვრეული და ან მხრებიო.

ვაჟმა იფიქრა, რადგან სხვა ვერაფერი მოვკალ, ვეცდები, ეს ბატი მაინც მოვკლა, თორემ შიმშილი ყელს ამომწვავსო. ვაჟმა ტბას მიაშურა და ბატს თოფის სროლა დაუწყო, მაგრამ ვერ მოარტყა. თოფის გასროლაზე ის ჩაყურყუმელავდებოდა, აქა და იქ, შორს სადმე აღმოჩნდებოდა. ვაჟმა იმდენი ესროლა, რომ ტყვია-წამალი სულ გაუთავდა, მაგრამ მაინც ვერ მოარტყა. ბოლოს შეჯდა ცხენზე და გამოუდგა ცხენდაცხენ დასაჭერად, მაგრამ ბატი ისე ეშმაკურად დაცურავდა, რომ ეშმაკიც ვერ დაიჭერდა: ხან წინ გაუცურდებოდა ცხენს, ხან უკან მოექცეოდა, ხან ფეხქვეშ, ხან შორს გაუცურდებოდა. ბოლოს ბატმა ვაჟი ტბაში კარ-

ვა შორს შეიტყუა. უცებ ცხენი და კაცი ჩაიღუპა ტბაში. რაღაც განგებით ვაჟი უკან გამოცურდა, მაგრამ ცხენი და აბჯარი სულ იქ დარჩა. ტბიდან ვაჟი გაწუწული და მშიერი გამოვიდა. ის იყო ღამდებოდა კიდევაც. შორს, სადღაც ტყეში ცეცხლი გამოჩნდა. ვაჟმა გასწია ცეცხლის შუქზე.

იარა, იარა და ბოლოს ბუების სოფელში მივიდა. ბუები ხნავდნენ და თესავდნენ. ვაჟი მივიდა იმათთან და მიესალმა:

— გამარჯობათ, ბუებო, ბუს ქვეყნისანო! ან სალამი, ან გამარჯვება არ იცით? ან ბატონი არა გყავთ?

ბუები კაცები ყოფილიყვნენ, მაგრამ ბუების ტყავები კი ეცვათ.

— გამარჯვებაც ვიცით და ბატონიც გვყავს! — უპასუხეს ბუებმა.— ჩვენმა ბატონმა ახლა ამომავალი ხელმწიფის ქალი მოიყვანა და ყველანი გახარებულნი ვართ!

— აბა ერთი მაჩვენეთ, სად არის თქვენი ბატონის სახლი, — უთხრა ვაჟმა.

ერთი დიდი ლამაზი სახლი უჩვენეს. ვაჟმა გასწია მეფის სახლისაკენ და შორიდანვე იცნო თავისი უფროსი და. და ჩამოეგება ძმას, გადაეხვია და კოცნა დაუწყო. დასხდნენ ტკბილად და ერთმანეთს ამბავი გამოჰკითხეს.

საღამო რომ მოახლოვდა, დამ უთხრა ძმას: ძმაო, ახლა შენ სხვა ოთახში უნდა გახვიდე. ბუთ ბატონი რომ მოვიდეს, ვაითუ ან კლანჭი გამოგკრას და ან ნისკარტიო.

საღამოზე მოვიდა ბუ. გადიძრო ბუს ტყავი და გამოჩნდა მშვენიერი ვაჟკაცი. ცოლს რომ მიესალმა, უთხრა, სულიერის სუნი მომდისო!

შენ იფრინე ქვეყანაზე, შენ მოგყვებოდა კაცის სუნი, აქ სხვას რა უნდოდაო, უთხრა ცოლმა.

შემდეგ ცოლმა ჰკითხა:

— ახლა რომ აქ ჩემი ძმა იყოს, რას უზამ?

— უფროსს და შუალა ძმას თვალებს გამოვჩიჩქნი, უმცროსს კი გადავეხვევი და ვაკოცებ.

— აქ არის ჩემი ძმა,—უთხრა ცოლმა და გამოუჩინა უმცროსი ძმა.

ბუ გადაეხვია თავის პატარა ცოლისძმას და კოცნა დაუწყო, ბოლოს მოსვლის მიზეზი გამოჰკითხა. ვაჟმაც ყველაფერი უამბო, რაც დაემართა. ბუმ უთხრა:

— მე სამი წელი ვდიე იმ ბატს,—ის ბატი ქალია,—მაგრამ ხელთ ვერ ვიგდე და აბა, შენ რას დაიჭერდი?

— მაშ ვერაფერს გავხდები?—ჰკითხა ვაჟმა.

— მე ვერაფერს გიშველი,—უთხრა ბუმ,—და იქნება მგელი დაგეხმაროს.

ვაჟი მგელთან მივიდა. მგელმაც უთხრა, ორი წელი ვცდილობდი იმის დაჭერას, მაგრამ ვერაფერს გავხდი. იქნება შავარდენი დაგეხმაროსო.

ვაჟი წავიდა შავარდენთან. შავარდენმაც დიდი სიხარულით მიიღო. როდესაც ცოლისძმამ უამბო თავისი თავგადასავალი, შავარდენმა უთხრა, მაგ ბატს ტყუილად სდევ; ეგ ბატი მზეთუნახავია და ბატის ტყავით დაცურავს. მე ერთი წელიწადი ვდევდი მაგ ბატს; ცაზე ავიდოდი, იქიდან დავიხუვლებდი, მაგრამ ბატი, როგორც კი დაინახავდა მხრის შენძრევას, ტბაში ძირს ჩაცურდებოდა. იმას ვერავინ დაიჭერს. ერთი დევია, მას ცალი გვერდი გამხმარი აქვს და ცალი საღი. თუ ეცოდინება, იმას ეცოდინება იმის გარემოებაო.

ვაჟი მაშინვე წავიდა იმ დევთან. ბევრი სიარულის შემდეგ, დაინახა, რომ ერთ გორაზე ხესავით უზარმაზარი კაცი აყუდებულა. ვაჟმა მოუარა დევს გამხმარი გვერდიდან და უთხრა:

— გამარჯობა, მამავ!

— აქეთ მოდი,—უთხრა დევმა,—მამობა რომ არ გეთქვა, შენი საქმე ცუდად იქნებოდა. რა გაგიჭირდა, რომ ჩემთან გაბედე მოსვლა?

ვაჟმა უამბო თავის თავგადასავალი.

დევმა უთხრა:

— მე დევების ხელმწიფე ვიყავ. რვა ცოლი მყავდა, მაგრამ, რადგანაც ეგ ბატი ლამაზი ქალი იყო, მაგის მოტა

ცებაც მოვინდომე. აქედან იმის სახლი კარგა დიდ მანძილზეა; ღამე ტბიდან სახლში ბრუნდება. მივედი იმის სახლში და დავიმალე. მინდოდა მოტაცება, მაგრამ გამიგო; ამიტეხა ქარი და სეტყვა, გამოვექეცი. ის იყო იმის საზღვარს უნდა გადმოვსულიყავი, ერთი ფეხი ჩემს მიწაზე მედგა, რომ დამკრა ქარი და გამაქვავა. ახლა ვინც იმ ქალთან მივა, თუ სტუმრულად არის, ქალი არაფერს ეტყვის; ვისაც იმისი ცოლად შერთვა უნდა, მან სამი სიტყვა უნდა ათქმევინოს და იმას გაჰყვება ცოლად; თუ ვერ ათქმევინა, თავს მოსჭრის. ნეტავი მე კი გავექვავებინე და ჩემს მიწაზე ფეხი არ გადმომედგა, რომ ტანჯვას მოვრჩენილიყავი!

ვაჟმა მადლობა გადაუხადა და გზას გაუდგა.

იარა, იარა და მივიდა იმ ქალის სახლში. შევიდა და წამოწვა ტახტზე იმედით, რამდენი ზღაპარი და ლექსი ვიცი, განა ვერ ვათქმევინებ რასმეო.

საღამოზე მოვიდა ქალი და დაწვა ვაჟის პირდაპირ. ქალი ისეთი ლამაზი იყო, რომ ვაჟს სულ დაავიწყდა, თუ სადმე ან გაეგონა, ან ენახა რამე.

მიდიოდა დრო და ვაჟი მაინც ვერაფერს ამბობდა. ბოლოს ვაჟმა სთქვა გულში: ეს ღამე მიდის და ხვალ თავს მომჭრიან, თუ არაფერი მოვიგონეო.

ამ დროს ვაჟს მოაგონდა მამის მიცემული თვალი და სთქვა, რაღა ოხრად მინდა ან თვალი და ან სხვა რამე, თუკი ახლა ვერაფერს მიშველისო.

ამოიღო თვალი და უთხრა, აბა, ახლა მიშველეო!

ქალს ფეხებთან სანთელი ედგა. ვაჟმა თვალი სანთელთან დადო. თვალმა უთხრა სანთელს:

— ფისასო, ხომ ხედავ, ჩვენი ბატონები შეწუხებულები არიან, მოდი ზღაპარი ვთქვათ და შევაქციოთ.

— რა ვთქვათ?—უთხრა სანთელმა,—საღამოზე ამანთეს, თავზე ცეცხლი მიკიდია, დილამდე დავდნები.

— მაშ კარგი,—უთხრა თვალმა,—მე გეტყვი.

თვალმა დაიწყო:

— ერთი მღვდელი, ერთი თერძი და ერთი დურგალი

შიდიოდნენ. გზაზე ერთ ტყეში დაუღამდათ, დაანთეს ცეცხლი და დადგნენ. როდესაც დასაძინებლად მოემზადნენ, სთქვეს, მხეცმა რომ არაფერი გვავნოს, ვიყარაულოთო.

წილი ჰყარეს. პირველად დარაჯობა დურგალს შეხვდა. როდესაც მღვდელსა და მკერავს დაეძინათ, დურგალმა, რომ არ დასძინებოდა, ამოიღო თავის იარაღები, გააკეთა ერთი მშვენიერი ხის ქალი და მიაყუდა ხეზე.

როდესაც დურგლის ვადა გავიდა, დარაჯობა თერძმა დაიწყო. მან ხეზე აყუდებული ხის ქალი დაინახა. რომ არ დასძინებოდა, ამოიღო თავისი იარაღები და შეუკერა მშვენიერი ტანსაცმელი, შემოსა დედოფალივით და ხეზე მიაყუდა.

დარაჯობა მღვდელს ერგო. მღვდელმა ხეზე მიყუდებული ქალი დაინახა, იფიქრა: ეშმაკი თუ არისო და დაუძახა: ვინ ხარ, ეშმაკი თუ კაცო.

ქალი ხმას არ სცემდა.

— შე წყეულო, ვინა ხარ?—გაუმეორა მღვდელმა.

ქალმა პასუხი არ გასცა.

მღვდელი გულადი იყო. მივიდა, მოჰკიდა ხელი, ცეცხლში ჩაგდება უნდოდა, მაგრამ ხელში ხის ქალი შერჩა. მღვდელი მაშინვე მიხვდა, რაშიაც იყო საქმე. ამოიღო ჯვარსახარება და დაიწყო ლოცვა. ილოცა დიდხანს და ქალი გააცოცხლა.

— ახლა, ფისასო, ვის ეკუთვნის ის ქალი,—ჰკითხა თვალმა,—დურგალს, თერძს, თუ მღვდელს?

— მე რა ვიცი, თავზე ცეცხლი მიკიდია, დილამდე გავთავდები,—უპასუხა სანთელმა,—მე რა იმის ჯავრი მაქვს!

ამ დროს წამოიწია ქალმა და გაჯავრებულმა უთხრა სანთელს, შე წყეულო, ისე იქცევი, თითქოს ჯერ ჩემთან არა ჰყოფილიყო! უთხარ, რომ იმას, ვინც წინ-წინ შეუდგა საქმეს. დურგალს რომ არ დაეწყო, ან თერძი ვის რას ჩაიცმევდა და ან მღვდელი ვის ჩაუდგამდა სულსაო...

ეს ერთიო, სთქვა ვაჟმა.

— აბა, ფისასო, ახლა შენი ჯერია!—უთხრა თვალმა სანთელს.

— რა ზღაპრისა მცხელა?—უპასუხა სანთელმა,—თავზე ცეცხლი მიკიდია, დილამდის გავთავდები.

— მაშ, ისევ მე გეტყვი.—სთქვა თვალმა და დაიწყო: —გზაზე სამი კაცი მიდიოდა: ფეხმარდი, გულთმისანი და აქიმი. ფეხმარდს სარბენად გული ერჩოდა, გულთმისანს უთხრა: თუ ძმა ხარ, ერთი ჩაიხედე საწუთროს ჯამში, იქნება ვინმე იყოს ავად, ეს აქიმი წამალს მოამზადებს, მე გავაქცევ და მოვარჩენთო.

გულთმისანმა ჩაიხედა ჯამში და სთქვა, ერთ ქვეყანაში ხელმწიფის შვილი კვდება და ის შეგვიძლია მოვარჩინოთო.

აქიმმა მაშინვე მოამზადა წამალი, ფეხმარდმა ფეხებიდან დოლაბები მოიყრეინა და ხელმწიფისაკენ მოუსვა. მიუტანა წამალი და მოარჩინა ხელმწიფის შვილი! ახლა შენ მითხარ, ფისასო, ვინ მოარჩინა ის ხელმწიფის შვილი?

— მე რა ვიცი,—უპასუხა ფისასომ,—ხომ მხედავ, მე ჩემი დარდი მაქვს, ვიწვები.

— შე წყეულო, უთხარ, რომ იმან, ვინც წამალი მიუტანა,—დაუძახა გაჯავრებულმა ქალმა სანთელს.

ეს მეორეო, სთქვა ვაჟმა.

— აბა, ახლა შენა სთქვი, ფისასო,—მიუბრუნდა თვალი სანთელს,—სულ მე ვლაპარაკობ და შენ კი არაფერს ამბობ.

— რა ლაპარაკისა მცხელა,—უპასუხა სანთელმა.—თავზე ცეცხლი მიკიდია, დილამდის ჩამოვდნები.

— მაშ, უკაცრავად ნუ ვიქნები,—სთქვა თვალმა,—და ერთს კიდევ ვიტყვი.

დაიწყო:

— გზაზე ერთი კაცი მიდიოდა ცოლითა და ცოლისძმით. გზაზე ყაჩაღები დახვდნენ, გაძარცვეს, დასჭრეს თავები კაცებს და დაყარეს. ქალი ცალკე ქმარზე ტიროდა, ცალკე ძმაზე. ღმერთს შეესმა ქალის ტირილი და გამოგზავნა ორი ანგელოზი: წადით, უშველეთ რამეო.

ანგელოზები მოფრინდნენ, დასხდნენ მტრედებივით მკვდრების ახლომდგომ ხეზე, ჩააგდეს ერთი შტო და სთქვეს:

შაგ ქალს რომ ესმოდეს და იმ შტოს მკვდრებს წაუსვამდეს, ხომ გაუცოცხლდებოდნენო.

ქალმა აიღო ეს შტო და მოუსვა მკვდრებს. მკვდრები გაცოცხლდნენ, მაგრამ, საუბედუროდ, ქმრის თავი ძმას მოება და ძმისა ქმარს.

— ახლა შენ მითხარ, ფისასო, ვის უნდა დარჩეს ის ქალი?

— მე რა იმათი ჯავრი მაქვს,—უპასუხა ფისასომ,— ხომ ხედავ, გავთავდი. თავზე ცეცხლი მეკიდება და გონი შერევა!

— აი, შე წყეულო,—უთხრა ქალმა და ადგა,—განა შენ ჩემ ხელში არა ჰყოფილხარ, რომ ვერაფერს ეუბნები? უთხარ, რომ იმის ცოლი იქნება, ვის ტანზედაც ქმრის თავია შიბმული.

ესეკ მესამეო, დაიძახა ვაჟმა, შენ ჩემი ცოლი იქნებიო, და ქალს მოეხვია.

გადაიხადეს ქორწილი და ზღაპარიც აქა თავდება.

მარგალიტის ცრემლი

იყო და არა იყო რა, იყო ორი ძმა. ძმები ერთად ცხოვრობდნენ. ორივენი ცოლიანები იყვნენ, მაგრამ ერთს შვილები ჰყავდა, მეორე კი უშვილო იყო.

კარგახანს ცხოვრობდნენ ერთად უშფოთველად და ტკბილად. მაგრამ ამ ერთ ძმას წამოეზარდნენ შვილები. და აი, შედის ცოლი ქმართან და ეუბნება, შენ ძმას უნდა გაეყარო, დაბერდა, რაღას გვარგიაო.

ქმარი გაუჯავრდა ცოლს. რას ამბობ, დედაკაცო, დაბერდნენ, ახლა სადღა წავლენ; სანამ ახალგაზრდები იყვნენ, ჩვენთვის და ჩვენი შვილებისათვის შრომობდნენ, მაშინ არ ვერეკებოდით და ახლა გინდა მაგათი მოშორება, როდესაც ჩვენი საცხოვრებელნი გახდნენო.

არ იქნება და არა, თუ არ გაეყრები ძმას, მე წავალ და წყალში თავს დავიხრჩობო.

რაღას იზამდა საწყალი კაცი, წავიდა და უთხრა ძმას.

უშვილო ძმა ძლიერ დაღონდა და უთხრა, რად უნდა

გამაგდო, ძმაო, ამ სიბერე-სიკვდილის დროს. შენი ძმა ვარ, ცოდვად დაგეედება. თუ იმასა ჰფიქრობ, რომ შეგიჭამ რასმე, ჩემი წილი მე კი არა, მთელ ოჯახს ეყოფა; შვილები არა მყავს, ჩემ წილს განა სამარეში წავიღებ, შენს შვილებს არ დაეუგდებო?

რა ვქნა, უთხრა ძმამ, შენი რძალი მაგაზეა დამდგარი: თავს მოვიკლავო, ამბობს, თორემ მე ხომ იცი, არ შესიამოვნება შენი მოშორებაო.

რაღას იზამდა უშვილო ძმა? წავიდა, უთხრა ცოლს და მეორე დღეს გაუდგნენ გზას უარარაოდ.

იარეს, იარეს და მივიდნენ ერთ ტყეში. ეძებეს თავშესაფარი, მაგრამ გავიდა ორი-სამი დღე და ვერსად იპოვეს.

მესამე დღეს ერთი სახლი ნახეს; შიგ არავინ იყო, ღვინო და პური კი რამდენიმე წლის საკმაო იყო. ბერიკაცი თავისი ცოლით შევიდა ამ სახლში, დადგა შიგ და სთქვა: პატრონი დევი მოვიდეს, დაგვხოცოს და ტანჯვას მოგვარჩინოსო.

გავიდა თვეები, მაგრამ პატრონი არავინ გამოჩენილა. კაცმა და დედაკაცმა დაიწყეს - ცხოვრება ახალ სახლში და ახალ ქვეყანაში. ბერიკაცი და დედაკაცი ტკბილად ცხოვრობდნენ, მაგრამ ზოგჯერ კი ჩივილს დაიწყებდნენ ხოლმე, ვინ დაგვმარხავს, ვინ დაგვიხუჭავს თვალებს, რომ დავიხოცებითო.

გავიდა რამოდენიმე თვე. ერთხელ ამ დედაკაცმა იგრძნო, რომ ფეხმძიმედ იყო. დედაკაცი დაღონდა, ტირილითა და ქვითინით წავიდა ქმართან. ქმარმა რაკი მტირალი ცოლი დაინახა, ტირილის მიზეზი ჰკითხა.

ცოლმა უთხრა:

— შენც ხომ იცი, შენთან ვარ დაბერებული, შენი მოღალატე არ ვყოფილვარ! თუ ეჭვს რასშეს აიღებ, ვიზე იფიქრებ, ვინ არის აქ? ან რაღა ჩემი შვილოსნობის დრო არის? მაგრამ ეს მატირებს, რომ ახლა დავორსულდი!

ნუ იჯავრებ, უთხრა ქმარმა, აბა, ჩვენ ხომ ვერ [უარვყოფთ, რაც არისო.

მართლაც მოკლე ხანში გაუჩნდა მოხუც დედაკაცს მშვენიერი ქალი. მოხუცებულებმა დაუწყეს ზრდა...

ქალი რომ მონათლეს, ჰკითხეს ნათლიებს, რას დაანათლებთო.

ერთმა უთხრა: დეე, ჩემმა ნათლულმა რომ იტიროს, ცრემლად მარგალიტი აფრქვიოსო.

მეორემ სთქვა: როდესაც გაიცინებს, ისეთი ვარდი და ია გადმოუვიდეს პირიდან, რომ სიკვდილად მისული გამოაბრუნოს იმათ სუნმაო.

მაშ მე ისეთს ყელზე ჩამოსაკიდ კრიალოსანს დავანათლებ, რომ სანამ ის ედება ყელზე, იცოცხლოს და როდესაც მოიხსნის, მოკვდესო, სთქვა მესამემ.

მოხუცებულები გაკვირვებულნი და გახარებულნი დარჩნენ.

ერთხელ ბავშვმა რაღაზედაც იტირა და გადმოშალა მარგალიტი. ბერიკაცმა აკრიფა, წაიღო ქალაქში. ქალს უყიდა ტანისამოსიც, საგებ-სახურავიც და ქალის სხვადასხვა მორთულობაც. ამრიგად, როდესაც ქალი რამეზე იტირებდა, ცრემლად მარგალიტი სცვიოდა.

გამდიდრდა ბერიკაცი. ქალს მშვენიერი სახლი აუშენა. დრო გავიდა. ქალი გაიზარდა, თოთხმეტ-თხუთმეტი წლისა მოიყარა. ისეთი ლამაზი იყო, რომ იმის მნახველს წუთისოფელი დაავიწყდებოდა.

* * *

ერთხელ ამ ქვეყნის ხელმწიფის შვილი სანადიროდ წამოსულიყო იმ ტყეში, სადაც ბერიკაცის სახლი იყო. მას თან წამოეყვანა ვეზირიც.

მთელი დღე ინადირა ხელმწიფის შვილმა, ვერაფერი მოკლა, ერთი ხოხობის მეტი.

საღამოზე ვეზირს უთხრა, თქვენ წადით, ეს ხოხობი სადმე შემიწვით, ამაღამ აქ უნდა დავრჩეთ, ხვალ თუ არაფერი მოვკალ, სირცხვილით ქალაქში როგორ დავბრუნდებიო.

ვეზირმა წაიღო ხოხობი და ბერიკაცის სახლში მივიდა. ბერიკაცმა დიდი სიამოვნებით მიიღო ხელმწიფის შვილის ვეზირი, კარგად გაუმასპინძლდა და ჰკითხა, თუ ამხანაგები გყავდნენ, რატომ ისინიც არ მოვიდნენო.

ვეზირმა უთხრა:

მე ხელმწიფის შვილის ვეზირი ვარ და ეს ხოხობი მას უნდა შევუწვაო.

ბერიკაცს უნდოდა ხოხობის გამორთმევა და შეწვა, მაგრამ ვეზირმა უთხრა, მე თვითონ უნდა შევწვაო.

გააჩაღეს ცეცხლი. ვეზირმა ხოხობი შამფურზე ააგო და დაუწყო წვა. ამ დროს ბერიკაცის ქალიც შემოვიდა. ვეზირს თვალები ქალზე დარჩა. ქალი იდგა, ვეზირი იმას შესცქეროდა და ხოხობი ნახევრად დაიწვა.

წამოუღო ნახევრად დამწვარი ხოხობი თავის ხელმწიფის შვილს.

ხელმწიფის შვილმა ჰკითხა, რა გიქნია, რაზე დაგიწვავს ეს ხოხობიო.

ბატონიშვილო, რა მექნა, ბერიკაცი მშვენივრად გამიმასპინძლდა, მთხოვა, თქვენი ბატონიც აქ მობრძანდეს, ხოხობსაც აქ შეუწვავთო, მაგრამ მე არ დავთანხმდი. მინდოდა მე თვითონ შემეწვა; დავიწყე კიდევაც შეწვა, მაგრამ იმ ბერიკაცს ერთი ქალი ჰყოლია, გამოვიდა ის, მე თვალი ველარ მოვაშორე და, აი, ხოხობიც დამეწვაო.

ხელმწიფის შვილი ნაზირ-ვეზირით წავიდა ბერიკაცთან. ბერიკაცი ძლიერ გულგახსნით დაუხვდა ხელმწიფის შვილს და, რაც რამ ჰქონდა, ყველაფერი მიართვა.

როდესაც ვახშამზე სხდებოდნენ, ბერიკაცმა წყალი ჩამოატარა სტუმრების ხელის დასაბანად. როდესაც ხელმწიფის შვილთან მიიტანა, მან უარი უთხრა, უფროსს კაცს ხელებს როგორ დაგაბანინებთ, უმცროსი ვინმე გეყოლებათ, ხელები იმან დაგვაბანინოსო.

ხელმწიფის შვილს უნდოდა, რომ ბერიკაცის ქალს დაებანინა ხელები.

წყალი ახლა ბერიკაცის ცოლმა ჩამოატარა, მაგრამ ხელმწიფის შვილმა არც იმას დაასხმევინა წყალი.

ბოლოს ქალს დაუძახეს. გამოვიდა ქალი ლიტრით და ხელმწიფის შვილსაც, იმის მნახველს, გული წაუვიდა. ქალს ხელმწიფის შვილის ამგვარ საქციელზე გაეცინა, პირიდან ვარდი და ია გამოუვიდა. ამ ვარდითა და იით მოაბრუნეს ხელმწიფის შვილი და დასხდნენ ვახშამზე.

ვახშმის შემდეგ ხელმწიფის შვილმა ბერიკაცს ქალი სთხოვა ცოლად.

ბერიკაცმა მოახსენა: ბატონიშვილო, ჩვენ თქვენი ღირსნი არა ვართ და თუკი გვიკადრებთ და ჩვენს ქალს ცოლად შეირთავთ, თქვენზე უკეთესს ვის ვიპოვითო.

გახარებული ხელმწიფის შვილი იმ ღამესვე დაინიშნა ქალზე და მეორე დღეს გასწია ქალაქში, დედ-მამის სახარებლად.

მშობლებმაც საწინააღმდეგო არაფერი უთხრეს, თუ შენ მოგეწონა, შვილო, ჩვენ მეტი არაფერი არ გვინდაო.

ხელმწიფის შვილს ერთი ავი გამზრდელი ჰყავდა. იმ გამზრდელს ერთი ნაბუშარი ქალი ჰყავდა და უნდოდა როგორმე გაეთხოვებინა ხელმწიფის შვილზე.

ხელმწიფის შვილმა საცოლეს მოსაყვანად ის გამზრდელი გაგზავნა და თან ნაზირ-ვეზირები გააყოლა. გამზრდელმა ეტლში თავისი ყორანივით შავი ქალი დამალა და გასწია ხელმწიფის შვილის საცოლესთან...

მივიდნენ ბერიკაცის სახლში, წამოიყვანეს ქალი და წამოვიდნენ.

გამზრდელმა გზაზე ეტლში ჩუმად ჩაიდგა ორი ლიტრა წყალი. ქალს ისეთი საჭმელი აჭამა, რომ ქალმა წყურვილით კვდომა დაიწყო. შეევედრა გამზრდელს, წყალი დამალევინეო.

მაგრამ გამზრდელი გაუჯავრდა, აქ წყალს რა უნდა, ერთ უღრან ტყეში ვართო.

ქალმა კიდევ სთხოვა გამზრდელს.

თუ ერთ თვალს გამოითხრი და მომცემ, უთხრა გამზრდელმა ხელმწიფის შვილის საცოლეს, წყალს დაგალევინებო.

გამომითხარე, უთხრა ქალმა, ოღონდ წყალი კი დამალევინეო.

გამზრდელმა ერთი ლიტრა წყალი მისცა და სამაგიეროდ ერთი თვალი გამოსთხარა და შეინახა. ქალმა მთელი ლიტრა დაცალა, მაგრამ მალე ისევ მოსწყურდა. ქალმა კიდევ სთხოვა წყალი. გამზრდელმა მეორე თვალიც გამოსთხარა და მისცა მეორე ლიტრაც.

გამზრდელმა ნაზირ-ვეზირებს უბრძანა, წინ წადით, ქალი უნდა დავასვენოთო.

ნაზირ-ვეზირები წავიდნენ. ჩამოვიდა გამზრდელი გადმოათრია ბრმა ქალი, გახადა ტანისამოსი, მიიყვანა ერთ ხესთან და იქ დატოვა. იმისი ტანისამოსი ჩააცვა თავის ქალს, მოისვა გვერდზე და მიიყვანა სასახლეში.

ხელმწიფის შვილს საცოლეს მოლოდინში ქორწილი გაემართა. დაეპატიჟა სტუმრები.

მაგრამ აი, მოუყვანეს ერთი ვიღაც საძაგელი გომბიო. ბერიკაცის ქალის მნახველს, ხელმწიფის შვილს, აბა, რას მოეწონებოდა ვიღაც ყორანივით შავი ქალი.

მაშინვე უთხრა გამზრდელს, რა უყავი ჩემი ცოლი, ეს ის არ არის, სად დაღუპეო.

დიდებულო ბატონო, უთხრა გამზრდელმა, ეს ქალი გახლავს თქვენი საცოლე. დედ-მამასთან გამოთხოვების დროს ბევრი იტირა და ფერი შეეცვალაო.

ხელმწიფის შვილი მაინც ვერ დააჯერა და ვერ მიაკარეს ახლოს გამზრდელის ქალს. ცოლი ცალკე ცხოვრობდა, ქმარი ცალკე.

ახლა იმ ბრმა ქალს დავუბრუნდეთ, თვალებდათხრილი რომ დატოვა ხესთან ხელმწიფის შვილის გამზრდელმა.

უშტრად დარჩენილი, სინათლესმოკლებული ქალი იდგა ხესთან და ტიროდა. ჩამოსდიოდა ცრემლი, იყინებოდა მარგალიტად და ქალი იმალებოდა მარგალიტში.

ბოლოს მარგალიტი მკერდამდე მიადგა და წელქვევით ერთიან დამალა.

* * *

იმ ტყის ახლოს, სადაც ქალი დატოვა გამზრდელმა, ერთი ქალაქი იყო. იმ ქალაქში ერთი საწყალი ბერიკაცი ცხოვრობდა. ბერიკაცს ერთი ვირი ჰყავდა. დილით წავიდოდა ბერიკაცი ტყეში, აჰკიდებდა ვირს ფიჩხს, მოიტანდა ქალაქში, გაჰყიდდა და ფულს გლახებს დაურიგებდა; წავიდოდა შუადღის დროს, მოჰკრეფდა ფიჩხს, აჰკიდებდა ვირს, გაჰყიდდა ქალაქში და ფულს საყდარში შეიტანდა და შესწირავდა. საღამოზე წავიდოდა, მოიტანდა, გაჰყიდდა და აღებული ფულით თვითონაც და იმის ცოლიც ირჩენდნენ თავს.

ერთხელ ბერიკაცი ტყეში იყო. ვირი გაუშვა დაუბმელად და თვითონ შეშასა სჭრიდა. როდესაც ფიჩხი მოამზადა ასაკიდებლად, ნახა, რომ ვირი არსად იყო. ბერიკაცმა ვირს ძებნა დაუწყო. ნახა, რომ ვირი მისულა ერთ ხესთან, დამდგარა და შესცქერის ნახევრამდის მარგალიტში ჩაფლულ ქალს. ბერიკაცი გაუჯავრდა ვირს გასარეკად.

ქალმა გაიგონა კაცის ხმა და სთხოვა, ძმა ხარ თუ მამა, მიშველე რამ, გარს კლდე მაქვს შემოვლებული, შემომამტვრიეო.

ბერიკაცი მივიდა ქალთან, მოაშორა მარგალიტის ყინული და წაიყვანა სახლში. წაიღო მარგალიტიც. ბერიკაცი უცებ გამდიდრდა, ქალს ჩააცვა მშვენივრად და მისცა ცალკე ოთახი.

ერთხელ ქალის ახლო კრუხმა რაღაზედაც წიწილას ჩაუნისკარტა. წიწილამ წიწინი დაიწყო; მამალი მოვარდა უცებ და კრუხს დაუწყო ჩხუბი, რადა სცემ შვილსაო.

ქალმა გაიგონა ეს ლაპარაკი ქათმებისა და გაეცინა. პირიდან ია-ვარდი გადმოუვიდა და ოთახში მშვენიერი სუნი დადგა.

ბერიკაცი რომ შევიდა ოთახში, ძლიერ გაუკვირდა: ამისთანა ია და ვარდი საიდან მოვიდაო.

ქალმა უთხრა ბერიკაცს, წაიღე, მამავ, ეს ია-ვარდი,

ხელმწიფის ქალაქში დაატარე გასაყიდად; თუ ვინმე შეგეკითხოს, ნუ მიჰყიდი, რაც უნდა ბევრი ფული მოგცეს. ხელმწიფის შვილის გამზრდელს აქვს ჩემი თვალები, და თუ შეგხვდა, ის იყიდის ამ ია-ვარდს თავის ქალისთვის: უთხარ, რომ თვალზე ვყიდი-თქო, ის მოგცემს ერთ თვალს და მომიტანეო.

ბერიკაცმა წაიღო ეს ია-ვარდი ქალაქში, მაგრამ არავის მიჰყიდა, თუმცა ბევრი მყიდველი გამოუჩნდა. ბოლოს შეხვდა ხელმწიფის შვილის გამზრდელი და ჰკითხა, რაზე ჰყიდი, ან როგორ ჰყიდი მაგ ია-ვარდს, ბერიკაცო?

გამზრდელს ია-ვარდი თავის ქალისთვის უნდოდა, რომ ხელმწიფის შვილისთვის ეთქვა: აი, ჩემს ქალს პირიდან რა ია და ვარდი გადმოუვიდაო.

ბერიკაცმა უთხრა, ადამიანის თვალზე ვყიდიო.

გამზრდელმა მისცა ქალის ერთი თვალი და გამოართვა. მაგრამ ხელმწიფის შვილი მაინც არ მიჰკარებია იმის ქალს.

ბერიკაცმა წაიღო ეს თვალი და თავის ნაშვილებს მიუტანა. ქალმა ჩაისვა თვალი, გალესა მარგალიტი და ია-ვარდი და გადისხა ზედ; თვალი გაუმთელდა და გაუსაღდა ისე, როგორც წინათ ჰქონდა.

ერთი თვალი აახილა ქალმა, მაგრამ მეორით ისევ ბრმა იყო. ახლა როგორმე მეორე თვალი უნდა ეშოვა. ქალმა მოიმზადა კუბო, ჩაწვა შიგ და ბერიკაცს კი უთხრა, ეს მძივი, ყელზე რომ მიკეთია, შემხსენ, წაიღე და მეორე თვალი იყიდე. მე მოვკვდები, ამ კუბოთი წამიღე და სადაც მიპოვე, იქ დამდგიო.

ბერიკაცმა იყიდა მეორე თვალიც ხელმწიფის შვილის გამზრდელისაგან, მოიტანა, გაუკეთა მიმკვდარებულ ქალს და ტირილითა და ვიშით წაიღო იქ, სადაც პირველად იპოვა. ქალი ხელმწიფის შვილისაგან ორსულად იყო და კუბოში გაუჩნდა მკვდარს ვაჟი. ვაჟი მკერდზე აჯდა დედას და ისე სწოვდა ძუძუს.

*
* *

ხელმწიფის შვილი გლოვობდა თავის საცოლეს და არ ეკარებოდა გამზრდელის ქალს.

ერთ დღეს ხელმწიფის შვილი სანადიროდ წავიდა, რომ გართობილიყო. გაიარა ტყე და ერთგან შველი წამოხტა. ხელმწიფის შვილმა ესროლა ისარი, ვერ მოახვედრა, შველი გაიქცა, დაედევნა ხელმწიფის შვილიც.

ირბინა შველმა, ირბინა ხელმწიფის შვილმა. შველი კუბოზე გადახტა და გაქრა.

მივიდა ხელმწიფის შვილი კუბოსთან, ჩაიხედა შიგ და თავის საცოლე კი დაინახა. ქალი ისე იწვა, თითქოს სძინავსო. ვაჟი გადაეხვია თავის მკვდარ ცოლს, კოცნა დაუწყო და მრავალი ცრემლი აფრქვია. ბევრი ცრემლი ღვარა, მაგრამ ცრემლით რას უშველიდა.

რაკი ტირილით გული მოიჯერა, ვაჟმა დაავლო ხელი თავის შვილს და სახლში წაიყვანა.

გამზრდელის ქალმა თავისთან შეიყვანა ეს პატარა ბავშვი, უნდოდა ხელმწიფის შვილის გული მოეგო, და დაუწყო თამაშობა. რაკი ხელში აიყვანა, ბავშვი სწვდა იმის ყელზე ჩამოკიდებულ მძივს, მოებღაუჭა და დაიწყო ტირილი. უნდოდათ ბავშვი მოეშორებინათ, მაგრამ ის ხელს არ უშვებდა.

ხელმწიფის შვილმა უბრძანა გამზრდელის ქალს, მიეცი რასაც გთხოვს, ნუ ატირებ მაგ ბავშვსაო.

ქალმა მოიხსნა კრიალოსანი და მისცა ბავშვს. ბავშვმა დედისკენ დაიწყო წევა და ტირილი. ხელმწიფის შვილმა შემოისვა ბავშვი ცხენზე და კუბოსკენ გაჰქუსლა. ბავშვმა რაკი კუბო დაინახა, ღიმილი დაიწყო და ხელების ქნევა.

ხელმწიფის შვილმა ბავშვი დედასთან დასვა და ცქერა დაუწყო, ვნახოთ რას იზამსო.

ვაჟი შეაფოფხდა მკვდარ დედას და ეს კრიალოსანი კისერზე გადაუგდო. შეეხო თუ არა კრიალოსანი, ქალმა მაშინვე თვალები გაახილა და წამოდგა.

გახარებულმა ხელმწიფის შვილმა აღარ იცოდა რა ექნა. შემოისვა ცხენზე ცოლიც, შვილიც და გასწია სახლში.

აი, ჩემი ცოლიო, დაიძახა ვაჟმა, როგორც კი შეეედა სასახლეში. გამოეგებნენ ხელმწიფე და დედოფალი და სიხარულით გადაჰკოცნეს თავისი რძალი.

შევიდა ქალი სასახლეში, მოაგონდა თავისი წარსული და ცრემლებმა დაუწყო თვალებიდან ფრქვევა: იატაკზე გაიშალა აუარებელი მარგალიტი. ქალმა ნახა გამზრდელის ქალი, გაეცინა იმის საძაგლობაზე და პირიდან ია და ვარდი გადმოუვარდა.

გამზრდელი ქალი კი ცხენის კუდით ათრიეს და ხელმწიფის შვილმა თავისი წინანდელი საცოლე შეირთო ცოლად.



ზღაპარი მონადირისა და დიდი არწივისა

იყო და არა იყო რა, იყო ერთი ღარიბი მონადირე.

ერთხელ მინდორში ნადირობდა, ნახა სამ მუხაზე ერთი დიდი არწივი იჯდა, სამივე მუხა ეჭირა. მოჰზიდა მონადირემ მშვილდს, დაუმიზნა ისარი.

არწივმა უთხრა, ნუ მომკლავ, მხარი მაქვს მოტეხილი, წამიყვანე სახლში, ბარტყი ვარ, მომიარე, მომარჩინე, ბოლოს მეც გამოგადგებიო.

მონადირემ აღარ მოკლა, წაიყვანა სახლში.

ცოლს ძალიან ეწყინა, ჩვენთვის არაფერი გვაქვს, მაგას რა ვაჭამოთო.

მართლაც, ისეთი ღარიბები იყვნენ, კბილის გამოსაჩიჩქნი ჩხირიც კი არა ჰქონდათ.

ორ კვირას უწამლა, მორჩენა დაეტყო.

არწივმა უთხრა მონადირეს, წამიყვანე მუხებთანაო.

მონადირემ წაიყვანა. დაუქროლა არწივმა და ერთი მუხა ძირიანად მოგლიჯა და სამი მთის იქით გადისროლა. მონადირეს უთხრა, კიდევ წამიყვანე, ცოტა კიდევ მაკლიაო.

მონადირემ ისევ წამოიყვანა. ორ კვირას კიდევ ჰყავდა.

შემდეგ არწივმა უთხრა: წამიყვანე მუხებთანაო.

მონადირემ წაიყვანა. დაუქროლა არწივმა, მოგლიჯა მეორე მუხა და ცხრა მთას იქით გადააბზრიალა.

არწივმა კვლავ უთხრა, ცოტა კიდევ მაკლია მორჩენა, წამიყვანე ცოტა ხანსაო.

მონადირემ ისევ წაიყვანა. ცოლი ძალიან გაუწყრა: ჩვენთვის არაფერი გვაქვს, ეგ რაღად მოათრიეო.

არწივი ორი კვირა კიდევ იყო. მონადირე წამლებს ადებდა და მხარს უხვევდა.

ორი კვირის შემდეგ სრულებით გასაღდა და მონადირეს უთხრა: ახლა წავიდეთ მუხებთანაო.

— წავიდნენ. დაუქროლა არწივმა და მესამე მუხა სრულებით გადაკარგა: ვეღარ გაიგეს, სად გადავარდა.

მაშინ არწივმა უთხრა, ახლა კარგადა ვარ, უნდა შემჯდე მხრებზე, ერთი დაკლული ხარი თან წამოიღე, ჩემს დედამამასთან წაგიყვან და დაგასაჩუქრებენ. ამას კი გეტყვი, რაც უნდა გაძლიონ, არ გამოართვა; სთხოვე, თქვენ რომ ჟანგიანი ყუთი გაქვთ, ეგ მომეცით-თქო.

წავიდა მონადირე, დაკლა ერთი ხარი, დაუდო არწივს მხრებზე და თვითონაც ზედ შეაჯდა. არწივი აფრინდა და წავიდა სულ მაღლა და მაღლა. რამდენიც შემოტრიალდებოდა. მონადირე იმდენ ნაჭერ ხორცს ჩაუდებდა პირში.

ის იყო მივიდნენ, რომ ხორციც გაუთავდა. გამოიჭრა კანჭიდან მონადირემ და შეაჭამა.

ოჰ, ეს რა გემრიელი რამე შემაჭამეო. უთხრა არწივმა.

ბინაზე რომ მივიდნენ, გადმოსვა დაბლა და მონადირემ კოჭლობა დაიწყო.

— რათა კოჭლობ?—ჰკითხა არწივმა.

— წეღან შენ რომ სთქვი, ეს რა გემრიელი რამ შემაჭამეო, ის ჩემი ხორცი იყო: ხარის ხორცი გამითავდა და კანჭიდან გამოვიჭერიო.

არწივმა მოუსვა ფრთა და გაუმთელა.

მონადირე დედასთან მიიყვანა. დედას უთხრა:

— დედავ, მხარმოტეხილი ვიყავ, ამ კაცმა სიკვდილს გადამარჩინა და რაც ისურვოს, ყველაფერი მიეცით.

არწივის დედამ გადმოუღო და გადმოუღო მონადირეს ოქრო და ვერცხლი, თვალი და მარგალიტი, ჩასაცმელი და დასახური, მაგრამ კაცმა არაფერს ხელი არ მოჰკიდა..

— მაშ რა გინდა?—ჰკითხა არწივის დედამ.

— თქვენ რომ ჟანგიანი ყუთი გაქვთ, ის მომეცით,— უპასუხა მონადირემ.

არწივის დედამ კიდევ ძვირფასი და ძვირფასი გადმოუღო. მონადირე ადგა და წასვლა დააპირა.

— მოდი, მოდი, წაიღე,—დაუძახა არწივის დედამ. გადმოუღო კიდევ ძვირფასი და ძვირფასი რამე, ყუთი კი არ მისცა. მონადირე კიდევ წამოვიდა.

— მოდი, მოდი, წაიღე,—დაუძახა ისევ არწივის დედამ.

მობრუნდა მონადირე. კიდევ ძვირფასი და ძვირფასი რამეები გადმოუღო, ყუთს მაინც არ აძლევს.

მონადირემ მაინც სხვას არაფერს მოჰკიდა ხელი.

მესამედაც დაუძახა არწივის დედამ და მისცა ყუთი.

უთხრა, სანამ შინ არ მიხვიდე, არამც და არამც არ გახსნა, თორემ ძალიან ინანებო.

შეისვა არწივმა მონადირე მხრებზე და ისევ ძირს ჩამოიყვანა.

მოდის მონადირე, მოაქვს ყუთი. იფიქრა:

იქნება იმათ მომატყუეს და ცარიელი ყუთი მომცეს. ვნახავ, რა არის შიგ! იქნება ისეთი რამე დევს, რომ მომკლასო.

გახსნა. ამოვიდა და ამოვიდა დუქან-ბაზარი და სასახლეები, გაიჭიმა უზარმაზარი ქალაქი, გაჩაღდა ვაჭრობა, გარბიან და გამორბიან ვაჭრები, ერთი ხმაურობა და ამბავია.

მონადირე კი დგას და შესცქერის. უნდა ყუთი დაკეტოს, მაგრამ ვერა ჰკეტავს. იცემს გულში ხელს, იბდღვნის თმასა.

ამ დროს ჩამოიცლის ერთი დევი, ჰკითხავს, რადასტირი, კაცოო?

რას არა ვტირი, ეს ყუთი გავხსენ, ეს ქალაქი იქიდან ამოვიდა და ვეღარ დავხურეო.

რას მომცემ, რომ დავხურო, ხომ მომცემ იმას, რაც შენ არ იციო.

მოგცემო, უთხრა მონადირემ.

მონადირის ცოლი ორსულად იყო და სანამ მონადირე დაბრუნდებოდა, მის ცოლს ოქროსქოჩრიანი ვაჟი ეყოლა, მონადირემ კი არა იცოდა რა.

დევმა ყუთი დაუხურა. ქალაქიც აიკრიფა და ისევ ისეთი ადგილი დარჩა, როგორიც წინათ იყო.

ამა და ამ დროს მე ჩემსას მოვიკითხავ და გამომიგზავნეო, უთხრა დევმა.

კაცი წავიდა სახლში. გახსნა შინ ყუთი. ამოვიდა და ამოვიდა ისევ დუქან-ბაზარი და სასახლეები. გაიმართა ქალაქი. ეს კაცი ქალაქის პატრონია, მაგრამ შვილი ადარდებს: დევს უნდა გაუგზავნოს, არ ასცილდება.

როცა ვაჟი მოიზარდა, ადგა და დევთან წავიდა. იარა, იარა და გზაზე ერთი დედაკაცი შეხვდა.

— სად მიდიხარ, შვილო?—ჰკითხა.

— დევთან მივდივარ, უნდა შემჭამოს.—უპასუხა.

— შვილო,—უთხრა დედაკაცმა,—რომ მიხვალ, წყალს ნახავ, იმ წყალზე დევის ქალები ჩამოდიან საბანაოდ. შენც იქვე დაიმალე. ზევით, რომელიც დგას—უფროსია, იმის ქვემოთ რომ დგას—შუალაა, და ბოლოს რომაა—ის უმცროსი. იმას დაუმალე ტანისამოსი. გამოვა. იმისი დები წავლენ და ის ტიტველი რაღას იზამს? რაკი ტანისამოსს არ მისცემ, შენი ცოლი გახდება, მერე კი ის გიხსნის გაჭირვებიდან.

ვაჟი ისე მოიქცა, როგორც იმ დედაკაცმა დაარიგა. მივიდა წყლის პირს, ჩასაფრდა. როცა ქალები მოვიდნენ, ბანაობა დაიწყეს, ვაჟი მივიდა და უმცროსი ქალის ტანისამოსი აიღო.

გაათავეს ქალებმა ბანაობა. გამოვიდნენ. უფროსებმა ჩაიცვეს, გასწიეს, უმცროსმა ვერ იპოვა ტანისამოსი და დაიძახა, ვინა ხარ, გამოჩნდი, შენ—ძმა და მე—დაო!

ვაჟი არ გამოვიდა.

ბოლოს ქალმა დაიძახა, გამოჩნდი, ვინა ხარ, ჯანი-გაგვარდეს, შენ—ქმარი და მე—ცოლიო.

მაშინ გამოვიდა ვაჟი და მისცა ტანისამოსი.

ქალმა შეხედა, ეს ოქროსქოჩრიანი ვაჟი ძალიან მოეწონა. უთხრა რად მოსულხარ აქაო.

მამაშენის ლუკმა ვარ, უთხრა ვაჟმა, უნდა შემჭამოსო..

ნუ გეშინიან, უთხრა ქალმა, როცა გაგიჭირდეს, მე შემატყობინეო.

მივიდა ვაჟი დევთან.

დევმა უთხრა, ერთ რამეს შეგიკვეთ და თუ არ აასრულე, იცოდე, შეგჭამ. ჩემი ეზო სულ ოქროქსოვილით უნდა დაჰფინოო.

წამოვიდა ვაჟი ცოლთან დაღონებული: მამაშენმა ასე და ასე მიბრძანაო.

წადი, შენ დაიძინე და მე ვიციო, უთხრა ქალმა.

იმ ღამეს ქალმა დაიბარა თავის კაცები და სულ ძვირფასი ოქროქსოვილით დააფენინა ეზო-კარი.

დილით უთხრა ქმარს, მიდი, დაჯექ და დაუწყე სწორება, ვითომ შენ დაჰფინეო.

გამოვიდა ვაჟი და ასწორებს ოქროქსოვილებს. რაღა იქნებოდა?!

მეორედ უბრძანა, ხვალისათვის ისეთი სასახლეები უნდა დამიდგა, რაც ხელმწიფეს ეკადრებოდესო.

წავიდა ვაჟი ცოლთან. ცოლმა უთხრა, შენ წადი, არხეინად დაიძინე, მე თვითონ ვიციო.

წავიდა ვაჟი, დაიძინა.

ქალმა დაიბარა თავისი კაცები და უბრძანა, აბა, როგორ ბარდად მოიქცევით, თქვენი იმედი მაქვსო.

დილისთვის ისეთი სასახლეები დადგეს, კაცს თვალს სტაცებს. ქალმა ქმარს უთხრა: ადი ზედ, აიტანე ჩაქუჩი, ვითომ რაღაც დაგკლებია და აკაკუნეო.

ავიდა ვაჟი სასახლეზე, უჭირავს ჩაქუჩი და აკაკუნებს..

გამოვიდა დევი, ნახა მშვენიერი სასახლეები დაუდგამს. ტუჩზე იკბინა, მაგრამ რაღა იქნებოდა?!

მერე უთხრა, ერთი ცხენი მყავს გასახედნი და ის უნდა გამიხედნოო.

კარგიო, უთხრა ვაჟმა.

წამოვიდა ცოლთან. ცოლს უთხრა: მამაშენს გასახედნი კვიცი ჰყოლია, ის უნდა გაახედნინოო.

აქამდე არაფერი, საქმე ახლა არის, უთხრა ცოლმა, თვითონ მამაჩემი იქცევა კვიცად და იმას უნდა უმხედრო. მე ერთს ლაგამს მოგცემ, ის ლაგამი ამოსდე იმას პირში, თან ერთი რკინის კვერი წაიღე: აღმა აფრინდეს—თავში სცემე, დაღმა წავიდეს—ცხვირში. ნუ შეიბრალებ, რაც ძალა და ღონე გქონდეს, მაგრა დაჰკარ, თორემ მოუკლავს არ გაგიშვებსო.

მეორე დღეს წაიღო ლაგამი და ჩაქუჩი ვაჟმა. შეჯდა კვიცზე და გაფრინდა ცხენიც ცისკენ. რამდენსაც ის ცხენი ზევით აიწევდა, იმდენს დაუშენდა ვაჟი თავში კვერს; ახლა ძირს დაეშვებოდა და ახლა ცხვირში სცემდა. ისე მოღალა, ისე, რომ არაქათი გამოელია და დადგა ცხენი.

ვაჟმა მოიყვანა დევის კარებზე, შეიყვანა თავლაში, წამოჰყარა ლაგამი და გამოვიდა.

ცხენიც იქცა ისევ დევად და ისიც გამოვიდა.

დევი კარებთან დგას.

რა ჰქენ, გახედნე ჩემი ცხენი თუ არაო, ჰკითხა წყროშით ვაჟსა.

ვაჟი ხედავს, რომ დევს ყბები სულ ჩამოღადრული ექვს ცემისაგან.

რა გჭირს მაგ სახეზეო, ჰკითხა ვაჟმა.

ეს შენი ნაცემი არის, უთხრა დევმა, შენ რომ იჯექ, ის ცხენი კი არ იყო, მე ვიყავი. ხვალ კი აღარაფერი გიხსნის, უნდა შეგჭამოო.

ვაჟი შეწუხებული მივიდა ცოლთან.

რა ჰქენ, უმხედრე ცხენსა თუ ვერაო, ჰკითხა ცოლმა.

მამაშენმა მითხრა, ხვალ უნდა შეგჭამო, ვეღარაფერი გიშველისო.

იმ ღამესვე ეს ქალი და ვაჟი ადგნენ და გასწიეს. ია-

რეს, იარეს, რაც ძალი და ღონე ჰქონდათ. რომ გათენდა, გაიგო დევმა მათი გაპარვა და ისიც გამოეკიდა.

მიდიან ქალი და ვაჟი.

ქალმა უთხრა ვაჟსა, აბა, მიიხედე, ხომ არავინ მოგვდევსო.

ვაჟმა მიიხედა, ბუზისტოლად შორს რაღაცა მოჩანსო.

იქცა ქალი შემოსულ ყანად, ვაჟი მომკელად. დგას და მკის, თან ხვითქლი გადასდის. მოვიდა დევი.

ამაზე ქალსა და ვაჟს ხომ არ ჩამოუვლიაო, შეეკითხა მომკელსა.

მთელი დღეა ვმკი, სიცხით ვიწვი, რა ამვლელისა და ჩამომვლელისა მცხელა, არავინ მინახავსო, უპასუხა მომკელმა.

დევი გაბრუნდა უკან და გასწია თავის სახლში.

ვერავინა ვნახე იმათი მნახველიო, უთხრა დევმა თავის ცოლს.

სრულებით არავინ იყოო? ჰკითხა ცოლმა.

როგორ არა, ერთ ალაგას ყანა იყო და მომკელი მკიდა. შიველ ვკითხე და არავინ მინახავსო.

ისინი შენი ქალ-სიძენი ყოფილანო, უთხრა ცოლმა.

როცა დევი შინ გამობრუნდა, იქცა ქალი ისევ ქალად, მომკელი ვაჟად და გაუდგნენ გზასა.

იარეს, იარეს, დიდი გზა გაიარეს.

დევიც დაბრუნდა ისევ სახლიდან და გამოეკიდა.

ქალმა უთხრა ვაჟსა, აბა, მიიხედე, ხომ არავინ მოჩანსო.

ბუზისტოლად რაღაცა ჩანსო, უპასუხა ვაჟმა.

ის მამაჩემიაო, სთქვა ქალმა.

იქცა ქალი დაბურულ ტყედ, ამის ქალწულ გულში მზის სხივი არ ჩავარდება. ვაჟი იქცა მოხუცებულ კაცად, დადის ტყის პირას და ჩინჩხვრებს ჰკრეფს.

მოვიდა დევი.

ამაზე ქალსა და ვაჟს ხომ არავის ჩამოუვლიაო? ჰკითხა დევმა ბერიკაცსა.

ამ ტყის მადლმა, რაც ეს ტყე გაჩენილა, აქა ვარ და

მე აქ სხვა არავინ მინახავს, შენს მეტი. მოხუცებული ვარ, მე რა მგზავრების დარდი მაქვსო, უპასუხა ბერიკაცმა.

გამობრუნდა დევი და წავიდა სახლში.

იქცა ტყე ისევ ქალად, მოხუცებული ვაჟად და გაუდგნენ გზასა.

მოვიდა დევი სახლში.

რა ჰქენ, ვერსად დაეწიე, ვერ დაიჭირეო, ჰკითხა ცოლმა.

ვერა, უთხრა დევმა, იმათი მნახველი ძე-ხორციელი ვერა ვნახე. გზაზე ერთი ულრანი ტყე იყო, ერთი ბერიკაცი ჩინჩხვრებსა ჰკრეფდა, სხვა არავინ მინახავსო.

შე გამოყრუებულო, ის ტყე შენი ქალი იყო და ის მოხუცებული—შენი სიძე. უთხრა ცოლმა, ახლა კი მეც წამოვალ და ვნახოთ, სად წამივლენო.

შესხდნენ რაშებზე ორივენი და გამოეკიდნენ ქალსა და ვაჟსა.

მიდიან ქალი და ვაჟი, მისდევენ დევი და მისი ცოლი.

ქალმა უთხრა ვაჟსა, აბა, მიიხედე, ხომ არავინ მოგვდევსო.

ვაჟმა მიიხედა, ბუზისტოლად რაღაცა მოჩანსო.

ის მამაჩემი იქნებაო, სთქვა ქალმა და მიიხედა—ორად მოჩანდა.

ახლა დედაჩემიც მოგვდევს და ველარ გადვურჩებითო.

იქცა ქალი უძირო ტბად და ვაჟი იხვად. ლაპლაპებს ტბა და იხვიც არხეინად დაცურავს.

მოვიდნენ დევი და იმისი ცოლიც.

დაეწაფა დევის ცოლი ტბას, დაუწყო სმა, უნდა სულ ამოეცალა. დაუწყო სმა დევმაც. სვეს, სვეს და ორივენი დასკდნენ.

იქცა ტბა ისევ ქალად, იხვი—ვაჟად, გადაეხვივნენ ერთმანეთსა და გადაჰკოცნეს, რომ გადარჩნენ.

შესხდნენ დევისა და იმის ცოლის რაშებზე და გამოსწიეს ვაჟის მამასთან.

ჭირი იქა, ლხინი აქა,
ქატო იქა, ფქვილი აქა.



ბოქმის ყვავილი

იყო და არა იყო რა, იყო შვიდი ძმა. ძალიან მდიდრები იყვნენ, აუარებელი სარჩო-საბადებელი ჰქონდათ; თვალისა და მარგალიტის ანგარიში არ იცოდნენ, მუდამ ლხინსა და გახარებაში იყვნენ, მაგრამ ერთი არც მტერი ჰყავდათ და არც მოკეთე. ქვეყნისა არაფერი არ იცოდნენ.

ბოლოს თქვეს ძმებმა, ასე სიცოცხლეც არ შეიძლება, მოდი წავიდეთ, ან მტერი ვინმე შევიძინოთ და ან მოკეთეო! სთქვეს და აასრულეს.

აჰკიდეს შვიდ ცხენს შვიდი საპალნე თვალ-მარგალიტი, აისხეს თვითონაც იარაღი და წავიდნენ—მტრისა ან მოკეთის შესაძენად.

ბევრი იარეს, თუ ცოტა იარეს, მივიდნენ ერთ დიდ ტრიალ მინდორზე. გაიხედეს: სხვა არაფერი არა ჩანს, მთელი მინდორი მარტო ცხვრით არის თეთრად დაფარული და ერთი მეცხვარე უდგას.

ძმები მაშინვე მივიდნენ იმასთან და უთხრეს, ესეა ჩვენი საქმე, გვინდა დავიმოკეთოთ ვინმეო!

მეცხვარეს გაუხარდა. მაშინვე მიიპატიჟა სახლში და მშვენივრად გაუმასპინძლდა. შვილი ჰყავდა მოსანათლი, ისიც მოანათლინა და დანათესავდნენ.

როცა ძმებმა წასვლა დააპირეს, მეცხვარემ იმდენი ცხვარი გაატანა, რამდენსაც კი შეიძლებდნენ და წაასხამდნენ. წამოვიდნენ ძმები გახარებული, რომ კარგი მოკეთე იშოვეს. ცხვარი კი არ უხაროდათ, იმიტომ რომ თავის სარჩოც ბევრი ჰქონდათ.

გავიდა კარგა ხანი. აღარც არაფერი ძმებმა იცოდნენ მეცხვარისა, აღარც მეცხვარემ იმათი. ერთმანეთი აღარ ენახათ.

ბოლოს ძმებმა სთქვეს, მოდი წავიდეთ, ჩვენი ნათლული და ნათლიმამა ვნახოთო.

წავიდნენ, ნახეს: აღარსად ნათლიმამა, აღარსად ნათლული, აღარსად ცხვარი, აღარც სადმე მეცხვარე. ძალიან გაუკვირდათ. ბევრი ეძებეს, ბევრი თავიც შეიწუხეს.

ბოლოს ერთი ბებერი ნახეს, ჰკითხეს, მავანი და მავანი მეცხვარე თუ გაგიგონია, რა იქნა, სად წავიდაო?

ბებერმა უთხრა, ღმერთმანი, ეგეთი მეცხვარე დიდი ხანია ამოწყდა, ერთი შვილი დარჩა; სამადლოდ ხან ვინ აჭმევს და ხან ვინ. დღეს ერთთან გაძღება, ხვალ მეორესთან; სადაც დაუღამდება, იქ გაუთენდება, ერთი თავშესაფარი არა აქვსო.

ძმებმა სთხოვეს ბებერს: ერთი ის ბიჭი გვიპოვე და, რასაც გვთხოვ, მოგცემთო.

ბებერმა მოუყვანა ნათლული. კარგა მოზრდილი ბიჭი იყო. ძმებს ძალიან გაუხარდათ. წამოიყვანეს სახლში. ასვეს, აჭამეს, ჩააცვეს, დახურეს, დაბანეს და გაურეცხეს. გაუშალეს ბუმბულის ლოგინი და უთხრეს, მოისვენეო!

მაგრამ ბიჭმა უარი უთხრა. მე არ შემიძლია, მაგაზე ვერ დავიძინებ, ბანზე ავალ და იქ დავიძინებ. ერთ საბანს კი დავიხურავ ზემოდანო.

ძმები თავს რაღას შეაწუენდნენ, როგორც გენებოსო, მოახსენეს.

ავიდა ბიჭი და დაიძინა ბანზე.

თურმე იმ ღამეს ერთ ხელმწიფის ქალსა და ხელმწიფის შვილს პირობა ჰქონდათ: იმ ბანზე უნდა მოსულიყვნენ და მერე უნდა წასულიყვნენ ჯვრისდასაწერად.

მოვიდა ქალი პირველი. ნახა არსადაა დაპირებული. მივიდა, ასწია საბანს: იქნება ის იყოსო, ის არ გამოჩნდა. ქალმა დიდხანს იცადა კიდევ.

ბოლოს რომ არა და არ მოუვიდა ხელმწიფის შვილი, ქალმა სთქვა, ხომ მაინც მომატყუილა და მომატყუილა, შემარცხვინა და, რასაც ღმერთი მაძლევს, მოდი ნუ დავკარგავო.

გააღვიძა ვაჟი და უთხრა, ჩქარა წავიდეთ, ჯვარი დავიწეროთ, მე შენ ქმრად მინდიხარო.

ვაჟი რის ვაი-ვაგლახით დათანხმდა, ერთი ღარიბი კაცი ვარ, რასაც არა მხედავ, ამაზე მეტი არც სახლი მაქვს, არც კარი, არც სარჩო-საბადებელი, არც საჭმელი, სასმელი და საცმელიო.

არაფერი უშავს, უთხრა ქალმა, ყველაფერი მე მაქვსო.

წაიყვანა ქალმა ვაჟი თავის სახლში. მერე წავიდნენ იქიდან და ერთი ხელმწიფის ქალაქში მივიდნენ. იქირავეს ხელმწიფისაგან სახლი და დადგნენ იმაში.

ის ქალი ისეთი ლამაზია, რომ ხელმწიფე გაგიჟდა იმის სილამაზით.

დაიბარა ნაზირ-ვეზირები და უთხრა, მე ისეთი ცოლი მყავს, რომ ქრისტიან კაცს პური არ ეჭმევა იმასთან და დახეთ, იმ მთიულს როგორი ლამაზი ცოლი ჰყავსო!

რა ვუყოთ, დიდებულო ხელმწიფევ, უპასუხეს ნაზირ-ვეზირებმა, ძალით ხო ვერ წავართმევთო!

ხელმწიფემ უბრძანა, ნაზირ-ვეზირებმა ისეთი ღონე იღონეთ, რომ იმას ის ცოლი წავართვათო.

ნაზირ-ვეზირებმა იფიქრეს, იფიქრეს და მოახსენეს, ის მთიული კაცია, არაფერი არ უნახია, სადილად მოვიპატიჟოთ. ის წესზე ვერ მოიქცევა, ვერ ადგებ-დაჯდება, გაურისხდი და წაართვი ცოლიო.

მაშინვე გაუგზავნეს ვაჟს კაცი, რომ ხვალ ხელმწიფე აპირებს სადილზეო.

ვაჟი, ცოტა არ იყოს, შეფიქრიანდა: არ ვიცი, არაფერი მისახია, ან როგორ უნდა ადგომა და დაჯდომა, ან სხვა საქციელიო!

ცოლმა დაარიგა: რო შეხვიდე, არ გაიცინო; თუ გაიცინოს, შენც გაიცინე, დაილაპარაკონ, შენც დაილაპარაკეო!

ბოლოს ექვსი ვაშლი მისცა, სადილი რო გათავდეს, ეს ექვსი ვაშლი თეფშზე დააწყვე და მიართვი ხელმწიფეს. ხელმწიფე ისევ შენ დაგიბრუნებს, დასჭერი და ისევ ხელმწიფეს შესთავაზე. საჭმელი რო მოგიტანონ, ყველა საჭმლიდან თითო ლუკმა აიღე და გადადგი. მერე ადექ, დაუკარ თავი და წამოდიო.

ვაჟი სწორედ ისე მოიქცა, როგორც ცოლმა დაარიგა.

სადილი რომ გაათავეს, ადგა, დაუკრა თავი და წამოვიდა.

ხელმწიფე ძალიან გაურისხდა ნაზირ-ვეზირებს, თქვე ვირებო, ვირები მართლა თქვენა ყოფილხართ და არა ის მთიული. რაზე შემარცხვინეთ და თავი მომჭერით?! ახლა სხვა რამე მოიფიქრეთ, თორემ ცოცხლები ვერ გადამირჩებითო.

ნაზირ-ვეზირებმა უთხრეს, სასეირნოდ წაბრძანდით და ისიც დაიბარეთ, რომ თან გახლდეთ. ან წინ წავა, ან უკან დარჩება, არაფერი არ ეცოდინება და გაურისხდითო.

ხელმწიფემ მაშინვე დაიბარა ვაჟი და უბრძანა, სასეირნოდ მივდივარ ხვალ და შენც თან უნდა მახლდეო.

ვაჟს მეტი რა ღონე ჰქონდა! წამოვიდა სახლში ცოლთან დაღონებული.

რას დაღონებულხარ, უთხრა ცოლმა, აჰა, ეს ძუა, ეს ბურთი ჯიბეში ჩაიდე და როდესაც იმათ მიუახლოვდები, ძუა გამოხსენი, დანიშნულ ადგილას რო მიხვიდეთ, უცებ მოატრიალე რაში, ბურთი ამოხტება ჯიბიდან და თამაშობას დაიწყებს. რაშიც იმას დაუწყებს თამაშობას და ხელმწიფეც შენ დაგიწყებს ცქერას. გზაზე კი არა და არა ჰქნა

და ან წინ არ წაასწრო, ან უკან არ ჩამორჩე. გააქციონ ცხენები, შენც გააქციე, დააყენონ, შენც დააყენეო.

წავიდა ვაჟი და წაიღო ძუა და ბურთი.

როდესაც ხელმწიფე და დიდებულები სასეირნოდ გამოვიდნენ, გამოხსნა ვაჟმა ძუა და ერთი მშვენიერი რაში მაშინვე იმასთან დაიბადა. მოახტა ვაჟი რაშსა და ამოუდგა გვერდში ხელმწიფეს.

გააჩქარებს ხელმწიფე, გააჩქარებს ვაჟიც. ნელა წავა ხელმწიფე, ვაჟიც ნელა წავა. იარეს და ,როდესაც დანიშნულ ადგილას მივიდნენ, უცებ რაში მოტრიალდა და მოაბრუნა.

ამოხტა ბურთი ჯიბიდან და დაიწყეს რაშმა და იმან თამაშობა. მთელი დიდებულები და ხელმწიფეც იდგნენ და პირდაღებულები შესცქეროდნენ რაშისა და ბურთის თამაშს.

/ როდესაც მორჩა თამაშობას, დაუკრა ვაჟმა თავი ხელმწიფეს და სახლში გაეშურა.

ხელმწიფე ახლა უფრო. მეტადაც გაუწყრა ნაზირ-ვეზირებს, თქვე ვირებო, მეც ვირად გამხადეთ და გამაბრიყვეთ. იმაზე კარგი და შესაქცევი მხედარი ვის უნახავს?! თუ ისეთი არაფერი არ მოიგონეთ, რომ იმას არ შეეძლოს გაკეთება, ვაი თქვენს ტყავსაო!

ნაზირ-ვეზირებმა ბევრი იფიქრეს, ეძიეს და ბოლოს გადაწყვიტეს: ბოქმის ყვავილი მოვატანინოთ, იქიდან კი ვერასგზით ვეღარ მოვაო.

წავიდნენ და მოახსენეს ხელმწიფეს. ხელმწიფესაც ძალიან გაეხარდა.

დაიბარა მეორე დღეს ვაჟი და უბრძანა, ბოქმის ყვავილი უნდა მომიტანოო.

ვაჟმა დაუკრა თავი და გამობრუნდა.

მივიდა ცოლთან და უთხრა, ესე, ესე არის ჩემი საქმე და რა ვქნაო.

ცოლმა უთხრა, წადი, ხელმწიფეს ცხრა თვე, ცხრა დღე და ცხრა საათი ვადა გამოსთხოვე და ჩემთვის კიდევ სასმელ-საჭმელიო.

წავიდა ვაჟი ხელმწიფესთან და ყველაფერი ესენი გამოსთხოვა.

მოვიდა ცოლთან, მოუტანა ცხრა თვის საზრდო და თვითონ კი წავიდა ბოჟმის ყვავილის მოსატანად.

ბევრი ეძება, ბევრი იარა, რა სოფელზედაც გაივლიდა, იკითხავდა, ბოჟმის ყვავილი ხომ არ იცით სად არისო?

ყველა ერთ პასუხს აძლევდა, ჩამვლელი ბევრი გვინახია ბოჟმის ყვავილის მოსატანად და ამომვლელი ბოჟმის ყვავილით კი აღარც ერთიო.

ვაჟმა ბევრი იარა თუ ცოტა იარა, მივიდა ბოლოს ერთ ადგილას,—სამი ყანა დგას, სამი ძმა მკის: ერთი ბოლოს დგას, ერთი შუაზე და ერთიც თავში. მკიან და ვერ მოუმკიათ.

მივიდა ქვევითა კაცთან ვაჟი და მიესალმა. ერთმანეთს გამარჯვება უთხრეს და ამბავი ჰკითხეს.

ვაჟმა უთხრა, ბოჟმის ყვავილისთვის ვარ წამოსული და იქნება იცოდე რამე, მასწავლეო.

ის კაცი ისეთი ბებერი იყო, რომ თეთრი დახავსებული წვერი წელზე ედო.

ამ ბერიკაცმა უთხრა, მე კი არ ვიცი, და ეგრე იარე, ზევით რომ ყანასა მკის, ის ჩემზე უფროსი ძმა არის, და იქნება იმან კი იცოდესო.

გადაუხადა ამ კაცს მადლობა ვაჟმა და წავიდა; შუათანა ძმასთან მივიდა, ნახა, იმ კაცს თეთრი ძლივს ურევია, ყოჩაღად არის. მიესალმა, გამარჯვება უთხრეს ერთმანეთს. დასხდნენ, დაისვენეს. სამი დღე აქ მოუგვიანდა ვაჟს, სამი იმ უმცროს ძმასთან.

ცხრა თვე გასულია და ექვსი დღეც. სამი დღე და ცხრა საათიღა დარჩა ვადა.

ჰკითხეს ერთმანეთს ამბავი და ვაჟმაც უამბო ყველა თავისი თავგადასავალი და უთხრა, ახლა ბოჟმის ყვავილის მოსატანად ვარ წამოსული, და არ ვიცი, გავიმარჯვებ თუ ვერა. იქნება შენ იცოდე, სად არის, როგორია, როგორ იშოვება, მასწავლეო.

კაცმა უთხრა, მე კი არ ვიცი და იქნება ჩემმა უფროსმა ძმამ კი იცოდეს. ეგრე ზევით რო აივლი, ის არის ჩემი ძმაო.

გამოეთხოვა ამასაც ვაჟი, მადლობა გადაუხადა და წავიდა უფროს ძმასთან.

უფროს ძმას ეძინა. კარებში იმის ცოლი დახვდა, მშვენივრად მიიღო, პატივი სცა და გამოჰკითხა ასე შორს წამოსვლის მიზეზი.

ვაჟმა უთხრა, ბოქმის ყვავილის მაძებარი ვარ და იქნება თქვენმა ქმარმა იცოდესო.

ქმარსა სძინავს, უთხრა დიასახლისმა, გავაღვიძებ, ვკითხოთ, იქნება იცოდესო.

ახადა სკივრს, ამოიღო იქიდან ცხრა წლის ნიშნობის ქოშები, ჩაიცვა და გაიარ-გამოიარა ქმრის ოთახის კარებზე: ეგება ქოშების ხმამ გააღვიძოსო.

გაეღვიძა ქმარს და ცოლს უსაყვედურა: რად გამაღვიძეო.

ჩაიხედა სარკეში, ერთი თეთრი თმა გამოჰრეოდა, გამოიგლიჯა და გადააგდო.

ცოლმა უთხრა, ეს ყმაწვილი ბოქმის ყვავილისთვის არის მოსული და ხომ არ იცი, სად არისო.

მოიცადე, უთხრა იმ კაცმა, ჯერ ვისადილოთ, დროება გავატაროთ და მერე გასწავლი. მაგრამ ადვილი კი არ არის მოტანაო!

გაშალეს სუფრა. სადილს რომ მორჩნენ, ქმარმა უთხრა ცოლს, ჩადი და ერთი ნესვი ამოიტანეო.

ცოლი ორსულად იყო და უკანასკნელ თვეში იდგა. ჩავიდა ცოლი ნესვისათვის ძირს, მეოთხე სართულში, ამოიტანა ერთი ნესვი. ქმარმა დაუწუნა: ეს არ ვარგა, სხვა ამოიტანეო.

ჩავიდა მეორედ ცოლი. ამოიტანა კიდევ, ქმარმა ისიც დაუწუნა. ჩავიდა მესამედ ცოლი. ვაჟი ატყობდა, რომ ცოლს ძალიან უჭირდა, სულ ოფლი დაასხა. ქმარი მაინც არ მოეშვა. სანამ ცხრაჯერ არ ჩაგზავნა, ამოატანინა და ჩაატანინა.

ვაჟი ეხვეწებოდა იმის ქმარს: ნუ აწუხებ ცოლს, ცოდო არისო.

მაგრამ იმან არ გაუგონა. ბოლოს უთხრა: ხომ ნახე ჩემი უმცროსი და შუათანა ძმები როგორები იყვნენ და მე როგორი ვარ. მე ერთხელ ჩემ უნებურად გამაღვიძა ცოლმა და მაშინაც თეთრი თმა გამომრეოდა. ისინი უფროსები ეგონება კაცს და მე უმცროსი, იმიტომ რომ ასეთი მასიამოვნებელი ცოლი მყავს. ცხრა წელიწადია ჩემ ცოლს ჩემთვის ერთი ჩემი უნებური სიტყვაც არ ამოსცდენია; მე ამ ჩემს ცოლზე დანიშნული ვიყავი, ჩემი ძმები შემეცილნენ, დიდხანს არ ვანებებდით ერთმანეთს; ბოლოს უცხო კაცმა ჩამოიარა და გაგვასამართლა: ვინც პირველი დაინიშნეთ, ცოლი იმისი არისო. მას შემდეგ ჩემ უმცროს ძმას ძაღლის ყეფის მეტი არაფერი ესმის თავის სიცოცხლეში, შუათანას—ვირის ყროყინის მეტი და მე—მამლის ყივილის მეტი. ბედმა ასე გვარგუნაო.

მერე უთხრა ბოქმის ყვავილი სადაც იყო. ერთი კლდე უჩვენა, თავი თეთრი ჰქონდა, შუაგული წითელი და ძირი შავი. ისეთი მაღალი კლდე იყო, რომ ჭანდრის წვერი ვერ ასწვდებოდა.

ივ კლდეზე ქაჯის ქალი დაჯდება და გადმოჰფენს თმებს, იმ თმას სულ ბოქმის ყვავილი ასხია; იმისი თმა კლდის ძირზე დაეფინება, ვინც მივა, იქ დაიმალება და, თუ იშოვის, მაშინ იშოვის იმ ყვავილს. ბევრი ახალგაზრდა ვაჟი დაღუპა და დაანელა იმან. შენ რო მიხვიდე, ის თმა ხელზე დაიხვიე და თვითონ იცის მერე, მოგკლავს, თუ დაგარჩენსო.

წავიდა ვაჟი და დაჯდა კლდის ძირას.

გამოვიდა ქაჯის ქალი და გადმოჰფინა თავისი ოქროს თმა კლდეზე, ათასნაირი ყვავილით აჭრელებული და აყვავებული.

მივიდა ვაჟი. დაიხვია, დაიხვია იმისი თმა მკლავზე და უნდოდა დაჭერა. ქალმა სიმძიმე იგრძნო, გაიგო, ვინც იყო მიზეზი, აიწია, აკრიფა თმები და ვაჟი თავის ოთახში გადატყორცნა, თვითონაც თან მიჰყვა. ვაჟი უვნებლად ფეხზე იდგა.

ქალმა ჰკითხა, რა გინდა, რისთვის მოხვედი, რამ გაგაბედინა აქ მოსვლაო.

ბოქმის ყვავილი მინდაო, უპასუხა ვაჟმა.

ვიცი, რადაც გინდა, უთხრა ქალმა, ნუღარ დავიგვიანებთ, ცხრა საათიღა არის დარჩენილი, წავიდეთ, მეც წამოვალო.

შესხდნენ ნიავქარის ცხენებზე და გაეშურნენ.

ღამე იყო, რომ იმის ცოლთან მივიდნენ. ჩამოხტნენ კარებზე და ვაჟმა კარები დაუკაკუნა ცოლსა. ქალი გულგახეთქილი წამოვარდა, იმას ეგონა ხელმწიფიანი მოვიდხენ ჩემს წასაყვანადო. თქვე უღმერთოებო, გათენებას მაინც მოუცდიდით, რა გაუძლებარი გჭირთო.

კარებს უკან გასანთლული თოკი ჰქონდა ჩამობმული, თუ ვადა გადავიდოდა და ქმარი არ დაბრუნდებოდა, გაჰყიფდა შიგ თავს და დაიხრჩობდა თავს.

ქაჯის ქალმა უთხრა ვაჟს, არაფერი გაქვს განა შენი ცოლისა, რომ აჩვენო, არ შეწუხდესო.

ვაჟს ხელზე ბეჭედი ჰქონდა, გამოიძრო და კარებიდან შეუგდო ქალსა. ცოლს საშინლად გაუხარდა, გაუღო კარი და გადაეხვია თავის ქმარსა.

მეორე დღეს ქაჯთა ქალმა გაუგზავნა ხელმწიფეს ბოქმის ყვავილი და შეუთვალა, დიდებულო ხელმწიფეე, ეს როგორი ხელმწიფე ყოფილხარ, ზღვაზე გამოვიარე და ხიდი არ იდო. სამი ქალი მიშოვე და გამომიგზავნე, მე ხიდს ავუშენებ, ასწიონ და გადონ ზღვაზეო.

როგორც იყო ის სამი ქალი უშოვა ხელმწიფემ და გამოუგზავნა, თავის ნაწნავები ხეებად აქცია და უბრძანა იმ ქალებს, ზღვაზე ხიდად გაედოთ. ასწიეს ქალებმა და გააკეთეს ხიდი. თვითონ ქაჯთა ქალიც იქვე ჩაეკრა. ხიდია იმისთანა, რომ კაცი უკეთესს ვერ ინატრებს. შეუთვალა ქალმა ხელმწიფეს, შენი ცოლის გარდა წამოიყვანე შენი დიდებულები და ნახე ხიდიო.

ხელმწიფე წავიდა თავის დიდებულებით, ნაზირ-ვეზირებით ხიდის სანახავად. შედგნენ ზედ და გაისეირნ-გამოი-

სეირნეს. მართლა ძალიან მოეწონათ. მესამედ რომ გაიარეს და შუა ადგილას მივიდნენ, ასწია ხიდს ქაჯთა ქალმა, აქცია ხეები თმებად, შეიკეცა და ხელმწიფე თავის ნაზირ-ვეზირ-დიდებულებით წყალში გადაუძახა, იმათი ლეშით თევზები დააძღო.

ვაჟი ხელმწიფედ დასვა, ცოლიც იმას დაუნარჩუნა. ხელმწიფის ცოლი კიდევ ხელზე მოსამსახურედ დაუყენა. გამოემშვიდობა და თვითონ კი წავიდა თავის ადგილას.

ჭირი იქა, ლხინი აქა,
ქატო იქა, ფქვილი აქა.
ელასა, ბიჭო, მელასა,
კოკა მეკიდა ყელასა,
მთქმელსა და გამგონებელსა,
ძილი გვაამოს ყველასა.





ცერროდენა

იყო და არა იყო რა, იყო ერთი ცოლი და ქმარი_ ცოლი ორსულად იკო. ქმარი გუთანზე იყო, ხნავდა.

ერთხელ ცოლმა სადილი წაუღო. ხურჯინი გადიკიდა მხარზე, შიგ მჭადები ეწყო და ქილით მაწონი ედგა.

შუა გზას რომ მივიდა, მუცლიდან დაუძახა ვაჟმა, დედავ, მომეც მე ავიკიდებ ხურჯინსაო.

სადა ხარ, შვილო, საიდან აგკიდოო, უპასუხა დედამ.

აი, დედილო, აქა ვარო, მოესმა დედას დაბლა მიწიდან, დაიხედა და ცერისტოლა ვაჟი კი დაინახა. ხელები გაეშვირა და იდგა.

მომეცი, დედი, მე წამოვიღებო! არ ეშვებოდა ცერო-დენა დედას.

მისცა დედამაც.

აიკიდა ცეროდენამ ხურჯინი, მაგრამ რას წაიღებდა? ხურჯინი დააწვა ზევიდან, კინაღამ დაახრჩო.

წავიდნენ დედა და შვილი მამასთან.

გუთანი რომ დაინახა, ცეროდენამ გაუნიჟა მამას, მამილო, შენ ჩამოდი, მე უნდა დავუჯდეო.

შენ რა ხარ, შე ჩემო პაწაწკინა, უთხრა მამამ, შენ რა ულელზე დასაჯდომი ხარ, ხომ ჩამოვარდი, და გაგჭყლიტეს ხარებმაო.

არა, უნდა დავუჯდე, და უნდა დავუჯდეო, აინიჟა ცეროდენამ.

ჩამოვიდა მამა. ცეროდენა დაუჯდა, მაგრამ გადმოვარდა და კამეჩის პატივში ჩავარდა.

ეძება მამამ, მაგრამ ვერ იპოვა და ვერა. დაიკარგა ჩვენი ცეროდენა. ვინ იცის, რა მოუვიდა!

დაღონდა დედაცა და მამაც.

ბედად ცა მოიღრუბლა, წარბი შეიკრა, შავი ღრუბლების ზეწარი გადიბურა, დაიქუხა, დაიგრიალა. გააგრიალ-გამოაგრიალა თავისი რკინის ბურთები ცაზე და კოკისპირულად წამოუშვა წვიმა. წამოვიდა წყალი და კამეჩის პატივიც წაიღო. გაშალა, გაფანტა და ჩვენი ცეროდენა უვნებლად კი ამოვიდა. გამოირეცხა პირი, ყურები და ისევ ის ბიჭი დადგა. ბედზე ერთი წვეტიანი ჯოხი იშოვა. ცოტათი შესცივდა კიდევაც. წამოვიდა და ვაზების ქვეშ ცეცხლი დაინთო, მოუჯდა გვერდზე და თბებოდა.

ერთიც ვნახოთ მგელი მოძუნძულდა, დაინახა ცეროდენა და ესიამოვნა: ერთი ლუკმა მაინც გამომივაო.

მივიდა ცეროდენასთან და უთხრა, რომ შეგჭამო, რას იზამო.

ვერ შემჭამო, უპასუხა ცეროდენამ გულადად. წამოხტა და მგელს თავისი წვეტიანი ჯოხით შეუტია. მგელმა პირი გააღო და ჩვენი ცეროდენა პირში მოიქცია.

მგელს ძვლების ხვრაში ერთი კბილი ჰქონდა ახლადმოტეხილი და საშინლად სტკიოდა. ჩაჯდა იმ ნაკბილარში ცეროდენა და დაუწყო ჯოხით ჩხვლეტა მგელს პირში. მგელს საშინლად სტკიოდა, ეწვებოდა და ღრიალი მორთო; გამოდიო, შეეხვეწა ცეროდენას მგელი.

ვერ გამოვალ, შენ გინდა ისევ შემჭამო, კბილებში რო-

გორმე მიგდო, უპასუხა დინჯად ცეროდენამ, მე აქაც კარგა-თბილად ვარო.

მგელს კბილი ძალიან ეწოდა. შეჰფიცა ცეროდენას, ოღონდ გამოდი მანდედან და, პირიქით, ოქროს მატყლიან ერკემალსაც გაჩუქებო.

გამოვიდა ცეროდენა კბილიდან. მგელსაც დაუამდა ტკივილი. აჩუქა ერთი ოქროს მატყლიანი ერკემალი ცეროდენას და თვითონ თავის გზაზე გასწია.

ცეროდენა უდგას თავის ოქროს მატყლიან ერკემალს და აძოვებს. თან მღერის და უკრავს ჩალის სტვირსა.

ყაჩაღებმა ჩამოიარეს, საყდრის გატეხა უნდოდათ, მაგრამ რადგან საყდრის კარები შიგნიდან იყო დაკეტილინ ვერაფერი მოეხერხებინათ. ცეროდენა რომ დაინახეს, ძალია გაუხარდათ.

წამოდი, უთხრეს ცეროდენას, საყდარში გადაგსვამთ ფანჯრიდან, კარები გაგვიღე და, რასაც გამოვიტანთ, შენც გიწილებთო.

არა მცალიან, ჩემს ერკემალს რაღა ვუყო, უპასუხა ცეროდენამ, ხო მგელი შეჭამს, მარტოკა რო დავაგდოო?

ყაჩაღებმა არ დაიშალეს, ნახევარს მოგცემთო, უთხრეს და, როგორც იყო, დაიყოლიეს, წაიყვანეს და გადასვეს ფანჯრიდან.

ცეროდენამ გაუღო კარები. როცა ყველაფერი გამოალაგეს, ცეროდენამ უთხრა ყაჩაღებს, მომეცით ჩემი ერკემალი და დაპირებული ნახევარიო.

ყაჩაღებმა ნახევარზედაც უარი უთხრეს და ერკემალიც წაართვეს. დარჩა ცარიელი ცეროდენა.

ცეროდენა მაშინვე სოფლისკენ გაიქცა ყვირილით, მდევარი, მდევარი ჩქარა, ყაჩაღებმა საყდარი გაცარცვესო.

მაშინვე დიდი, პატარა გამოეკიდნენ ყაჩაღებს, დახოცეს, ის ოქროს ერკემალიც წაართვეს და ის ნაპარავი ნივთებიცა.

ჭირი იქა, ლხინი აქა,
ქატო იქა, ფქვილი აქა.

ს ა მ ი ღ ა

იყო ერთი ცოლ-ქმარი; ჰყავდათ სამი ქალი. ძალიან ღარიბად იყვნენ. არაფერი ებადათ; მამული არა ჰქონდათ და დედული.

ერთხელ იმ კაცის ცოლი თაროსა სწმენდდა; თაროს წმენდის დროს ძირს სამი პურის მარცვალი გადმოვარდა. წაიღეს ეს მარცვლები, გაჩიჩქნეს მიწა და დათესეს. ყანა მოვიდა ისეთი, რომ ავი თვალით არ შეეხედებოდა, ზღვასავით იწვა. თავთავისაგან მისხეპილი და მიწოლილიღა იყო. ცოლ-ქმარიც ძლივს შესცქეროდნენ; სიხარულით ცას ეწეოდნენ.

აი, დამწიფდა მარცვალიც, შემოვიდა ყანა. ყველანი წავიდნენ მოსამკალად. მომკეს, შეკონეს და დადგეს ექვსფეხიანი უზარმაზარი ძნა. დაანებეს თავი და წამოვიდნენ სახლში.

მეორე დღეს მამამ გაგზავნა უფროსი ქალი ძნის სანახავად. მივიდა ქალი, შეხედა, ძნას ერთი უზარმაზარი გველეშაპი შემოჰკვრია, სულ შემოსწვდენია ამ ექვსფეხიან ძნას და კუდი პირში უჭირავს, ქალს შიშით გული წაუვიდა.

მოვიდა მამასთან, უთხრა, რომ ასე არის საქმეო!

მამამ ახლა შუათანა ქალი გაგზავნა, ჰკითხე, რა უნდა, რისთვის მოვიდაო.

ქალი შიშით კინაღამ მოკვდა, ვერაფერიც ვერა ჰკითხა.

მერე უმცროსი ქალი გაგზავნა მამამ.

ქალი მივიდა გველეშაპთან და ჰკითხა, რა გინდა, რისთვის მოსულხარ, შეგვატყობინეო.

გველეშაპმა უთხრა, წადი, მამაშენს უთხარი ერთ-ერთი ქალი მომცეს ცოლადაო.

ქალი წავიდა მამასთან და უთხრა გველეშაპის დანაბარები.

მამამ უფროს ქალს უთხრა, გაჰყვები თუ არა, შვილო?

აბა, რა! უპასუხა უფროსმა ქალმა, აღარაფერს დაეუკლებ, მე მაგას ცოლად გავყვეო!

შუათანამაც ისა სთქვა. ჯერი უმცროსზე მიდგა. უმცროსმა ქალმა თქვა, გავყვებიო!

წამოიყვანა გველეშაპმა ეს ქალი და წამოვიდა. წინ გველეშაპი მიცურავს და უკან ქალი მისდევს. იმ სოფელს რომ გასცდნენ, გადიძრო გველეშაპმა ტყავი და ისეთი ვაჟკაცი გამოდგა, რომ უკეთესი აღარ იქნება. ქალს ძალიან გაუხარდა.

ქმარმა უთხრა, ჩვენს ქვეყანაში ქაჯურად ლაპარაკობენ; ჩემმა დედამ რო გითხრას, კოკა გატეხეო, უნდა მიუტანო; რო გითხრას, წყალი დააქციეო, უნდა მიუტანო; რო გითხრას, თონე დაამტვრიეო, შენ უნდა გაახურო; რო გითხრას, სუფრა აალაგეო, შენ გაშალე; რო გითხრას, ჯამები დაამტვრიეო, შენ მოიტანე.

ასე დაარიგა ცოლი და წავიდნენ.

ქაჯების ქვეყანაში რომ მივიდნენ, დედამთილმა დასაქმა ახალი რძალი: წყალი დააქციეო, რძალმა აიღო და მიუტანა. ყველაფერი ისე აასრულა, როგორც ქმარმა დაარიგა. ძალიან უკვირდა ყველას, ახალი მოსული არის და როგორ იცის ყველაფერი აქაური რიგი და წესიო.—ყველამ მოიწონა და შეიყვარა.

ქალი დაორსულდა. მშობიარობის დრო რომ მოახლოვდა, წინაწვევად მამის სახლში, სამშობლოში წაიყვანეს. დებს ძალიან შეშურდათ იმისი ქმარი და ცხოვრება.

მოილოგინა ქალმა. ვაჟი ეყოლა. ქმარიც მოუვიდა. როცა წასვლა დააპირეს, უფროსმა დამ გაყოლა მოინდომა.

დამ უთხრა, ნუ წამოხვალ, ჩემი დედამთილი ბოროტია, შენ ის არ მოგასვენებსო.

ქალმა არ დაიშალა და გაჰყვა.

გზაზე რომ მიდიან, ცოლისდამ უთხრა სიძეს, ბავშვი დედას უჭირავს ხელში, ბავშვს მე გამოვართმევ, შენ წინ წადი და მოგეწევითო.

ვაჟი წავიდა წინ და დები უკან მიდიან.

გზაზე ერთი მსხმოიარე ვაშლი შეხვდათ. ძალიან მაღალი იყო და გლუვი, უტოტო.

დამ უთხრა უმცროს დას, მოდი, დაო, ჩემი ტანისამოსი ჩაიცვი, შენი ტანისამოსი აღარ დაგეხევა, მე გიზურგულებ, ადი ამ ვაშლზე, დაკრიფე, სანამ ჩამოხვალ, ბავშვს მე დავიჭერო.

რას იფიქრებდა საბრალო დედა? შვილი დას მისცა, დამ უზურგულა და ქალი ისე ავიდა ვაშლზე. იმან ვაშლს დაუწყო კრეფა. ქალმა აიყვანა ვაჟი ხელში და გზას გაუდგა. ტირის ბავშვი, ტირის, სულ მუშტისტოლა ცრემლებს აბნევს, მაგრამ ვინ უგდებს ყურს?!

ზის ქალი ვაშლზე და ესმის შვილის ტირილი. ვერ გასძლო და დაუძახა დას:

ნუ მიტირებ წულსა, ყრმასა
შემომისვი ქანდარასა,
მოგიწოვებ პატარასა.

ამ ქალმა სიძე რომ დაინახა, დაუძახა, მოიცადე, ადამიანო, რძე გამიშრა და ბავშვი მიტირისო.

დაუცადა კაცმაც. იმასაც თავისი ცოლი ჰგონია, რაკი ისე არის მორთული, როგორც იმისი ცოლი.

წამოვიდნენ შინ და წამოიყვანეს ვაჟიც.

და რაღა უყავ, რო აღარ არის აქაო, ჰკითხა გველეშაპმა.

მე ვუთხარი, რო ჩემს დედამთილს ვერ გაუძლებ-მეთქი და უკან დაბრუნდაო.

მივიდნენ სახლში.

დედამთილი ეუბნება, რძალო, ლიტრა გატეხეო!

ისიც აიღებს, დასცხებს და ჩახ!

ჯამები დაამტვრიეო!—ისიც აიღებს, დასცხებს და ამტვრევს!

თონე გატეხეო!

აიღო ცული, დასცხო და დაამტვრია!

ყველამ ეჭვი შეიტანა; აქ რაღაც ამბავიაო!

რაკი რძე არა ჰქონდათ, ერთი ძროხა ჰყავდათ და იმის რძით დაუწყეს ბავშვს ზრდა. როდესაც ცოტა მოიზარდა, წაიყვანდა ხოლმე თავის ძროხას მინდორში და თვითონაც იქ ედგა და აძოვებდა...

დედა ვაშლზე რომ დარჩა, იმდენი იტირა, იმდენი იტირა, რომ ცრემლად და სისხლად ჩამოიშალა მიწაზე. სადაც იმისი სისხლი და ცრემლი მოხვდა, ისეთი ლერწამი მოვიდა, როგორც ტყე. ათასნაირი ყვავილი და ბალახი გაიშალა.

ერთხელ პატარა ბიჭმა წაიყვანა ძროხა და იმ ვაშლთან მივიდა. მოსტეხა ერთი ლერწამი, ფჩხილით გააკეთა სტვირი, დაუკრა და დაუკრა. სტვირი უკრავდა და თან იძახოდა:

— სტვირო, სტვირო,
რასა სტირო?
— მე დედაშენი ვშავდები,
შენ ჩემი შვილი ბრძანდები!

სტვირი სულ ამას იძახდა. ვაჟმაც მიიკრა გულში სტვირი და აღარ იშორებდა გულიდან.

სახლში რომ მოვიდა, მოიტანა, დაუკრა და სტვირმა ისევ ის სიტყვები დაუკრა...

ქალს ეს გულზე ცეცხლად წაეკიდა. წაართვა სტვირი ბავშვს და დაუმტვრია, მაგრამ ნატეხი სტვირი ისევ უკრავდა და იძახდა:

— სტვირო, სტვირო,
რასა სტირო?
— მე დედაშენი ვშაედები,
შენ ჩემი შვილი ბრძანდები!

ქალმა გაიგონა კიდევ, წაართვა ნამტვრევებიც ბავშვსა და თონეში ჩაყარა. ნამტვრევები რომ დაიწვა, ნაცრისა ქალის სახე გაკეთდა და მიესვენა თონეზე. ბავშვიც იქვე იჯდა და ჩასტიროდა თავის სტვირსა.

ჩაიხედა იმ ქალმაც და დაინახა თონეში ქალის სახე. გაცეცხლდა, გაბრაზდა, ამოაღებინა ნაცარი და ბანზე დაა-პნევინა.

ბანზე ერთი მშვენიერი ალვის ხე ამოვიდა. ნახა გველ-ვეშაპმა, ძალიან გაუხარდა; აატანინა ლოგინი და დაიდგა იმის ქვეშ.

ღამე. რომ დაეძინებოდა, ჩამოჰხრიდა ალვის ხე ტოტებს და ჩაეკონებოდა მძინარე ქმარსა.

ქალი კი სიბოროტითა კვდებოდა. მოიავადმყოფა თავი და უთხრა ქმარსა, თუ მაგ ალვის ხეს მოსჭრით. მაგის ვარცლს გააკეთებთ და შიგ იმ ვარცლში მაბანებთ, ხომ კარგი, მოვრ-ჩები, თუ არა და მოვკვდებიო.

ჯანაბას შენი თავი, თუ მოკვდები, უპასუხა ქმარმა, მოკვდი, მორჩი და მომასვენეო.

გველვეშაპი სანადიროდ წავიდა.

ცოლმა მუშებს დაუძახა და მოაჭრევინა ალვის ხე, გაა-კეთებინა ვარცლი, მაგრამ არ გაიბანა კი; რომ ავად არ იყო, რას გაიბანებოდა?

მოვიდა ქმარი. ძალიან ეწყინა და გაჯავრდა, მაგრამ ჯავრობით რაღას უშველიდა?

ერთი იმ ალვის ხის ნაფოტი ერთი უშვილო ბებრის ბანზე დაეცა. იპოვა ბებერმა, შეიტანა და სახაშეს დააფარა.

ბებერი რომ სადმე წავა, ის ნაფოტი გადაიქცევა ქალად, დაჰგვის, დაარაკრაკებს იქაურობას, დარეცხავს ჯამ-ჭურჭელს, დაალაგებს, ისევ ნაფოტად გადაიქცევა და ისევ სახაშეს დაე-ფარება.

მოვა ბებერი, დაინახავს დაგვილ-დაწმენდილ სახლს, დარეცხილ-დასუფთავებულ ჭურჭელს, უკვირს. მიდის მეზობლებში და ზოგ ვის ეუბნება მადლობას, რომ მაგრე უვლით ჩემ სახლსაო, ზოგ ვისა.

ბოლოს ყველამ უთხრა, შენს სახლში ფეხიც არ შეგვიდგამს, არც დაგვიგვია და არც დაგვისუფთავებია. იქნება ვინ იყოს, უყარაულე და მოატანე სახლში. რო გამოხვიდე, კარებს უკან დაიმალე და უცქირეო.

ბებერი სწორედ ისე მოიქცა, როგორც უთხრეს.

დაიმალა კარებს უკან და დაუწყო ცდა.

ნაფოტმა იფიქრა: ახლა კი წავიდა ბებერიო, იქცა ქალად და დაუწყო სახლს დაგვა და დაწმენდა. მიეპარა ბებერი, სწვდა და დაიჭირა.

— ვაიმე!—დაიწივლა ქალმა.

— ნუ გეშინიან, შვილო, შენ შვილი და მე დედა,— უთხრა ბებერმა,—ღმერთმა სხვა შვილი არ მომცა და შენ მაინც იყავ ჩემი შვილი.

ქალსაც ძალიან გაუხარდა. ამას იქით ერთად იყვნენ და ცხოვრობდნენ ტკბილად.

ერთხელ ქალი შეეხვეწა ბებერსა, შენი ჭირიმე, ჩემო დედავ, აქ რომ ვეშაპია, ის დავპატიჟოთ, იმის ცოლიცა და შვილიცაო.

ბებერმა ნება დართო, რატომ არა, შვილო, ვინც გინდა, მე რა წინააღმდეგი გაგიხდები, დავპატიჟოთ, თუკი ვინმე გესიამოვნებაო.

გამართა ქალმა სადილი და მიიპატიჟა თავისი ქმარი, შვილი და და.

სადილზე სადღეგრძელოები რომ ჩამოარიგეს და ყველამ მიირთვა, ქალმა აიღო ჭიქა, დაასხა ღვინო და დალოცა.

— გაცოცხლოს შენ, ჩემო ქმარო, შენც, ჩემო შვილო და შენც, ჩემო დაო!

ქმარს აქამდისაც ეცნობოდა ეს ქალი, გულიც შეუვარდა და ახლა კი დარწმუნდა, რომ იმის ცოლი ეს იყო.

ქალმა დაწვრილებით უამბო ყველაფერი. მოაბა ქმარმა

ის მოლალატე ქალი ცხენის ძუას და დააჩქლეთინა. თვითონ ისევ თავისი წინანდელი ცოლი შეირთო და ბედნიერად იცხოვრეს.

ჭირი იქა, ლხინი აქა,
ქატო იქა, ფქვილი აქა.

მუჭა-ნახევარა

იყო და არა იყო რა, იყო ორი კაცი. ერთი ქოთანი ლობიო ჰქონდათ, მარილი კი აღარა ჰქონდათ, რომ შეჭამადისათვის დაეყარათ. შედგეს შეჭამადი.

ერთმა უთხრა მეორეს, ხომ ხედავ, მარილი არა გვაქვს, წადი ქალაქში და იყიდე მუჭა-ნახევარი მარილიო.

დამავიწყდება, უპასუხა მეორე კაცმა, როგორ დავიხსომოო.

წადი და გზაზე სულ ის იძახე: მუჭა-ნახევარი, მუჭა-ნახევარი-თქო.

წავიდა ეს კაცი მარილის საყიდლად ქალაქში. გზაზე ერთი კაცი დაინახა, მოუხნავ მამულში პურსა თესავს და თან იძახის: ერთი ათასად, ერთი ათასადო!

გაიარა კაცმაც და თან ყვირის: მუჭა-ნახევარი, მუჭა-ნახევარიო!

მთესველს ბრაზი მოუვიდა, მე ერთი ათასად მომივიდეს, იმას ვითხოვ და შენ მუჭა-ნახევარს ამბობო. დაიჭირა და მაგრა სცემა, გული რომ მოიჯერა, თავი დაანება.

კაცმა უთხრა, რათა მცემ, რა დაგიშავე, კინაღამ მომკალიო!

იმიტომ გცემე, უპასუხა მთესველმა, რომ მე ვიძახოდი ერთი ათასად და შენ—მუჭა-ნახევარსაო!

მაშ როგორ უნდა მეთქვაო, ჰკითხა კაცმა.

ერთი ათასად, ერთი ათასად და ბევრსაც დაგიმადლებდიო, უპასუხა მთესველმა.

წავიდა აქედან მარილის მყიდველი და ერთ სოფელში მივიდა.

კაცი ვინმე მომკვდარა და მარხავენ. გაუარა გვერდზე ამ კაცმა და დაუძახა, ერთი ათასად, ერთი ათასადო!

გამოუხტნენ ეს მკვდრის პატრონები, მიარტყეს და მიარტყეს. გული რომ მოიჯერეს, თავი დაანებეს.

რაზე მკლავთ, თქვე ურჯულოებო, მაშ როგორ უნდა მეთქვაო, ჰკითხა მარილის მყიდველმა.

როგორა და ასე უნდა გექნა: უნდა მოსულიყავ, ქუდი მოგეხადა და გეთქვა: ღმერთსა ვთხოვ, რომ ეგ ამბავი პირველი და უკანასკნელი იყოს თქვენს ოჯახში-თქო! პატივსაც ბევრსა გცემდით და გაგისტუმრებდითო!

წამოვიდა იქიდანაც მუჭა-ნახევარა და ერთ ადგილას ნეფიონს შემოხვდა. მოიხადა ქუდი, დადგა და დაუძახა, ღმერთსა ვთხოვ, რომ თქვენს ოჯახში ეგ ამბავი პირველი და უკანასკნელი იყოსო!

გადმოუხტნენ მაყრები, დადეს, მიარტყეს და მიარტყეს, რაც სიგრძე ჰქონდა, ის სიგანე მისცეს. გული რომ იჯერეს, თავი დაანებეს.

მუჭა-ნახევარმაც, როგორც იყო, მოიბრუნა სული და უთხრა მაყრებსა, რაზე მკლავთ, რა დაგიშავეთ? მე ეგრე მასწავლეს, მაშ როგორღა უნდა მეთქვაო.

მაყრებმა უთხრეს, უნდა ქუდი მოგეხადა, მოსულიყავ და სულ „ნეფეს გაუმარჯოს“, „ნეფეს გაუმარჯოს“, გეყვირაო.

ამათ რომ გადარჩა მუჭა-ნახევარა, ისევ თავის გზას გაუდგა. მას ცემისაგან გვერდები სტკიოდა. იმასღა ფიქრობდა: როგორა ვთქვა, რომ ვინმე შემომხვდესო.

გზაზე ერთ მონადირეს შემოხვდა. მიწაზე მტრედები ისხდნენ, მონადირეს შემოუყენებია ჩახმახი და ეპარება მტრედებს. მუჭა-ნახევარამ მაშინვე მოიგლიჯა ქუდი და „გაუმარჯოს“ ძახილით გაიქცა მონადირისაკენ. მტრედებმა რომ დაინახეს თავისკენ მიმავალი კაცი, აფრთხიალდნენ და გაფრინდნენ.

წამოხტა მონადირე და გაიქცა კბილების კრაჭუნით მუჭა-ნახევარასაკენ. სდო და სდო თოფის კონდახი ზურგში, იმდენი სცემა, კინაღამ სული ამოაპარა. ბოლოს გული რომ მოიჯერა, დაანება თავი.

მუჭა-ნახევარამ ჰკითხა, სამართალი აღარა გაქვს, კაცო, რო მცემ, რათა მცემ, რა დაგიშავე? მაშ როგორ უნდა მოვქცეულიყავ, ან რა მეთქვა, ან რა მექნაო?

მონადირემ უთხრა: ხმა არ უნდა ამოგეღო, უნდა დაკუზულიყავ და ისე გაგევლო; მტრედები ვეღარ დაგინახავდნენ და აღარც ეს კონდახი მოგხვდებოდაო.

მიდის მუჭა-ნახევარა და ღობეს მიადგა. დაიკუზა და ისე მიიპარება ღობის ძირზე. ოთხ კაცს ფულიანი ქისა დაუკარგიათ და ეძებენ. მუჭა-ნახევარა რომ დაინახეს როგორ მიიპარება, გამოუდგნენ, სტაცეს ხელი ჩოხის ბოლოში და დაიჭირეს.

სად მიიპარები, შე ყაჩაღო და არამზადა, შენა, იპოვე და ჰმალავო?! უდეს და უდეს.

იმდენი სცემეს საწყალ კაცს, რომ შინამდის ფეხები ვეღარ მიათრია...

ჭირი იქა, ლხინი აქა,
ქატო იქა, ფქვილი აქა.

სოვდაგარი და გლახა

იყო და არა იყო რა, იყო ერთი სოვდაგარი. ჰქონდა ბევრი ფული.

ერთხელ სოვდაგარი ერთ დიდ შარაზე მიდიოდა. წინ გლახა შემოსვდა და ხელი გაუშვირა მოწყალებისათვის.

სოვდაგარმა შეხედა გლახას და პატიოსან კაცად ეჩვენა, ითქვა: მოდი, რაც იქნება, იქნება და ერთი მაგას კი გავამდიდრებო.

მიუბრუნდა გლახას და უთხრა, ახლა არა მაქვს ფული ჯიბეში, ამა და ამ დღეს ამოიარე ამ გზაზე, იმ დიდი ქვის ქვეშ ნახავ ფულს, გამოიღე და წაიღეო.

გასცდა სოვდაგარი გლახას და წავიდა თავის გზაზე.

გამოვლის დროს მართლა ერთ პარკში ჩაყარა ასი თუმანი, ასწია ქვას და ამოუდო ქვეშ.

გამოიარა გლახამ, ასწია ქვასა და მართლაც იპოვა ფულიანი პარკი. გლახას ძალიან გაუკვირდა: მოწყალება ერთი კაპიკია, ორი კაპიკია, ერთი შაურია, ბევრი-ბევრი ერთი

მანეთია და ეს ასი თუმანი რა ხათაბალა არის. იქნება აქ სხვაც რამ იყოსო.

აიღო ბარი და დაუწყო თხრა. კარგა რომ გათხარა მიწა, ბარი ქვევრის სარქველზე აჩქამდა. ამოთხარა გლახამ და აღმოაჩინა უთვალავი ხაზინა. გლახამ მაშინვე გაზიდა ეს ფული ქალაქში, ააშენა სახლები, შეირთო ცოლი და დაიწყო ხელმწიფესავით ცხოვრება.

გავიდა რამდენიმე ხანი. სოვდაგარი მრავალნაირ სნეულებით დაავადდა, მრავალ საშუალებას მიმართა მორჩენისათვის, ბევრს ჰკითხა რჩევა, მთელი თავისი ცხოვრება სულ ექიმებზე გადააგო, მაგრამ არ იქნა—ვერაფრით მორჩა. გაღარიბდა, გასაწყლდა, აღარა ებადა რა, რომ ეჭამა, დადიოდა და თხოულობდა მოწყალებას. ქალაქი შეაწუხა ამის თხოვნამ, ბოლოს მოინდომეს გაძევება.

იმ ქალაქში წინანდელმა ნაგლახაკარმა ააშენა გლახებისათვის სახლი და აკმევდა და ასმევდა, აცმევდა და ინახავდა ყველა გლახას, ვინც იმას კარებზე მიადგებოდა.

გაიგონა ნასოვდაგარმა, რომ ამა და ამ ადგილას გლახებს მოწყალებას აძლევენო; თვითონაც იქ წავიდა და მივიდა იმისგან გამდიდრებული გლახის კარზე. იცნო ნაგლახაკარმა, შეიყვანა შინ და დაუწყო ძმასავით მოვლა.

სადილსა და ვახშამზე დაისვამდა გვერდზე და თავისთან აკმევდა პურს. მართლა ბევრს ეუბნებოდა ცოლ-შვილს ნაგლახაკარი: ამისაგან გავმდიდრდითო, მაგრამ ცოლ-შვილს ეზიზღებოდა იგი.

ბოლოს ერთი ექიმი გამოჩნდა. იმან თქვა, მე მოვარჩენ მაგასაო.

გლახას ძალიან გაუხარდა, მაგრამ მალე ექიმმა უთხრა, თუ მაგ შენ შვილებს დაჰხოც და იმათ სისხლში ვაბანებთ,—მორჩება, არა და—არაო.

დაფიქრდა ნაგლახაკარი და თქვა, დიდება შენთვინა, ღმერთო! ეგ სოვდაგარი რო არა ყოფილიყო, ხომ არც ჩემი შვილები იქნებოდნენო.—შეაყვანინა შვილები ოთახში, აასრულებინა ექიმის რჩევა.

სოვდაგარი მაშინვე გასაღდა. სადილზე დასხდნენ და მოიმხიარულეს თავი. ნაგლახაკარი კი დაღვრემილი იჯდა.

ცოლმა ჰკითხა, რას დაუძმარებიხარ, ბავშვები რატომ გვერდზე არ გისხედან ჩვეულებისამებრო.

შედი, გამოიყვანე, აიმ ოთახში არიანო, მიუშვირა ქმარმა ხელი, სადაც დახოცილი ბავშვები ეყარნენ, და ახლა შენ დაისხიო.

შევიდა დედა. ბავშვები თამაშობდხენ და ხტუნაობდნენ.

დედამ ბავშვები მიუსხა სუფრას. სოვდაგარს აჩუქა ათასი თუმანი და გაისტუმრა.



ზღაპარი უხეირესი

იყო და არა იყო რა, იყო ერთი ცოლ-ქმარი,—ღარიბები და უქონლები. ერთი ვაჟი მიეცათ, დაარქვეს „უხეირო“, მაგრამ ვერ გაზარდეს, ძუძუ არ ჰყოფნიდა.

წაიყვანეს ქალაქში, იქნება სამადლოდ ვინმემ აიყვანოსო.

ხელმწიფემ აიყვანა და დაუწყო ზრდა. მაგრამ ეს ბავშვი ისეთი მჭამელი გამოდგა, რომ ძლივს აძღებდნენ. როცა მოიზარდა, თითო თონე პური და თითო ცხვარი არა ჰკმაობდა. როცა ვაჟკაცი გახდა, მაშინ ხომ ვეღარაფრით ვეღარ აძღებდნენ. რამდენიმე ხარს ერთად შეჭამდა და იმდენსავე კოკა ღვინოს დალევდა, მაინც ისე იყო, თითქოს არაფერი უჭამიაო. გაბეზრდა ხელმწიფე; ხაბაზები პურის გამოცხობას ვერ ასწრებდნენ და მზარეულები მოხარშვას.

რაკი ყველა გაბეზრდა, ხელმწიფემ დაიბარა უხეირო, მისცა ორასი თუმანი ფული, ერთი გუთნეული ხარ-კამეჩი და გაგზავნა მამასთან.

მოვიდა დედ-მამასთან უხეირო, მაგრამ ერთი-ორი დღეც ვერ დარჩა. რა უნდა ეჭამა, რით უნდა გაეძღო მუცელი? ადგა და ისევ ხელმწიფეს მიადგა კარებზე. ხელმწიფეს უხაროდა: ეგ არის მოვიშორე თავიდანაო, მაგრამ, რაკი ისევ კარებზე მიადგა, რაღას იტყოდა! იფიქრეს, ამას ძალით ვერ გავაგდებთ და ისევ ისა სჯობია ხერხით მოვიშოროთ როგორმეო.

საშინელი ღონიერი იყო უხეირო, იმის ღონისა კაცი არავინ იყო.

უბრძანეს, ამა და ამ ადგილას რომ დიდი მთა არის და მთაზე ტყე, იმ ტყიდან უნდა შეშა მოიტანოო...

ეს ტყე ორასთავიან დევს ეკუთვნოდა; იმის შიშით ნიავიც კი ვერ გაიჩუჩუნებდა, ფრინველიც ვერ შეფრინდებოდა იმ ტყეში.

— მომიტანეთ ცული!—დაიძახა უხეირომ.

მოუტანეს ალმასის ცული. შემოჰკრა იქვე კედელს და სულ მიაფშვნიტა. გაუკეთეს ათფუთიანი, ისიც მიამტვრია. ბოლოს ოცფუთიანი გაუკეთეს. გაიდვა მხარზე და გასწია დევების ტყისაკენ.

მივიდა ტყეში. შემოჰკრა წიფლებს, სულ ჩხირებივით დაამტვრია. დგას ერთი ლეწა-მტვრევა და ჩახაჩუხი.

გაიგეს დევებმა და გამოქანდნენ მაშინვე. არ მოგიკვდეთ უხეირო, არც შემდგარიყოს და არც გაქცეულიყოს! სტაცა ორივე დევს ხელი, ამოიჩარა იღლიის ძირში, მიიყვანა, შეაბა კამეჩივით, დაუწყო ეს მთელ-მთელი წიფლები და დაირეკა; სულ გუგუნით მიატანინა ხელმწიფის კარებზე.

ხელმწიფეს მოახსენეს, გამობრძანდი, რამდენი შეშა მოიტანა უხეირომაო.

გამოვიდა ხელმწიფე, კინაღამ გული წაუვიდა ამ დევების დანახვაზე.

მოხსნა უხეირომ შეშა დევებს, ახსნა უღელი, გაუშვა ნებაზე და უთხრა, კაცის ნათესავს ამას იქით აღარა ავნოთ რაო!

გავიდა ხანი.

დაუწყეს უხეიროს, უნდა წახვიდე და უკვდავების წყარო მოიტანოო.

უხეირო რა უარს იტყოდა! ეს იყო, რომ არ იცოდა, საითკენ იყო ის უკვდავების წყარო. ამ უკვდავების წყაროს ორი ბუღა კამეჩი ჰყარაულობდა. ეს კამეჩები რომ დაინახავდნენ იქითკენ მიმავალ კაცს, გაექანებოდნენ, დაეჯახებოდნენ და გაჭყლეტდნენ.

უხეირომ უთხრა, წავალ და მომეცით, რით მოვიტანოო.

მოუტანეს გოზაურები. სთხლიშა ერთმანეთს და დაამსხვრია.

ბავშვი ხომ არა ვარ, ამეებით სად წავიდე. მომიტანეთ დიდი რამეო.

ახლა ქვევრები მოუტანეს. ჰკრა ეს ქვევრებიც ერთმანეთს და დაამსხვრია.

მომიტანეთ დიდი რამეო!

მაშინ მოუტანეს ორი ას-ას კოკიანი რუმბი, გადიწყო მხარზე და გასწია.

ბევრი იარა თუ ცოტა იარა, მივიდა უკვდავების წყაროსთან. გამოექანნენ კამეჩები, უნდა დაეჯახნენ და გაჭყლიტონ. სტაცა უხეირომ ყურებში ხელი, დაგრიხა სქელი შიმელები, მოგლიჯა ერთი ჭადარი, დაადო კისერზე უღლად, შეაბა კამეჩები, მერე რუმბები დაავსო, გადაჰკიდა უღელზე დასცხო და დაირეკა კამეჩები ხელმწიფისკენ.

ხელმწიფეს მოხსენდა, უხეირო თვითონაც უპირველი მოვიდა, კამეჩებისათვისაც ის რუმბები მოუბამს და მოიტანაო.

ხელმწიფემ რომ ეს კამეჩები დაინახა, კინაღამ გული გაუსკდა, ჯერ უხეიროს ვერ ვუძლებდი, მაგათ სადღა გავუძლო; უთხარით კამეჩები ისევ გაუშვასო.

უხეირომ გამოუშვა კამეჩები, მოსცხო თითო-თითო სახრე და გარეკა, გასწით, როგორც გიცხოვრიათ, ისევ ისე იცხოვრეთო.

მაინც კიდევ არ დაწმნდა ხელმწიფის წყალი. კიდევ

ეძებდა მიზეზს, სადმე იმისთანა ადგილს გაეგზავნა უხეირო, რომ დაღუპულიყო.

ერთ ადგილას ელიას ყანა იყო. ასი დღის მიწას გარს სულ გალავანი ევლო და შიგ ყანა ეთესა.

უხეიროს უთხრეს, ეს ცხვრის ფარა უნდა ელიას ყანაში გარეკო და აძოვოო.

გაირეკა უხეირომ ერთი ფარა ცხვარი ელიას ყანისკენ. შერეკა ყანაში, ფარას თავი მიანება, თვითონ წამოწვა და დაიძინა.

გადმოიხედა ელიამ. ხედავს იმის ყანას ცხვარი შეჰსევია და აოხრებს. დაუშვა და დაუშინა სეტყვა, ისეთს ისვრის, სულ ხის ტოტებს ამტვრევს. ეს ფარა ისე გაწყვიტა, რომ ერთი თხაღა დარჩა, ისიც სადღაც ჯაგებში შემძვრალა და ამიტომ გადარჩა. ამ უხეიროს კი აინუნშიაც არ მოსდის, სძინავს გულიანად.

ელიამ, რაც ძალა და ღონე ჰქონდა, არახუნა სეტყვა, შაგრამ მაინც ვერ გააღვიძა. მაშინ განრისხებული გადმოვიდა და დააწვა უხეიროს ზევიდან. წამოდგა უხეირო, გადიბრუნა ელია და დააჯდა ზევიდან.

ამიშვიო, უთხრა ელიამ.

უხეირო არ უშვებს.

ამიშვიო, სთხოვა კიდევ ელიამ.

დამლოცე და აგიშვებო, უთხრა ელიას უხეირომ.

მაშინ დალოცა ელიამ, რომ ჯერზე ნახევარი პური ეჭამა, ნახევარი ჩარექა ღვინო ესვა და ნახევარი გირვანქა ხორცი ეჭამა. აუშვა უხეირომ და გამოსწია თავის გზაზე.

ახლა კი დედ-მამისკენ წამოვიდა. იმათი ნახვა მოუნდა.

ცოტა ხანს იყო უხეირო თავის დედ-მამასთან. ისევ გმირობის სურვილმა მოუარა. ვეღარ დადგა დედ-მამასთან, ადგა და წავიდა თავის თავის საცდელად.

ბევრი იარა თუ ცოტა იარა, უცხო ქვეყანაში გავიდა.

შევხედოთ, ერთი დევი მორბის და თან ერთი გორა უჭირავს და ბურთივით მოაქვს. დადგა უხეირო და დაუწყო ცქერა, კაცო, მე ლამის ქალამნებიც გავიხადო და შენ მაგდენა გორა სად მიგაქვსო.

ხელმწიფის კარზე რომ უხეიროა, ის უნდა გამოვცადოო.

გამოართვა ეს გორა უხეირომ, მოიქნია და სამი მთის იქით გადისროლა.. მერე უთხრა დევს, მეძმობი თუ მეუმობიო.

გეძმობიო, უთხრა დევმა.

ეძმო დევი და ორივენი წავიდნენ.

მოდიან და ერთი დევი მორბის. ხელში ორჯერ იმაზე დიდი გორა უჭირავს და მოათამაშებს.

სად მიხვალ, კაცო, მე ლამის ქალამნებიც გავიხადო, ფეხებს ვერ დავათრევ და შენ მაგოდენა გორას მიარბეინებო? ეკითხება უხეირო.

ხელმწიფის კარზე რომ უხეიროა, ის უნდა გამოვცადოო.

გამოართვა უხეირომ გორა და ორ მთას იქით გადაისროლა. მერე უთხრა: მეუმობი, თუ მეძმობიო.

გეძმობიო, უპასუხა დევმა.

ეძმო და წავიდნენ.

მოდიან და ახლა მესამე დევი შემოხვდა. იმასაც ორჯერ მეტი გორა დაუჭერია, ვიდრე მეორე დევსა, და ბურთივით მოაქანებს.

კაცო, სად მოგაქვს მაგოდენა გორა, მე ცარიელამ ლამის ქალამნებიც გავიხადოო, ეუბნება უხეირო.

ხელმწიფის კარზე რომ უხეიროა, იმას აქებენ და იმის საცდელად მივდივარო.

შორს სიარული რად გინდა, უპასუხა უხეირომ, უხეიროც მე ვარო.

გამოართვა გორა, მოიქნია და ერთი მთის იქით გადააგდო.

მეუმობი, თუ მეძმობიო, ჰკითხა დევსა.

გეძმობიო, უთხრა დევმა.

ეძმო და წავიდნენ ოთხნი ძმადშეფიცულნი.

ბევრი იარეს თუ ცოტა იარეს, მივიდნენ თეთრი დევის

სამფლობელოში; ტყეში დადგნენ. არც პური აქვთ, არც ცეცხლი.

უხეირომ დევებს უთხრა: უნდა წახვიდეთ და, სადაც იყოს, შეშა და პური იშოვოთო.

დევები ისე დაშინდნენ, სულ კანკალმა აიტანა, შიმშილით რომ დავიხოცნეთ, თეთრი დევის შიშით იქ რა მიგვიყვანსო.

ადგა მაშინ უხეირო და თვითონ წავიდა, მე თვითონ მოვიტანო.

შორს დაინახა ცეცხლის ბოლი. მიჰყვა, მიჰყვა და დევის დედასთან მივიდა.

— დედაშვილობას, ორიოდე პური და ცეცხლი გამომიტანე, პური მშიან.

— შენ ვინა ხარ?—ჰკითხა დევის დედამ,—ჩემი შვილის შიშით ფრინველსაც ვერ გადუფრენია ცაზე და რა სულიერი ხარ, აქ რომ მოსულხარ; წადი ჩქარა, თავს უშველე, თორემ ჩემი შვილი სანადიროდ არის, მოვა და შეგჭამს.

— რა მხარეზე არის?—ჰკითხა უხეირომ.

ბებერმაც ასწავლა;

— თუ წყალს გაასწარ არა გიშაეს,—უთხრა დევის დედამ,—და თუ წყალს აქეთ მოგასწრო, იცოდე ვერ გადაურჩები.

უხეირო სწორედ იქით წავიდა, საიდანაც უნდა თეთრი დევი მოსულიყო.

შორიდანვე დაინახა უხეირომ თეთრი დევი, რომ სანადიროდ ყოფილა, ერთი ხარ-ირემი მოუკლავს, ერთი ჭადარი მხარზე გაუდვია და ისე მოდის ღიღინით.

უხეირო ჩაიმალა ხიდის ყურთან და ცხენი რომ მოუახლოვდა, ამოჰყო თავი უხეირომ, „ყვიტ“ თქვა და დევს ცხენი შეუფრთხა.

უჯავრდება თეთრი დევი, მაგრამ ცხენი ფრუტუნებს და წინ არ მიდის.

— აჩუ, შე ოხერო, ხელმწიფის კარზე რომ უხეიროა, იმასაც კი მოვკლავ და მანდ ვინა ზის, ვინ გაშინებს ისეთი, რომ მე ვერ მოვერიო.

მაშინ ამოდგა უხეირო და დაუძახა, აბა თუ მომკლავ, უხეირო მე ვარ და ჩამობრძანდიო!

შეიბნენ უხეირო და თეთრი დევი. დაახეთქა უხეირომ ეს დევი და მოკლა. მერე დააკრა ცხენს მკვდარი და ცხენი გააგდო დევის დედისკენ, აბა თუ თეთრი დევია მძლავრიო!

წამოიღო ცეცხლი და პურები. მოვიდა უხეირო დევებთან, დაანთეს ცეცხლი, ჭამეს პური და მერე ისევ წავიდნენ.

გზაზე აღარა შემთხვევიათ რა, სანამ წითელი დევის საბრძანებელში არ მივიდნენ. დადგნენ აქაც ტყეში, მაგრამ არც პური ჰქონდათ და არც ცეცხლი.

უხეირომ უთხრა დევებს:

— წადით, აქ ახლომახლო ესახლება ვინმე, გამოართვით ორიოდე პური და ცეცხლი.

— აქ წითელი დევი სახლობს და ჩვენ არ შეგვიძლიან ფეხი მივდგათ იქა; წინათაც გვიცდია, მაგრამ მაშინაც ძლივს გადავრჩით ცოცხლები.

— კარგი და მე წავალ,—თქვა უხეირომ.

წამოვიდა და წითელი დევის დედასთან მოვიდა, დედი, ორიოდე პური მომეც და ცეცხლიო.

— აქ რამ მოგიყვანა, ძე-ხორციელს აქ ვერ გაუვლია ჩემი შვილის შიშითა,—უთხრა დევის დედამ,—წადი, სანამ იგი აქ მოსულა, ეცადე წყალს გაასწრო, თორემ თუ აქ მოგასწრო, გაგაფუჭებს.— მისცა პურებიც, ცეცხლიც და წამოვიდა უხეირო.

არ გავიდა ხიდსა, აქეთვე დადგა.

მოდის წითელი დევი, მხარზე ერთი წიფელი გაუდვია, ცხენისთვის ხარ-ირემი გადუკიდნია.

— შენ ვინა ხარ, აქ ჩემი შიშით ძირს ჭიანჭველას ვერ გაუვლია და მაღლა ფრინველს. რა სულიერი ხარ, რომ აქ მოსულხარ?—შესძახა დევმა.

ჩამოუხტა დევი და შეიბნენ. იბრძოლეს კარგა ხანს. მაგრამ დასცა უხეირომ და მოკლა ისიც. გადაჰკიდა მკვდარი ცხენს და დედას გაუგზავნა,—აბა, თუ შენი შვილის შიშით აქ ვერავინ გაიელისო.

ასჭრა ირემს სამწვადეები, წამოიღო პური, ცეცხლი და მოიტანა თავის ამხანაგებთან.

იმ დღესა და იმ ღამეს კარგი დროება გაატარეს. მეორე დღეს ადგნენ და გაუდგნენ გზას. სულ იმისთვის კი დადიან, რომ თავი სცადონ. რამდენიც მიდიოდნენ, ამ დევებს შიში ეტყობოდათ.

ბოლოს ერთ ქვეყანაში მივიდნენ. შავი მთაა, შავი ტყე დგას, შავი ფრინველი დაფრინავს.

დადგნენ, დაისვენეს.

უხეირომ ჩვეულებრივ უთხრა ამ დევებს, პური და ცეცხლი მოეტანათ. ისინი კი შიშით კინაღამ დაქრნენ.

— ამ შავ მთას ხომ ხედავ,—უთხრეს უხეიროს,—იქ შავი დევი ცხოვრობს, იმისი მომრევი ჯერ არავინ არის და იმას თვალით როგორ დავენახვებით. ის გვირჩევნია ავდგეთ, წავიდეთ, გავეცალნეთ ამ დაწყეველილ ადგილს. ერთხელ ჩვენ ვეომეთ მაგას, მაგრამ ცოცხლები ძლივს გადავრჩით.

— არა, მე უკან ვერ დავიხევ; თუ თქვენ არ წახვალთ, მე წავალ და მე მომკლას იმ შავმა დევმა.

ბევრს ეხვეწნენ ძმობილები, ნუ წახვალო, მაგრამ არ დაიშალა. წავიდა და მივიდა შავი დევის დედასთან:

— დედაშვილობას, ორიოდე პური და ცეცხლი მომეცი.

— ვინ ხარ?—უთხრა დევის დედამ,—პური არ მიძევს, ცეცხლი არ მინთია. წადი საიდანაც მოსულხარ, თორემ ჩემი შვილი მოვა და შეგჭამს.

— რა მხრიდან მოდის?

ასწავლა დევის დედამაც.

შევიდა უხეირო, გამოიტანა ძალით პურები, ცეცხლიც წამოიღო და წამოვიდა სწორედ იმ მხარისკენ, საიდანაც შავი დევი უნდა მოსულიყო. წყალთან რომ მივიდა, ხიდის ყურთან დაიმალა. ამ დროს მოდის შავი დევიც. ხარ-ირემი მოუკლავს, ერთი წიფელა მხარზე გაუდვია და მოღიღინებს. ხიდზე რომ შედგა, უხეირომ თავი აძოყო და „ყვიტ“ დაიძახა. ცხენი დაფრთხა, ფრუტუნი დაიწყო. ერეკება დევი ცხენს;

უჯავრდება, მაგრამ ცხენი ფრუტუნებს, ფეხს არ იცვლის ადგილიდან.

— აჩუ, შე საოხრეე; ხელმწიფის კარზე რომ უხეიროა, ისიც კი ცოცხალი ვერ მომრჩება, და ვინ გაშინებს?

— აბა, თუ ვერ მოგრჩება!—და ამოუხტა კიდეც უხეირო.

შეიბნენ. ძალიან დიდხანს იბრძოლეს. უხეირო დაიღალა და თითქო, გაუჭირდა შავი დევის მორევა. ბოლოს, როგორც იყო, მოიკრიბა რაც ჯანი ჰქონდა, დასცა და იქვე სული გაანთხევინა. დააკრა მკვდარი ცხენს და იმის სახლისკენ გააგდო. ასჭრა ირემს სამწვადეები, წამოიღო და მოვიდა.

დევებს ძალიან გაუხარდათ, რომ ცოცხალი ნახეს უხეირო.

— როგორ გადარჩი?—ეკითხებოდნენ. არ იჯერებდნენ, თუ უხეირო შავ დევს მოერეოდა. კაი პური ჭამეს და კარგადაც დაისვენეს.

მეორე დღეს დევებმა უთხრეს უხეიროს:—ჩვენ გზას დასასრული არ უჩანს. აღარ შეგვიძლიან შენ მოგყვეთ, ჩვენ აქ დავრჩებითო.

კარგი, უთხრა უხეირომ, მე უთქვენოდაც გავძლებო.

წაიყვანა ეს დევები. ერთს თეთრი დევის ცოლი შერთო, მეორეს—წითლისა და მესამეს—შავი დევისა.

სამივეს გამოეთხოვა და უთხრა, ნუ დამივიწყებთ; აი, ამ ბურთს დავკიდებ, უცქირეთ და, როცა სისხლმა დაიწყოს წვეთა ამ ბურთიდან, მაშინ იცოდეთ, მიჭირს და მომეშველენითო.

წავიდა უხეირო.

ბევრი იარა თუ ცოტა იარა, ერთ ქალაქში მივიდა. ხედავს, რომ ეს ქალაქი როგორღაც მიჩუმებულია. ექვსი წლისაზე ზევით კაცს ვერა ნახავ, ბავშვების მეტსა. უხეირო ერთ ბებერთან დადგა. ეს ბებერი ძალიან უფრთხილდება უხეიროს. თავის შვილივით ინახავს.

— რად მოხველ, შვილო, აქ რა გესაქმება?

უხეირო მოუყვა და უამბო თავის თავგადასავალი. მეორე დილით შეხედა უხეირომ, რომ ეს ბებერი სადაც რამ ჭუჭრუტანებია ლესავს, რომ შუქი ვერ შემოიპაროს.

უხეიროს ეშვი აღეძრა. ჰკითხა ბებერს:—დედილო, მითხარ, რატომ არ არიან დიდი კაცები ამ ქალაქში?

— რა ვიცი, შვილო, რაღაც არა რჩებიან, სულ იხოცებიან.—არ უნდა უთხრას, მართალს არ ეუბნება.

კიდევ ჰკითხა უხეირომ, კიდეე არ უთხრა ბებერმა.

ბოლოს უხეირომ უთხრა, დედი, ძუძუ უნდა მომაწოვოო.

— რაღა დროს შენი ძუძუა, შვილო, ვაჟკაცი ხარ,— უთხრა ბებერმა.

უხეირო არ მოეშვა. პირში ძუძუ რომ ჩაიდო, მოუჭირა კბილები:—მითხარ მართალი, რად არის გაწყვეტილი ამ ქალაქში კაცები, რო ბავშვებიღა დარჩენილან?

რაღა იქნებოდა? ბებერმაც უამბო:—შვილო, ამ ქალაქის ახლო, ზღვაში ერთი რკინის კაცია, იმ რკინის კაცს ერთი მოტაცებული ქალი უზის კოშკში. როცა ის ქალი გარეთ გამოვა, შუქი ქალაქში შემოდგება. ეო გახსოვს, სახლის კედლებს რო ვლესდი, არ მინდოდა შენ იმისი შუქი დაგენახა; ახალგაზრდა ხარ, წაგახდენდა. ამ ქალაქის ხელმწიფეს უნდა ის ქალი, ეომება რკინის კაცს, მაგრამ ვერას აკლებს. იმ რკინის კაცმა ისე გაუწყვიტა ჩვენ ხელმწიფეს ხალხი, რომ ექვსი წლისაზე ზევით აქ მამაკაცს ვეღარა ნახავ, იმას ვერავინ ვერ მოერევა.

— მაშ რაღა ბიჭი ვყოფილვარ,—თქვა უხეირომ,—თუ ის ქალი არ წავართვი.

იმ ღამეს ისევ ბებერთან გაათია. მეორე დღე რომ გათენდა, გამოვიდა გარეთ. ცოტა ხნის უკან გამოვიდა კოშკიდან რკინის კაცის ცოლიც და შუქი შემოადგა ქალაქსა. გასწია უხეირომ და მივიდა კოშკთან. რკინის კაცი ამ დროს ცაში იყო წასული.

უხეირო ქალთან ავიდა.

— აქ რად მოსულხარ, რა ხარ, რა სულიერი ხარ?—

ჰკითხა ქალმა,—რკინის კაცმა რო აქ მოგასწროს, ხო მოგკლა და აღარ დაგარჩინაო!

დადის უხეირო ამ ოთახში და იმის ნავალზე სულ ვარდი იშლება. ქალს ძალიან მოეწონა, მაგრამ რკინის კაცს როგორ გადაურჩებოდნენ ცოცხლები?!

— მაგის ფიქრი ნუ გაქვს, უთხრა უხეირომ, მე ვიცი და რკინის კაცმა.

ქალისკენ რომ მოდიოდა, ბებერმა უთხრა უხეიროს, რომ ქალს შეეხვეწე და ის გამოჰკითხავს, რა მოჰკლავს რკინის კაცსაო.

მართლაც შეეხვეწა უხეირო ქალსა, მითხარ, რა მოჰკლავს რკინის კაცსაო.

— მე არ ვიცი,—უთხრა ქალმა,—ის არავის არ ეტყვის.

კიდევ შეეხვეწა ვაჟი ქალს, რომ რკინის კაცისთვის როგორმე ეთქმევინებინა.

— კარგი,—უთხრა ქალმა,—შენ წადი, დაიმალე და მე ვიცი თვითონ.

შუადღის დროს რკინის კაციც მოვიდა.

ჩამოეკიდა ყელზე ქალი, დაუწყო ალერსი და კითხვა:—მითხარ, გენაცვა, ამდენი მტრები გყავს და შენი სიცოცხლე მუდამ საფრთხეშია. რა მოგკლავს შენ, რომ შენ თავს უფრო გავუფრთხილდეთ?

რკინის კაცმა უთხრა, ჩემ შარდში დასველებული იარაღის მეტი მე ვერაფერი მომკლავს, ისიც თუ იღლიის ძირში არ დამკრეს, არ მოვკვდებიო.

ადგა ქალი ამ ლაპარაკის შემდეგ, და როცა დრო იპოვა, სადაც რკინის კაცი შარდზე დგებოდა, იქ ორი დიდი ცული მიაყუდა. მართლაც რკინის კაცი ზედ მიმდგარიყო, ეჭვი ვერაფრისა აეღო.

როცა რკინის კაცი წავიდა კიდევ სალოცავად, მოვიდა უხეიროც. მოამზადა ორივე ცული და დადგა საომრად.

მოვიდა რკინის კაცი და შეიბნენ.

დიდხანს იბრძოლ . ოფლი სულ წყალივით სდიოდათ. ბოლოს დასცა უხეირომ და დასცხო იღლიის

ძირში ცული, მაგრამ ერთი ცული გატყდა; მაშინ მეორ დასცხო და იქვე სული გაანთხევინა. ამის შემდეგ დაიწყო ქალთან კოშკში ცხოვრება და ფეხს აღარსადა დგამდა, აღარა შორდებოდა ქალსა.

გაიგო ხელმწიფემ, რომ რკინის კაცი მოკლეს და ის მზეთუნახავი ახლა სხვა კაცსა ჰყავსო. შეკრიბა ნაზირ-ვეზირები და უბრძანა, ის ქალი უეჭველად როგორმე ხელში უნდა ვიგდოო.

ომით ვერას გავხდებით, თქვეს ვეზირებმა, ისევ ხერხით როგორმე თუ შევძლებთ მაგ მძიმე საქმესაო.

ამ დროს მოვიდა ხელმწიფესთან ერთი ბებერი და მოახსენა:—დიდებულო ხელმწიფევ, დამაკარით ფიცარზე, ჩამაგდეთ ზღვაში და მე მოვიყვან იმ ქალსაო.

ხელმწიფეს ძალიან გაეხარდა. მაშინვე დააკრეს ბებერი ფიცარზე და შეაცურეს ზღვაში.

მიცურდა ბებერი კოშკის ძირში და დაიწყო ყვირილი, მიშველეთ, ვინა ხართ ქრისტიანი, მომხედეთ, ზღვაში ვიხრჩობი, თქვენი ღვთის გულისათვის, მიშველეთ რამეო.

გამოიხედა უხეირომ. დაინახა ფიცარზე დაკრული, წყალში ჩაგდებული ბებერი.

ქალს უთხრა, ჩავალ, გამოვიყვან, მადლიაო.

ის ჩვენი მტერია, თავი დაანებეო, უთხრა ქალმა.

უხეირომ მაინც არ დაიშალა, ერთმა წვინტლიანმა ბებერმა რა უნდა მიყოსო.

რო ინანო, მე ნუღარ დამაბრალებო, უთხრა ქალმა.

ჩავიდა უხეირო. გადაარჩინა ბებერი და ამოიყვანა კოშკში.

ბებერი ემსახურება ერთგულად, ყველაფერს მშვენივრად აკეთებს. ამ დროსათვის იშოვა ბებერმა ბანგი, შეაზავა ღვინო და შეინახა.

ერთხელ გაუკეთა სადილი და მოართვა ეს ღვინოც. ბებერი თვითონ ღვინოს სვამს, ქალ-ვაჟს კი ბანგნარევს ასმევს.

ცოტა ხნის შემდეგ ქალსაც და ვაჟსაც მიეძინათ.

ეს ბებერი კუდიანი იყო. იცოდა, რომ უხეიროს ვერაფერი მოჰკლავდა, თუ, თავში რომ სამი თმის ბეწვი ჰქონდა, იმას არ ამოაძრობდნენ. მივიდა, ამოაძრო თავიდან ის სამი ბეწვი, შეახვია წითელ ჩვარში და ზღვაში გადუძახა. უხეიროც მაშინვე მოკვდა. მერე შეუკრა ფეხები, მოაბა ერთ ჭადარს ფეხებით და თავქვე ქვევრში ჩაჰკიდა. ქალი კი მოიგდო ხელში. ჩაისვა ნავში და მოუსვა ხელმწიფისაკენ.

გამოიღვიძა ქალმა. მიიხედ-მოიხედა, ხედავს, რომ თავის სახლში არ არის. მიხვდა ყველაფერს და დაიწყო ტირილი. მერე ჩაჯდა სიბნელეში და ხმა აღარავისათვის გაუცია. ეფერება ხელმწიფეც, ცდილობს მოიგოს როგორმე იმისი გული, მაგრამ ტყუილად.

ამ დროს დევებთან დატოვებულმა ბურთმა სისხლის წვეთა დაიწყო.

უხეიროს უჭირსო, სთქვეს დევებმა.

მაშინვე წავიდნენ უხეიროს საძებნელად. მისდევენ იმის ნავალზე გაშლილ ვარდს და მივლენ ამ კოშკთან. გადმოვლენ და ნახავენ, რომ მკვდარი უხეირო ყელთავქვე ჩაკიდებულია ქვევრში. შემოიკრეს თავში და პირში, მაგრამ ტირილით რას არგებდნენ?

ბოლოს სთქვეს, უნდა შევიტყოთ, ის თმები სად არის, ვის ხელშიაო?

ერთმა სთქვა, მე ხმელეთზე გავიგებ, თუ სადმე არისო.

მეორემ სთქვა, მე ცაში შევიტყობო.

მესამემა სთქვა, მე ზღვაში მოვძებნიო.

ეძებეს ხმელეთზე, არ იყო; აძებნინა მეორე დევმა ფრინველებს ცაში, არც იქ იყო.

მესამე დევის სიძე ზღვის თევზთა მეფე იყო.

დაუძახა სიძეს და სთხოვა, აბა, შემიტყვე, სამი ბეწვი თმა ხო არავის ჩაუყლაპია შენ საბრძანებელშიო.

დაუძახა თევზთა მეფემ თევზებს, დიდსა და პატარას. მოვიდა და მოვიდა თევზები.

ამა და ამნაირი ბეწვები ხომ არავინ ჩაყლაპეთო, ჰკითხა მეფემ.

ყველამ უარი თქვა: არაფერი არ გვინახიაო.

ხო არავინ გაკლიათო, ჰკითხა მეფემ.

როგორ არა, დიდებულო მეფეე, ერთი ბებერი თევზი გვაკლია, ზღვის ძირზე წევს, სიბერით ვერ იძვრისო.

მეფე მაშინვე იმისკენ დაეშვა.

ბებერმა თევზმა უთხრა, ეს არის ახლა მოიტანა წყალმა წითელ ჩვარში შეხვეული და მე ჩავყლაპე; ხუ მომკლავთ კი და ჭიჭყინები ჩავიდნენ ჩემ მუცელში და ამოიღონო.

ჩაგზავნეს ჭიჭყინები. ამოიტანეს ეს ბეწვები და მიუტანეს დევებს.

მიუსვ-მოუსვეს თავზე ეს ბეწვები უხეიროს, გაუხსნეს ფეხები და საღ-სალამათივით მაშინვე ფეხზე დადგა.

— ოჰ, რა ბევრი მძინებია!—სთქვა უხეირომ.

— ბევრი მაშინ გეძინებოდა, ჩვენ რომ არ მოვსულიყავით,—უთხრეს დევებმა.

ოთხმა მეგობარმა გამოსწიეს ქალისაკენ. სულ აიკლეს ხელმწიფის საცხოვრებელი, ხელმწიფეც მოკლეს და ქალიც ამოიყვანეს. იქორწილა უხეირომ, შეირთო ცოლად ეს მზეთუნახავი და მრავალ წელს ბედნიერად იცხოვრეს.

ჭირი იქა, ლხინი აქა,
ქატო იქა, ფქვილი აქა.





დათვი და მელია

იყო ერთი მელია. მუდამ მარტოკა დაცუნცულებდა. ბოლოს მოსწყინდა მარტოს ცხოვრება და სთქვა: ერთი ძმობილი უნდა ვიშოვნოო.

ადგა და წავიდა.

გზაზე დათვს შეხვდა.

მელიამ უთხრა, დავძმობილდეთო!

— კარგი, უთხრა დათვმა, მაგრამ შენ რას მოიტან? მე მუდამ თითო ცხვარს მოვიყვან.

— მე ყოველდღე თითო ქათამს მოვათრევ,—უთხრა მელიამ.

დათვს გაუხარდა; დაძმობილდნენ.

დათვს მოჰქონდა თითო ცხვარი. მელია აიღებდა ქონს, გადაადნობდა და ჩაასხამდა ქოთანში.

დათვმა ჰკითხა:—მაგას რასა შვრები, მელიავ, რად გინდა ქონი?

მელიამ უთხრა:—ძმობილო, მუდამ ასე მაძღარი კუჭი

არ გვექნება, ერთხელაც იქნება ცხვარ-ქათამი შემოგვაკლდება და მაშინ რა უნდა ვჭამოთ, თუ არაფერი შევინახეთ?

— კარგია ძალიან,—უთხრა დათვმა,—მაგრამ უჩემოდ კი არ შეჭამო.

ერთხელ მელიამ და დათვმა ვერაფერი იშოვეს საჭმელად. ძალიან მოშივდათ. მელიამ იფიქრა: მოდი, დათვს მოვატყუებ და ქონს მე თვითონ მივაძღები მარტოკაო.

ავდარი იყო. მელია ავარდა ბანზე და დაიწყო სირბილი, ვითომ ბანს ჰზეპავდა—წვიმა არ ჩამოგვივიდესო. ზოგჯერ მელია გაჩერდებოდა და დაიძახებდა: „არა მცალიან, ვერ წამოვალო“.

დათვმა გაიგონა და ჰკითხა:—რა არი, ძმობილო, რას იძახი?

— ნათლობაში მეძახიან და მე კი არა მცალიან,—უთხრა მელიამ.

— წადი, ჩქარა წადი,—უთხრა დათვმა.

მელია მართლაც წავიდა, მაგრამ იქ ნათლობა არაფერი იყო, თვითონაც იცოდა.

დაბრუნდა და დათვს უთხრა:—რა ნათლობაა, ერთი ხმიადი ჰქონდათ, ააგორებდნენ, ჩააგორებდნენ, ხუცესის კარზე მიაგორებდნენ; ერთი საღვინე ჰქონდათ და შიგ არაფერი ედგათო.

მეორე დღეს უთხრა დათვს:—ერთ ქორწილს გამოეუარე და დამპატიჟეს; რადგანაც მე ნათლობაში ვიყავი, შენ იქ წადიო.

წავიდა დათვი, მაგრამ რა ქორწილს შეხვდებოდა? ერთ მეცხვარესთან მივიდა.

— მეცხვარევ, აბა, მაჭამეთ რამე, ქორწილი გქონიათ.

მწყემსმა წამოავლო ჯოხს ხელი და ერთი თუ ორი: შე ამყრალებულო, აქ ქორწილს რა ხელი აქვსო.

დათვმა ქურჭი მთელი ძლივს გაასწრო.

სანამ დათვი მოვიდოდა, მელიამ ამოჭამა ერთი ქოთანი, ჩაყარა ნაცარი და ჩადგა იქვე.

მივიდა დათვი და უთხრა, მე შიმშილით მოვკვდი, ამოიღე, ქონი ვჭამოთ, რაღა შავი დღისათვის ინახავო.

მელიამ უთხრა:—შენ დიდი სული გაქვს, შეუბერე, ზედ ნაცარი დავაყარე, მოაშორე და ვეჭამოთო.

შეუბერა დათვმა და ნაცარი თვალებში შეეყარა. იტაცა დათვმა თათი თვალებზე და დაიწყო წმენდა.

ამ დროს მელიამ გაასწრო და გაიქცა: დათვმა არ შემჭამოსო. ჩახვრიტა მიწა და მოსვრილი დაჯდა სოროს პირზე.

ამ დროს გამოიარა დათვმა და ჰკითხა, ხომ არავინ გინახავს ამაზე გავლილიო?

მელიამ უთხრა:—ამაზე გაიარა ერთმა მელიამ, იმასა და დათვს ჩხუბი მოსვლოდათ და სადღაც მირბოდაო.

გაიცდინა მელიამ დათვი. დაბრუნდა ისევ უკან და ამოჭამა. მეორე ქოთანიც აავსო ნაგავით, დააყარა ზედ ნაცარი და უნდა წასულიყო, მაგრამ ამ დროს დათვიც მოვიდა. მელია სადღა წავიდოდა? დათვს ვეღარსად გაექცეოდა.

მელიამ ხერხი იხმარა, დათვს უთხრა:—ბიძიავ, ეს ერთი ქოთანი ქონი გვაქვს, შეჭამე, მშიერი იქნებიო.

დათვმა უთხრა:—აბა, ახლა შენ შეუბერე ნაცარს, მე კინაღამ თვალები გამოვითხარეო.

მელიამ უთხრა:—მე ცოტა სული მაქვს, ვერ შევუბერავ, ისევ შენ შეუბერეო.

— არა,—უპასუხა დათვმა,—აუცილებლად შენ უნდა შეუბერო!

მელიამ ცოტათ შეუბერა, მაგრამ ნაცარი ვერ გადაყარა. და უთხრა დათვს:—მე ჯერ რა პირი მაქვს, რა სული მედგას! მე სული კუდში მიდგას და, აბა, კუდიდან საიდან შეუბერო?

— მაშ როგორ ვქნა?—ჰკითხა დათვმა,—თვალები დამეთხრება, რო კიდე ნაცარი შემიცვივდეს.

მელიამ უთხრა:—თვალები დააჭყიტე და ისე შეუბერეო.

დათვმა თვალები დატყვრიცა, რაც ძალი და ღონე ჰქონდა და შეუბერა. ნაცარი შეეყარა თვალებში და გამობუგა. დათვმა დაიწყო თვალების წმენდა, მაგრამ რას უშველიდა?

მელიამ უთხრა დათვს, დამიცადე აქ და ექიმს მოვიყვანო.

წავიდა მელია. მოიყვანა ერთი თოფიანი მწყემსი და აჩვენა დათვი, მწყემსმა მოკლა დათვი, ტყავიც წაიღო და ხორციცა. მელიასთვის კი სამ დღეში ერთი ქათამი უნდა ეძლია. მწყემსმა ორჯერ კი მისცა მელიას დედლები, და მერე კი უარი უთხრა.

ბევრჯერ სთხოვა მელიამ მწყემსს, მომეც ჩემი დედლები, თორემ ღმერთი არ შეგარჩენსო!

მწყემსმა აინუნშიაც არ ჩააგდო მელიას სიტყვები.

მწყემსს ქორფა ბატკნები ჰყავდა საბატკნეში. შეეჩვია მელია და ყოველდღე თითო ბატკანი მიჰქონდა. მწყემსი ხედავდა, რომ აკლდებოდა მუდამ დღე ბატკანი, მაგრამ არ იცოდა მიზეზი. ბოლოს ერთი ბანი დახურა, მეორე ახდილი გაუშვა, იმის ქვეშ მახე დააგო. მიიპარა ღამით მელია, ნახა, რომ ერთი ბანი ახდილი იყო, ჩახტა შიგ, მაგრამ ხაფანგში გაება...

მეორე დღეს შევიდა მეცხვარე, ნახა მელია, დაავლო კუდში ხელი, გამოათრია გარეთ და უნდა ტყავი გაეძრო.

მელიამ უთხრა, კაცო, არ მომისმენ, განა აქ მოსამართლე არ არის, რომ გაგვასამართლოსო.

მოიყვანეს ორი მწყემსი და შესჩივლა მელიამ: —მოისმინეთ, კეთილნო მოსამართლენო! ღმერთმა საწყლად დამბადა, არც მამული მომცა, არც სახლი, დავეხეტები ესე ქვეყანაზე. ზოგან თაგვს შევხვდები, ზოგან ქათამს და იმას ვჭამ. ღამისით მშიერი ვარ, გარეთ ვერ გამოვდივარ და მეც არ ვიცი, სად დავდივარ. ღამე გამოვიარე მეცხვარის ბინაზე და ბანში კი ჩავვარდი, აბა, მე იქ რა მესაქმებოდა, მწყემსმა გამომათრია, უნდა მოვეკალი. ახლა თქვენ იცით, როგორც გაგვასამართლებთ. ცოცხალიც თქვენ ხელში ვარ და მკვდარიცაო.

მოსამართლეებმა გაამართლეს მელია და გაუშვეს. გაიჭირა მელიამ კუდი და მოჰკურცხლა მინდვრისკენ.

მელია ახლაც ცოცხალია და ლრიალებს მეცხვარეებს.



მელია, მამალი, ბაზკანი და ჩიტი

ერთი მელია, მამალი, ბატკანი და ჩიტი დაძმობილდნენ. დაადგნენ გზას. დაუღამდათ და დადგნენ ერთ ადგილას. დაანთეს ცეცხლი.

მელიამ უთხრა მამალს:—აბა, მამალო, მოდი ვიჭიდაოთო.

დაიჭიდნენ. მოჰგლიჯა მელიამ თავი და ჩაახრამუნა. მერე ბატკანიც შეჭამა.

— მელიავ, მე მარტო ცარიელი ქონი ვარ, პირი გააღე, ჩაგივარდები და შემჭამე,—უთხრა ჩიტმა.

გააღო პირი მელიამ, აიღო ჩიტმა ერთი მუგუზალი, შიგ პირში ჩასჩარა და გამოსწო პირი. მელიამ ვეღარ შეჭამა ჩიტი.

ჩიტი გაფრინდა. გზაზე ორ კაცს შეხვდა, ერთ ძაღლს სცემდნენ.

ჩიტი მივიდა და სთხოვა, მე მომეცით ეგ ძაღლი და რაც გინდათ, იმას მოგცემთო.

კაცებმა უთხრეს, ოღონდ ეგ მოგვაშორე და, პირიქით, ენ მოგცემთ ფულსაო.

წამოიყვანა ჩიტმა ძაღლი.

ძაღლი მშიერი იყო.

ჩიტმა უთხრა:—აი, ის დედაკაცები რო სხედან და მაწონს შეექცევიან, ხო ხედავ?

— ვხედავ,—უპასუხა ძაღლმა.

— მაშ, მე მივალ, დავიწყებ ნელა ფრენას, ისინი დასაჭერად გამომიდგებიან, მიდი შენ და მაწონს მიაძეხი.

ჩიტმა მართლა გაიტყუა დედაკაცები, ძაღლი კარგა გაძღა.

წამოვიდნენ იქიდან. გზაზე მელიას შეხვდნენ. ჩიტმა ძაღლი დამალა. მელიას დაუძახა:—გამარჯობა, მელიავ, მოგირჩა პირი, თუ არაო?!

მელიამ დაუძახა:—პირი კი მომირჩა, მაგრამ ლეში კი აღარ მიჭამიაო.

ჩიტმა დაუძახა:—აქ წამო, აქ არის ლეშიო.

მივიდა მელია და დასწვდა ძაღლს კუდზე. წამოუხტა ძაღლი და შემოაცალა ქურქი.

ჭირი იქა, ლხინი აქა,
ქატო იქა, ფქვილი აქა.

ნახევარწიწილას ამბავი

იყო ერთი საწყალი ნახევარწიწილა. გზაზე მიდიოდა. ფეხში ეკალი შეერჭო; მივიდა მეპურესთან და სთხოვა, ფეხში ეკალი შემერჭო, მადლი ჰქენ და ამომაძრეო.

ამოაძრო მეპურემ ეკალი და ჩაგდო თონეში.

მეორე დღეს ნახევარწიწილა მოვიდა მეპურესთან და მოსთხოვა თავის ეკალი.

მეპურემ უპასუხა, შენი ეკალი ჩავწვიო.

ნახევარწიწილამ ჩხუბი დაუწყო, აუცილებლად ჩემი ეკალი უნდა მომცე, ან არა და, ერთი კაი წითელი პურიო.

მისცა მეპურემ ერთი კარგი პური.

ნახევარწიწილა სიხარულით წავიდა თავის გზაზე. ერთ ადგილას ნახა, რომ მეცხვარეებს პური მოშიებიათ, მოუწველიათ რძე და უპუროდ სჭამენ.

ნახევარწიწილამ მისცა პური და უთხრა, აჰა, ჭამეთ, კარგი პურიაო.

მეცხვარეებმა გამოართვეს პური და შეექცნენ. რო-

დესაც მორჩნენ, ნახევარწიწილამ მოსთხოვა თავის პური: ან ერთი ცხვარი მომეცით, ან ჩემი პურიო.

რას იზამდნენ მეცხვარეები, მისცეს ერთი მსუქანი ერკემალი და გაისტუმრეს.

წამოვიდა ნახევარწიწილა გახარებული და წამოიყვანა ერკემალი.

გზაზე ერთ ქორწილში მივიდა, ნახა, რომ წამოუქცევიათ ერთი ვირი და ჰკლავენ.

ნახევარწიწილა მივიდა და უთხრა, მაგ ვირს კი ნუ ჰკლავთ, აი ეს ერკემალი დაკალითო.

მექორწილეებს გაუხარდათ, გამოართვეს ეს ერკემალი და დაკლეს.

მეორე დღეს ნახევარწიწილამ მოსთხოვა თავის ერკემალი, ან ჩემი ერკემალი მომეცით, ან პატარძალიო.

რას იზამდნენ, მისცეს ეს პატარძალი. ნახევარწიწილა მიდის გზაზე გახარებული.

ერთ ვაჟს შეხვდა. გაუკეთებია ბალახის სტვირი და უკრავს.

ნახევარწიწილა მივიდა და უთხრა: კაცო, ეგ შენი სტვირი მე მომეცი და ეს პატარძალი შენი იყოსო.

გამოართვა სტვირი, შეჯდა ხის ტოტზე, ჩაჰბერა სტვირს და დაამღერა:

ეკალი პურზე გავცვალე,
პურით ერკემალს ვეწიე,
ერკემლით ლამაზი ქალი,
ქალით ლამაზ სტვირს ვეწიე.

ზღაპარი ივანე სისკრისა

იყო და არა იყო რა, იყო ერთ ქალაქში ერთი მეჯდელი. შვილები არა ჰყავდა და გულით კი უნდოდა.

ერთხელ მეჯდლის ცოლი წყალზე იყო. კოკას რომ ავსებდა, ნახა, რომ წყალს სამი ვაშლი მოჰქონდა. მეჯდლის ცოლი დაეწვადა ვაშლებს, ამოიღო წყლიდან და წაიღო სახლში. ერთი ვაშლი ქმარს მისცა, ერთიც თვითონ შეჭამა და ერთიც შუაზე გაიყვეს.

დაორსულდა მეჯდლის ცოლი და დადგა მეცხრე თვე. ასტკივდა მუცელი და დაუძახეს ბებიას, რომ შობვაში ეშველნა.

საღამოზე ბავშვმა დედის მუცლიდან დაიძახა, წადით, ნათლია მოიყვანეთ, რომ მომნათლოთ, თორემ, დავიბადები თუ არა, გავფრინდები ცაშიო.

მართლაც ბინდზე დაიბადა ვაჟი, მონათლეს და დაარქვეს ივანე საღამოსი. მოწოვა ძუძუ და ქარივით გაფრინდა ცაში.

ის იყო ნათლია უნდა წასულიყო სახლში, რომ მეორე ვაჟმა დაიძახა, ნათლია არ წავიდეს, შუაღამის დროს მეც დავიბადებიო.

შუაღამის დროს დაიბადა მეორე ვაჟიც. მონათლეს და დაარქვეს ივანე შუაღამისა. მოწოვა იმანაც ძუძუ და გაფრინდა ცისკენ.

თენებაზე, ცისკარზე დაიბადა მესამე ვაჟი. მონათლეს და დაარქვეს ივანე ცისკარი. მოწოვა ივანე ცისკარმა და გასწია ცისკენ.

ამის შემდეგ ძმები ცხოვრობდნენ ღრუბლებთან და დასრიალებდნენ ვარსკვლავების ახლოს. დედასთან მარტო დღეში ერთხელ მოფრინდებოდნენ ხოლმე ძუძუს მოსაწოვად. ივანე საღამოსი საღამოზე მოფრინდებოდა, ივანე შუაღამისა შუაღამის დროს და ივანე ცისკარი—ცისკარზე. მოსწოვდნენ ძუძუს და გაფრინდებოდნენ ისევ. ერთხელაც არ უნახავთ ძმებს ერთმანეთი.

გავიდა კარგა ხანი და მოიზარდნენ ძმებიც. ახლა, რაკი ძუძუს არა წოვდნენ, გვიან-გვიან მოდიოდნენ სახლში. მოვიდოდნენ კვირაში ერთხელ, წაიღებდნენ საკმაო პურს და წავიდოდნენ ისევ.

იმ ქალაქში ერთი ხელმწიფე იყო. ხელმწიფეს სამი მზეთუნახავი ქალი ჰყავდა. ქალები არ გამოდიოდნენ გარეთ არც ღამე და არც დღე: ეშინოდათ, ან მზე არ მოგვეკიდოს და ან სიცივემ არ გვავნოსო.

ერთხელ მამამ უთხრა ქალებს, შვილებო, მუდამ სახლში სხედხართ, გადით გარეთ, ნახეთ მზე, ქვეყანაო.

ქალებმა უსმინეს მამას და გამოვიდნენ სასეირნოდ. შუადღე იქნებოდა, რომ უცებ მოიღრუბლა, დაიწყო ელვა-ჭექა და ჩამობნელდა. მოფრინდა ერთი დევი, მოიტაცა ეს ქალები, შეისხა მხრებზე და შეერია ღრუბლებში. გავარდა ხმა ქალაქში: ხელმწიფის ქალები დაიკარგნენო.

შეწუხდა მთელი ქალაქი, დაღონდა ხელმწიფეც, შველა აღარსაიდან იყო. გაგზავნეს მაძებრები, მაგრამ კვალი ვერსად იპოვეს. ბოლოს მოვიდა ბებერი—ბებია ივანე ცისკრის

დედისა და უამბო ხელმწიფეს, რომ ამ ქალაქში ერთ მჭედელს სამი ვაჟი ჰყავს, სამივენი ცაში ცხოვრობენ, როგორც ფრინველები, ცაც იმათ ხელშია და ქვეყანაც, თუ ეცოდინებათ, ისევ იმათ ეცოდინებათ, რა იქნენ შენი ქალებიო.

ხელმწიფემ მაშინვე წვეულება გამართა და გაგზავნა მჭედლის შვილების დასაპატიჟებლადაც. დედამ პირობა მისცა ხელმწიფის კაცს, რომ დავაბრუნებ სახლში და გამოვგზავნი ხელმწიფესთანაო.

საღამო ხანზე მოვიდა ივანე საღამოსი, უფროსი ვაჟი. დედა ძლივს დაესწრო შვილის ნახვას. ასვა, აჭამა და, როდესაც შვილი უნდა წასულიყო, დედამ დაუწყო თხოვნა: დარჩი, შვილო, ჩემთან ამაღამ, ხვალ ხელმწიფეს წვეულება აქვს და დაგპატიჟათო.

დარჩა ივანე საღამოსი დედასთან. დედამ დაუგო ლოგინი და დააწვინა.

შუაღამის დროს ივანე შუაღამისა მოვიდა. იმასაც გაუმასპინძლდა დედა და სთხოვა, დარჩი აქ ამაღამ, ხვალ უნდა ხელმწიფესთან წავიდეთო.

ივანე შუაღამისაც დათანხმდა დედის თხოვნას და დარჩა. სახლში მძინარე კაცი ნახა და ჰკითხა დედას: ეს ვინღა არის, აქ რომ სძინავსო?

დედამ უთხრა, ეგ შენი უფროსი ძმა არის, ორნივ ერთ ღამეს დაიბადენითო.

დაიძინა ივანე შუაღამისამაც.

თენებას ივანე ცისკარიც მოჰყვა. იმასაც გაუმასპინძლდა დედა და დააწვინა ისიც ძმების ახლო.

გათენდა. უფროსი ძმა ივანე საღამოსი ძილით იყო გამომცხვარი, ივანე შუაღამისა შუა ძილში იყო და ივანე ცისკარს მაშინღა ჩაეძინა.

უფროსი ძმა ადგა და, რა ნახა ორი უცხო კაცი, ძალიან გაჯავრდა, სხვას რა ხელი აქვს, რომ ჩემ სახლში შემოდიან ჩემ დაუკითხავადო!

უნდოდა იმათი დახოცვა, მაგრამ არც ისარი ჰქონდა და არც ხმალი. მივიდა და დაეწვადა ივანე ცისკრის ხმალს

(აბჯარი მარტო ივანე ცისკარს ეშოვნა), მაგრამ ძვრა ვერ უყო.

დედამ დაინახა ივანე საღამოსი რომ ხმალს ეზიდებოდა და შეშინებულმა ჰკითხა, რად გინდა, შვილო, ხმალი, აქ რა მტრები გაწუხებსო.

— ესენი ვინ შემოგიყვანია სახლში?—ჰკითხა ივანე საღამოსამ.

— ეგენი შენი ძმები არიან. სამივენი ერთ ღამეს დაიბადეთ. ახლა ეგენიც პურის საჭმელად მოვიდნენ და დავაბრუნე.

გამოიღვიძეს ძმებმა. გადაეხვივნენ ერთმანეთს და გადაჰკოცნეს. მერე წავიდნენ ხელმწიფესთან. ხელმწიფემ დიდის პატივით მიიღო ძმები და უბრძანა, რომ მათ კარგად გამასპინძლებოდნენ.

სადილის ბოლოს ხელმწიფემ ჰკითხა უფროს ძმას ივანე საღამოსას, ცაში დადიხარ, ქვეყანას ხედავ, ჩემი ქალები ხომ არსად გინახავსო.

ივანე საღამოსამ უთხრა, მე ისინი არსად მინახავსო.

ივანე შუაღამისამაც ასე უთხრა. ივანე ცისკარზე მიდგა ჯერი.

ივანე ცისკარი წამოდგა, დაუკრა თავი ხელმწიფეს და უთხრა:—ბედნიერო ხელმწიფევ, ერთ მაღალ მთის წვერზე ვიწექ, ცაზე ღრუბლების რევას ვუყურებდი. უცებ მომესმა ქალების წივილ-კივილი. შევხედე და დავინახე: მოფრინავს დევი და მოაწივლებს ქალებს. მე მაშინვე ეშვილდს მოვავლე ხელი, მაგრამ მალე ისევ დავაგდე, დევს მოვკლავდი, ჩამოვარდებოდა და ქალებიც დაიხოცებოდნენ. წავიდა და წაიყვანა ქალები. მას შემდეგ აღარაფერი არ გამიგია.

ხელმწიფეს გაუხარდა, რომ ბოლოს კვალი იპოვა თავისი ქალებისა.

ივანე ცისკარს უთხრა:—წადი, იპოვე ჩემი ქალები და თქვენ მოგცემთ ცოლებად. უმცროსი ისეთი ლამაზია, რომ მზეს შეშურდება იმის სილამაზე, ის შენი ცოლი იყოსო.

ივანე ცისკარი დათანხმდა. მან აზრით იცოდა, სადაც ცხოვრობდა ის დევი, წაასხა ძმებიც და გაუდგა გზასა.

ბევრი იარეს თუ ცოტა იარეს, მივიდნენ ერთ მთასთან. მთას ერთი ფეხი ერთ ზღვაში ედგა და მეორე კი მეორე ზღვაში. მაღალი, წამოხურული კლდე იყო, რომ თვალი ვერ ასწვდებოდა. კლდის ძირს ერთი კარავი ნახეს. კარავში ერთ რკინის კაცს ეძინა, თავი მთასავითა ჰქონდა.

ივანე ცისკარმა გაგზავნა ძმები: წადით, გააღვიძეთო!

მივიდნენ ძმები რკინის კაცთან გამოსაღვიძებლად, მაგრამ ვერაფერი შეასმინეს.

მობრუნდნენ და უთხრეს ივანე ცისკარს: ვერ გავაღვიძეთო.

ივანე ცისკარი მივიდა რკინის კაცთან და ჩაჰკრა თავში მშვილდი. რკინის კაცმა სთხოვა ივანე ცისკარს, მიიმე და გამოგადგებიო.

ივანე ცისკარმა უთხრა, შენი თავი იმაში მეპირვება, იმ კლდეზე აგვიყვანეო.

რკინის კაცმა უთხრა, შენ მუედელი ხარ, გააკეთე ერთი დიდი ჯაჭვი, შევტყორცნოთ ზევით, მოვდოთ კლდეს და ავიდეთო.

ივანე ცისკარმა მოიტანა ბლომად რკინა, კვერები, მაგრამ გრდემლი კი დაჰვიწყებიყო.

რკინის კაცმა უთხრა, აი ჩემი თავი იხმარე გრდემლად და ამაზე გამოკვერე ის ჯაჭვიო.

ადგა ივანე ცისკარი და გამოკვერა უზარმაზარი ჯაჭვი. ჩაასვეს ერთი დიდი მარგილი, დაამაგრეს იმაზე ერთი პირი ჯაჭვისა, მეორეზე ჩანგლები მოაბეს და უთხრა ივანე ცისკარმა ძმებს: აბა, ეცადეთ, შეაგდეთ, იქნება შეუწიოთო.

მივიდნენ ივანე საღამოსი და შუაღამისა, მაგრამ ვერც კი დასძრეს.

— აბა, ახლა შენ შესტყორცნე, რკინის კაცო,—უთხრა ცისკარმა.

რკინის კაცმა მოავლო ჯაჭვს ხელი, შესტყორცნა, მაგრამ ერთი სამი-ოთხი ადლი კიდევ დააკლდა წვერამდის.

— ეგ არის შენი ღონე?— ჰკითხა ცისკარმა.

— ეგ არის!

მაშინ ცისკარმა მოავლო ხელი ჯაჭვსა, ასტყორცნა და აიყვანა წვერამდის. მოეჭიდნენ ყველანი, მოედო ჩანგალი კლდეებს, გამაგრდა ისე, რომ ასვლა კარგად შეიძლებოდა.

აგზავნა ძმები ცისკარმა, მაგრამ ძმები ვერ ავიდნენ, კინაღამ ჩამოცვივდნენ შიშით. მერე რკინის კაცი აგზავნა და უთხრა, არ ჩამოიხედო, თორემ ჩამოვარდებიო.

წავიდა რკინის კაცი და ცოტაღა აკლდა ასვლას, რომ ჩამოიხედა ძირს, თავმა დასძლია და კინაღამ ჩამოვარდა. რის ვაი-ვაგლახით ჩამოვიდა ძირს.

მერე დატოვა ძმები ცისკარმა და უთხრა რკინის კაცს: თუ რამ დაუშავდება ამათ, შენი კისრიდან ამოვიღებო.

ავიდა ცისკარი და გასწია დევის გზაზე. ბევრი იარა, ცოტა იარა, მივიდა ერთ სპილენძის სახლთან. სპილენძის სახლი სპილენძის დევისა ყოფილიყო. შევიდა სახლში, ნახა ერთი ლამაზი ქალი. ვაჟმა გამოჰკითხა ყველაფერი. გაიგო რომ ეს ქალი ხელმწიფის უფროსი ქალი ყოფილიყო.

დაღონებულმა ქალმა უთხრა: ნეტავი არ მოსულიყავ, შვიდთავიანი დევი მოვა და მოგკლავსო.

— ნუ შეწუხდები, მე ვიცი და იმანა,—უთხრა ცისკარმა.

— მაშ მე შენი ცოლი ვიქნები,—უთხრა ქალმა.

— არა,—უთხრა ცისკარმა,—შენ რძალი და მე მაზლიო.

საღამო ხანზე შვიდთავიანი დევი ცხენით სახლში მოდიოდა, რომ მიუახლოვდა დევი სახლს, ცხენმა წაიბორძიკა.

— აჩუ, შე საოხრევ, რა ივანე ცისკარი დაგხვდება სახლში, რა გაშინებსო,—წამოიძახა დევმა.

მოვიდა შინ და მართლაც ივანე ცისკარი კი დახვდა სახლში. ცისკარი საჩრდილობელში იჯდა გარეთ.

დევმა დაუძახა:—ცისკარო, გამაგებინე, სამტროდ მოსულხარ, თუ სამოყვროდაო.

— შენთან სამოყვრო რა მაქვს,—მიუგო ცისკარმა,—სამტროდ მოველო.

გადმოხტა ცხენიდან სპილენძის დევი და დაუძახა:— შეუბერე ე მანდ მიწასაო.

— შეუბერე კიდეც და, რაც გინდა ისა ჰქენიო,—უთხრა ცისკარმა.

შეუბერა დევმა და მიდამო სპილენძად აქცია, რომ ფეხი მოეკიდებინა; დაეჭიდნენ კიდეც. მოიქნია ცისკარმა და ჩასვა მუხლებამდე, მოიქნია დევმა და ჩასვა მუხლებამდე. მოიქნია ცისკარმა და ჩასვა წელამდე, მოუსვა ხმალი და მოსჭრა სამი თავი. გაცოფდა დევი, დაიქნია დევმა ცისკარი და ჩასვა მუცლამდე. ამოუფრინდა ისევ ივანე და მოსჭრა დევს ოთხი თავიც. გამოართვა ქალს ბეჭედი ძმისათვის, გამოეთხოვა და წავიდა ახლა ცხრათავიან დევთან, რომელსაც შუალა და ჰყავდა.

იარა ცისკარმა და მივიდა ვერცხლის სასახლესთან. აქ შუალა და დახვდა. აქაც საგრილობელში დაისვენა და ელოდებოდა დევს. ქალი ეხვეწებოდა: წადი, მოგკლავსო.

მაგრამ ცისკარმა არ დაუჯერა. მოდის საღამოზე ცხრათავიანი დევი და უცებ ცხენმა წაიბორძიკა;—აჩუ, შე სატიალლოვ, რა ივანე ცისკარი დაგხვდებაო,—წამოიძახა დევმა.

მოვიდა სახლში და მართლაც ივანე დახვდა წამოწოლილი ხის გრილში.

დევმა დაუძახა:—ცისკარო, სამტროდ მოხველ თუ სამოკეთოდაო.

— მე შენთან სამოკეთოერა მაქვსო,—უთხრა ცისკარმა.

— მაშ შეუბერე მიწასაო.

— არც არას შეეუბერავ და არც არაფერიო,—უთხრა ცისკარმა.

ცისკარმა მალე მოკლა ცხრათავიანი დევი. დანიშნა თავის ძმისათვის იმისი ცოლი; გამოეთხოვა და წავიდა თორმეტთავიან დევთან.

მივიდა იმის სახლში ცისკარი. მიდამო სულ ოქროსი იყო. შევიდა ვაჟი და ნახა იქ უმცროსი ქალი. მივიდა ცისკარი, გადაეხვია თავის საცოლოს და დაუწყო კოცნა. ქალს შეუყვარდა ცისკარი.

ცისკარმა უთხრა, მე მოველ, დევი უნდა მოვკლაო.

ქალმა ტირილი დაიწყო, ნუ, თორემ მოგკლავს, შენ იმას ვერაფერს უზამ, იმის მომრევი არავინ არისო.

ცისკარმა უთხრა ქალს, ნუ გეშინიან, თორმეტთავიანი დევი მე ვერ მომკლავსო.

გავიდა და დაჯდა ხის ძირში, დაუწყო ლოდინი დევს.

დევი საღამოზე მოდის შინ და დაიბორძიკა ცხენმა. —აჩუ, შე სატიალევ, იქნება ივანე ცისკარი გაშინებს, შენა ნახავ, რომ იმის მძოვრს ყორნები სჭამდნენ და იმისი სისხლი ღვარივით მიდიოდეს,—წამოიძახა დევმა.

მოვიდა დევი შინ, დაინახა ივანე და შესჭყიელა:—ცისკარო, სამტროდ მოხველ თუ სამოკეთოდ?

— სამტროდ მოველი,—უთხრა ცისკარმა,—შენთან მოკეთეობა რას გამომადგება!

— შეუბერე მიწასაო, —დაუძახა დევმა.

— შეუბერე და მანდა ხარო,—უპასუხა ცისკარმა.

გადმოუხტა დევი და ცისკარიც მიეგება. შეუბერა დევმა და ადგილი ოქროდ აქცია. იბრძოლეს. დევმა ცისკარი წელამდის დაიყვანა, ცისკარმა კი დევი მხრებამდე და ცხრა თავიც მოსჭრა.

დევი დაიღალა. ცისკარსა ჰკითხა:—როგორ იციან თქვენში ომი?

— ჩვენში ომობენ და დაისვენებენო, —უპასუხა ცისკარმა.

— მაშ დამასვენე,—სთხოვა დევმა.

ცისკარმა იფიქრა: რო დავასვენო და ამომასწროს, ხომომკლაო.

ამოფრინდა მიწიდან და მოსჭრა დევს ის სამი თავიც. ეს კი ვაჟკაცობა აღარა ქნა ცისკარმა: სამი თავი ღალატით მოსჭრა.

წამოიყვანა ქალი ცისკარმა და წავიდა. რომ გამოსცდნენ სახლს, ქალმა უთხრა,—ცისკარო, გაიხედე, რამდენი ოქრო რჩება ტყუილადაო.

— დევებს ოქრო ვინ მისცა, —უთხრა ივანემ,—ეგ სუ თვა-

ლის მოტყუება არის. იმან მოგაჩვენა შენ, რომ ამ სიმ-
დიდრით მაინც გართობილიყავ, რაკი მამის სახლს მო-
შორდი.

შეუბერა ივანემ და აქცია მტვრად. მოვიდნენ შუალა
დასთან, იქაც მტვრად აქცია ვერცხლის სახლი; წაიყვანა
შუალაც, უფროსიც და მივიდნენ კლდესთან.

ცისკარმა ჩაუშვა ჯერ უფროსი ქალი და დაუძახა უფ-
როს ძმას: მოსჭიდე მაგას ხელიო!

ჩაუშვა შუალა და და ის კიდევ შუალა ძმას ჩააბარა.
მერე თავის საცოლოს უთხრა, მაგრამ ქალი არ უჯერებდა:
ის რკინის კაცი გიღალატებს, შენთვის ამომდის მზეც და
მთვარეც, რო გიღალატოს, მე მაშინ რაღა ვქნაო.

ცისკარმა არ დაუჯერა და ჩაუშვა. ჩავიდა თუ არა
ქალი, რკინის კაცმა შემოჭკრა ჯაჭვს ლახტი და გაწყვიტა.

დარჩა ივანე ცისკარი მაღლა. რაღას იზამდა? ჩამოვარ-
დნილიყო, მოკვდებოდა, მაგრამ აღარც სხვა გზა იყო.

ქალმა დაუძახა: ივანე, წადი, იმ დევს ერთი რაში
ჰყავდა, ზღვაში რო ცხვირივით კლდე დგას, იქ აბია, რად-
განაც ერთხელ ჩამოაგდო და იქ დააბა. წადი, ჰკარ წიხლი
იმ კლდეს გადაანგრევ და წამოიყვანე ის რაშიო.

წავიდა ცისკარი. ჰკრა წიხლი კლდეს, გადაანგრია და
ნახა რაში. ხელის სისქედ მტვერი და ჭუჭყი ედო ზურგზე.

რაშმა უთხრა: – სამ დღეს შავ მთაზე გამიშვი, რომ ღო-
ნე მოვიდგა, თორე დასუსტებული ვარ და ვერ გზიდავო.

გაუშვა ცისკარმა სამ დღეს რაში. მესამე დღეს მოი-
ყვანა, შეკაზმა და შედგა ზედ ფეხი, მაგრამ რაშმა ერთი
ფეხით წაიბორძიკა.

რაშმა კიდევ უთხრა, ამაღამ კიდევ დამასვენეო.

იმ ღამესაც დაასვენა რაში ცისკარმა. მეორე დღეს შე-
კაზმა, შეჯდა და გასწია საჩქაროდ. რაში გაფრინდა ისარი-
ვით და ორი დღის წინ, სანამ რკინის კაცი მივიდოდა, ქა-
ლაქში მოიღო ხუილი.

როგორც რაშმა დაარიგა, ცისკარმა შეკაზმა იგი, და-
აკრა ზედ თავისი აბჯარი, გამოაძრო სამი ძუა და გაუშვა

ისევ შავ მთაზე. თვითონაც ჩაიცვა ერთი ძველი ფარაჯა და დაიწყო ქალაქში სიარული.

ბოლოს ერთ მჭედელთან მივიდა და უთხრა, შენი არაფერი არ მინდა, ვიმუშავებ, ოღონდ პური მაჭამეო.

მჭედელმა უთხრა, ძალიან კარგიო.

ცულს აკეთებდა მჭედელი, უთხრა, მოიტა, კვერი დამიკარიო.

ცისკარმა მოავლო ცალი ხელი ერთ დიდ კვერს, დაარტყა ამ გრდემლს და კუნძს კი გააგდებინა.

მჭედელს ძალიან გაუკვირდა იმის ღონე. გააკეთეს დიდი გრდემლი დიდ კუნძში და დაიწყო ცისკარმა მუშაობა, მჭედლის ხუთი დღის საქმეს ერთ საათში აკეთებდა. მჭედელს ძალიან უხაროდა, რომ ამისთანა მუშა იშოვა.

ბოლოს მოვიდა რკინის კაციც და მოიყვანა ცისკარის ძმებიც. დანიშნეს ქორწილის დღეც, მაგრამ მეორე ბეჭედი აღარ გამოაჩნდა უფროს დას, რადგანაც ივანე ცისკარმა გამოართვა. გაგზავნეს ეს ბეჭედი, რომ ამისთანა ბეჭედი სხვა გაეკეთებინათ, მაგრამ ყველა მჭედელმა უარი უთხრა. მერე ცისკარის აღასთან მოიტანეს. იმანაც უარი უთხრა, ცისკარმა უთხრა, გამოართვი, მე გავაკეთებო.

იმ ღამეს დაიძინა მჭედელმა. ცისკარმა ცოტა-მატა მიარაკუნ-მოარაკუნა, ამოიღო შენახული ბეჭედი, შეახვია და შედო მაღლა თაროზე.

მეორე დღეს შევიდა მჭედელი, წაჰკრა წიხლი, რა ჰქენ, ხელმწიფესთან ხომ არ შემარცხვინეო. ცისკარმა გამოუღო ბეჭედი და მისცა.

გაგზავნეს ბეჭედი. მჭედელიც წავიდა ქორწილში, ივანესაც უთხრა, მაგრამ ცისკარი არ გაჰყვა.

როდესაც უნდა გამოსულიყვნენ ეკლესიიდან მისი უფროსი ძმა და უფროსი ქალი, ივანე გამოვიდა მინდვრად, შეტრუსა ძუა რაშისა და რაში მასთან დაიბადა.

შეჯდა ცისკარი და უთხრა, წადი და ცას მიეკარ, იქიდან უნდა დავეცე და ერთი სილა გავკრაო.

აფრინდა რაში და მიეკრა ცას. როდესაც ეკლესიიდან

გამოვიდნენ ცოლ-ქმარნი, ჩამოეშვა ივანე და ერთი სილა სთხლიშა თავის უფროს ძმას.

მერე გაუშვა ისევ რაში, დაბრუნდა სახლში და დაჯდა, ვითომ არაფერი არ მოუხდენიაო.

მოვიდა მეზეველი და უამბო ყველაფერი, ცხენმა ზოგი ფეხით გაიტანა, ზოგი კამპითაო!

აბა, რო წამოვსულიყავ, ხო შიშით მოვკვდებოდიო,— უთხრა ცისკარმა.

მერე ცისკარმა მეორე ბეზედიც ისე გაუკეთა. ქალებმა იცნეს, მაგრამ არაფერი სთქვეს, უმცროსი ქალი კი ტიროდა, თუ მოვიდა, რატომ არ გამომიხსნის კიდევაცო. შუალა ძმასაც ერთი სილა უთავაზა.

ახლა ჯერი რკინის კაცზე მიდგა. დაუძახა თავის რაშს ცისკარმა, შეჯდა, აიღო ლახტი და უთხრა, აფრინდიო.

აფრინდა რაში და მიეკრა ცას. რკინის კაცი რომ მიდიოდა ეკლესიაში და მიჰყავდა ქალი, დაეშვა ივანეც ციდან.

ის იყო საყდარში უნდა შესულიყვნენ, რომ მოვარდა ივანე, მოუქნია რკინის კაცს ლახტი, დაარტყა თავში და სულ-ხორციანად მიწაში დაკარგა.

გადმოხტა თვითონ, გადაეხვია თავის საცოლოს და გადაჰკოცნა, ყველაფერი უამბო ხელმწიფეს. შეირთო უმცროსი ქალი და როდესაც ხელმწიფე მოკვდა, თვითონ გახდა ხელმწიფე.

ჭირი იქა, ლხინი აქა,
ქატო იქა, ფქვილი აქა.

სამი ქაჩალი

იყო სამი ქაჩალი. წავიდნენ გზას. იარეს და მივიდნენ ერთ სახლში, არც კედლები ჰქონდა, არც ჭერი და არც კარები. დაანთეს ცეცხლი. ეძებეს, ეძებეს და იპოვეს ერთი ქოთანი. არც ძირი ჰქონდა, არც გვერდები, არც ყური და არც სარქველი. აავსეს წყლით, შედგეს ცეცხლზე და წავიდნენ საძებნელად.

იარეს და ერთ ადგილს ერთი მკვდარი კურდღელი იპოვეს. წამოიღეს და დაუწყეს ხარშვა. როცა კურდღელი მოიხარშა, სთქვეს, ვინც ყველაზე კარგ ტყუილს იტყვის, იმან შეჭამოსო.

პირველმა დაიწყო:—ჩვენ ბევრი ცხვარი გვყავდა. ცხრა მთას იქით ვაძოვებდით. იქიდან მილები იყო გამოყვანილი ჩვენს სახლში, რძე ჩამოდიოდა, კეთდებოდა ყველი, ერბო, ხაჭო და იმას ვჭამდითო.

მამაჩემს ასი ძირი ფუტკარი ჰყავდა— დაიწყო მეორემ,— ყოველდღე დავთვლიდით და ვიტყოდით, ყველანი იქ იყვნენ,

თუ არა. ერთ დღეს დავთვალე და მეასე სკაში ერთი ფუტკარი გვაკლდა. მაშინვე წაველ საძებნელად, ვეძებე, ვეძებე და ბოლოს ერთ მინდორზე დავინახე: გუთანში შეებათ და ხნავდნენ. მიველ გუთანთან, მოვკიდე ხელი ყურზე და უნდა წამომეყვანა. ამ დროს მოსწყდა კისერი და თავი ხელში შემრჩა. მაშინვე ამოვიღე ნიგოზი და მოვუსვი კისერზე. კისერზე კაკლის ხე ამოუვიდა. უშველებელი ხე იდგა, სამ-სამი ურემი კაკალი ჩამოგვქონდა მუდამ წელსა. ერთი ყვავი შემოეჩვია ამ კაკალს. ერთხელ დავაფრთხე, არ გაფრინდა, მეორედ დავაფრთხე, არ გაფრინდა, მესამედ ავიღე და ბელტი ვესროლე. ბელტი კაკალზე დარჩა, გადიდდა, გადიდდა და გახდა სახნავ-სათიბი. ახლაც ვხნავთ, ვთესავთ იქ და ორასი კოდი პური მოგვაქვს იქიდანაო.

— ეგ არაფერი,— დაიწყო მესამემ,— მე იმას გიამბობთ: მამაჩემმა, როდესაც დედაჩემი შეირთო და ქორწილი გვქონდა, იქ ვიყავ, ბევრი სტუმრები გვყავდნენ, სადილი კარგი მოვამზადეთ, დავსხით ხალხი, ჩამოვურიგეთ პური ყველას და ნახევარზე დაგვაკლდა. რას ვიზამდით? იმ წამს წამოვხტი, შევკაზმე ბატი, ავკიდე ზედ პურით სავსე ტომრები, გადავჯექ ზედ და მოვუსვი წისქვილისკენ. კარგა გზა გავიარე და უცებ ერთი მგელი გადმომიხტა. მომეწია, დააჯდა ბატს და გამომიჭამა გვერდი. რას ვიზამდი? გადმოვხტი, გავუჩხიბე გვერდი ბატს წნელებით, წავიღე წისქვილში, დავფქვი, გადავჯექ ისევ, გავაქანე სახლში, მოვზილეთ და დავაკარით პურები. ვიდრე პირველ სადღეგრძელოს დალევდნენ, თბილი პურები ჩამოვურიგეთო. ეგრე იყო ჩემი ამბავი.

ყველამ მოიწონა მესამე ქაჩლის ზღაპარი და კურდღელი მესამე ქაჩალს დარჩა.

ჭირი იქა, ლხინი აქა,
ქატო იქა, ფქვილი აქა.

პური და ხვნა-თესვა

იყო ერთი ძალიან მდიდარი სოვდაგარი. მიდის გზაზე და ხედავს, რომ ერთი გლეხკაცი ხნავს. სალამს არ მისცემს. ისევ გუთნისდედა მიესალმება.

კაცო, ეტყვის სოვდაგარი, შე საცოდავო, რას ებრძვი მაგ მიწას და წელს იწყვეტ. ხო ხედავ, არცა ვხნავ, არცა ვთესავ, მაგრამ არც პური მაკლია და სარჩოც უთვალავი მაქვსო.

გუთნისდედა არაფერს ეტყვის. გასცდება სოვდაგარი და წავა თავის გზაზე.

გამოვა რამდენიმე წელიწადი, დადგება საშინელი შიმშილობა მოუსავლობისაგან: აღარსად არის პური საყიდელი. სოვდაგარსაც გაუთავდა პური. შიან ცოლ-შვილსაც და თვითონაც. ადგება, წაიღებს ბევრ ფულს და წავა პურის საყიდლად. ივლის სოვდაგარი, ივლის და აკი იმ გუთნისდედას მიადგება კარზე. სთხოვს: უნდა პური მომყიდოო.

რამდენიც გნებავს, მიირთვიო, უთხრა გლეხკაცმა.

ერთი ოცი კოდი ამიწყე და რასაც მთხოვ, მოგცემო. შეაძლია ფული. მაგრამ გლეხმა არ მიიღო, მე ფული არ მინდაო.

მაშ რა მოგცეო, ჰკითხა სოვდაგარმა.

შენ ცოლს თუ მომცემ, უთხრა გლეხკაცმა, მოგცემ პურს, თუ არა და—არაო.

დაფიქრდა სოვდაგარი. იფიქრა, იფიქრა და მერე უთხრა, ცოლი კი არა მყავს, მაგრამ მამიდა კი მყავს, თუ გინდა, იმას მოგცემო, იცრუა სოვდაგარმა (ცოლი მამიდად გახადა).

კარგი, უთხრა გლეხმა, ავიყვანო.

აუწყო, რამდენსაც წაიღებდა. სოვდაგარმა მოუყვანა ცოლი.

ეს გლეხკაცი ისე ინახავს ამ სოვდაგრის ცოლს, როგორც თავის საკუთარ შვილსა და დას: კარგს აჭმევს, კარგს ასმევს, კარგს აცმევს. ჰყავს ცალკე მოსვენებით, სუფთად.

გავიდა რამდენიმე ხანი, ერთი თუ ორი წელი, არის სოვდაგარი სახლში და კედლებსღა შესცქერის, გრძნობს გულში რომ ამ მდიდრულად მორთულ სახლში, ამ ოქროთი სავსე სკივრებთან ერთი ვილაც აკლია. შემოეყარა გულს, დაენანა თავისი ცოლი და შერცხვა.

რა ოხრად მინდა ამოდენა ფული, ან პური რად მინდა, ვის ვაჭამო, თუკი ჩემი ცოლი აქ არ იქნებაო.

ადგა მაშინვე, ჩაიცვა, მოირთო, წაიღო უთვალავი ოქრო, ფული და გასწია ცოლის გამოსასყიდლად. მივა იმ გლეხთან. გამოეგებეს, შეიპატიჟეს და გაუმასპინძლდნენ მშვენიერად. გაშლილ სუფრაზე აიღებს სოვდაგარი ფაფუკ თეთრ პურსა და ეტყვის ლექსად:

პურო, ჩემო სულო და გულო,
ცოლი მამიდად გამიხდა,
ვაჰმე, სულო დატანჯულო!!!

მისცა გლეხმა სოვდაგარს ცოლი. როგორ გაეხარდა სოვდაგაოს, როცა თავისი ცოლი მშვენივრად შენახული და მოვლილი ნახა. გლეხს გულითადი მადლობა შესწირა და ამის იქით ხვნა და თესვის პატივისმცემელი შეიქმნა.



ქურდი და თული

იყო და არა იყო რა, იყო ერთი ქურდი და ერთი თული. ერთი ძალიან ლამაზი ქალიც იყო. ორივეს უნდოდა იმისი შერთვა, მაგრამ არც ერთმანეთის წყენა უნდოდათ; ბოლოს სთქვეს: მოდი, ნათქვამია, ქუდი დადე და სამართალი ისე ჰქენ, რომელმაც კაი ბიჭობა ქნას, ქალი იმას დარჩეს; წავიდეთო.

ძალიან კარგი იქნებაო.

გავიდნენ საქარავნო გზაზე. თულმა უთხრა ქურდსა: აბა, დადექ და მიყურე, რა ბიჭობას ვიზამო.

შემოჰკრა ცხენს, დააოთხა. წინ თორმეტი ურემი მიდიოდა მეურმეებით, დართული, დაბარგულ-დადებული. გადუდგა თული ურმებს წინ, შეაყენა წინა მეურმის ხარები და დაიყვირა, ამ საათში ჩამოდით ურმებიდან, გაიხადეთ რაც გაცვიათო; თვითონ გამოუშვა ხარი და კამეჩი. მეურმეებსაც რა მეტი ღონე ჰქონდათ: ოღონდ ნუ დაგვხოცავ და ყველაფერი შენი სანაცვლო იყოსო.

თავმოწონებულმა თულმა ჩამოუარა ქურდს და დაუ-ძახა: მოდი, ნადავლი წაიღეო.

როცა ქურდიც მოვიდა, თულმა ჰკითხა:—აბა, ბიჭო, რას იტყვი, კაი ბიჭობა ვქენ, თუ არა? თორმეტი მეურმე და ურემი გავძარცვე.

ქურდი რაღას ეტყოდა, ჰოს მეტსა:—მართალი ხარ, კაი ბიჭობა ჰქენი. ქალი შენ გერგება, თუ მეც სამაგიერო არა ვქენ რამეო.

მოდიან თავმოწონებული თული და დაფიქრებული ქურდი.

„რას იზამს ამისთანა ბიჭობას ეს ქურდი, როგორიც მე ვქენი," ფიქრობს გულში თული, „ახლა ის ქალი უცილოდ ჩემია და ჩემიო."

ქურდიც ცუდად არა ფიქრობდა. გზაზე ისიც სხვადასხვა აზრებს აწყობდა.

— აბა, თულო, შენ ხომ ეგ ბიჭობა ჰქენ, და თუ მეც სა-მაგიერო ვერა ვქენ, უნდა შენ დაგრჩეს ქალი. წამოდი, წა-მომყე, სადაც მე წავიდე,—უთხრა ქურდმა.

ერთი ხელმწიფე ბრძანდებოდა, დღესა და ღამეს სულ სიამოვნებაში ატარებდა. როცა ქეიფის დრო იყო, ხომ ქეი-ფობდა და, როცა ძილის დრო მოუვიდოდა, ნაზირ-ვეზირებს დაიყენებდა გვერდს, არაკებსა და ანდაზებს ალაპარაკებდა. ქურდმა მოიყვანა თული ამ ხელმწიფის სახლთან, ცხრაკლი-ტული კარები გააღო, შეიპარა შიგ, შეაპარა თულიცა, ორივენი ხელმწიფის ტახტქვეშ შეძვრნენ და იქიდან ყურს უგდებდნენ. კარგა ხანი გავიდა. ხელმწიფემ თვლემა დაიწყო, ვეზირსაც ძილი მოეკიდა; რო არ დამეძინოსო, ვეზირმა კევი ჩაიდო პირში და იმასა ღეჭავდა, თან ძილი ერეოდა და თვა-ლებს ჰხუჭავდა. გამოძვრა ქურდი, ნელ-ნელა მიეპარა და ვეზირს პირში ცალი წვერი ძაფისა ჩაუგდო, ცალი წვერი ხელში ეჭირა ქურდსა. ვეზირმა ვერაფერი გაიგო და ძაფი კევში ჩააღეჭა. გამოსწია ქურდმა ძაფს ნელა-ნელა, გამოსწია და გამოაცალა პირიდან კევი. რაკი პირში კევი აღარ ედო, ვეზირს დაეძინა, იქვე ტახტზე გაიშხლართა. წამოხტა ქურდი

და დაჯდა იმის ადგილას. რაკი ზღაპრის თქმა შეწყდა, ხელმწიფემ თვალები გამოაჭყიტა.

— რად შეწყვიტე, რატომ არ მიამბობ?

— ამ საათში მოგახსენებ, დიდებულო ხელმწიფეე,— მოახსენა ქურდმა, თითქო ვეზირი იყო.

— სთქვი, რაღას ელი! —უბრძანა ხელმწიფემ.

ქურდმა დაიწყო:

— იყო და არა იყო რა, იყო ერთი თული და ერთი ქურდი. იმათ ორივეს ერთი ქალი უნდოდათ. წავიდნენ თავის საცდელად: რომელიც კაი ბიჭობას იქს, ქალი იმას უნდა დარჩესო. თული წავიდა, დახვდა გზაში მგზავრებს, თორმეტი ურემი და კაცი დაძარცვა, ხარი და კამეჩი გამოირეკა.

ქურდი კიდე ადგა, ის თულიც თან წამოიყვანა. ერთი თქვენსავით დიდებული ხელმწიფე ბრძანდებოდა და ამ ხელმწიფის სახლში შეძერნენ და ხელმწიფის ტახტქვეშ დაიმალნენ.

ხელმწიფეს ჩვეულებადა ჰქონდა, ძილის დროს არაკებს ათქმევინებდა ხოლმე ვეზირსა. იმ დროს ვეზირს ძილი მოეკიდა, როცა ეს ქურდი ამ ტახტქვეშ იჯდა, ვეზირმა პირში კევი ჩაიდო, უფრო აღარ დამეძინებაო. ქურდი მიეპარა, ამ ვეზირს, ძაფი ჩაუდო პირში, მერე გამოსწია, კევი გამოაცალა, ვეზირს იქვე დაეძინა, თვითონ დაუჯდა ხელმწიფეს და არაკების მბობა დაუწყო, თავის თავგადასავალი უამბო. ამ ლაპარაკში ხელმწიფეს დაეძინა, ადგა ეს ქურდი, იმ ხელმწიფეს ოქროს ინდაურები ჰყავდა, მოიპარა და წამოვიდაო.

— რას მიბრძანებ, დიდებულო ხელმწიფეე, რომელს ერგება ის ქალი, იმ თულს, თორმეტი კაცი და ურმები რო გაძარცვა საქარავნო გზაზე, თუ იმ ქურდსა?

— იმ ქურდს ერგება,—უბრძანა ხელმწიფემ.

მართლაც, ამ ლაპარაკში ხელმწიფეს დაეძინა. ადგა ქურდი, მოიპარა ხელმწიფის ოქროს ინდაურები, გამოაძვრინა თულიც, გამოაპარა და უთხრა:—ხო გაიგონე, ხელმწიფემ რაც ბრძანა, ქალი ვისაც უნდა ერგოს, ახლა ნუღარაფერს დამემდურები, ჩემო ძმაო!

გათენდა მეორე დღე, მოიკითხეს ხელმწიფეანთ ოქროს ინდაურები, პირს კატა ეცათ! ასეთი ხალხნი იყვნენ ქურდი და თული.

ჭირი იქა, ლხინი აქა,
ქატო იქა, ფქვილი აქა.



ეშმაკის ლაგამი

იყო და არა იყო რა, იყო ერთი საშინლად ძუნწი, მაგრამ ძალიან მდიდარი კაცი. აუარებელი ცხვარი და საქონელი ჰყავდა, შინაც სარჩო მრავალი ჰქონდა. ისეთი ძუნწი იყო, რომ სულ მშიერი და ტიტველი დადიოდა, არაფერს არ იცვამდა ტანზე, ცოლ-შვილსაც შიმშილით ჰხოცდა. მწყემსებს არ იუერდა, თვითონ დასდევდა ცხვრებსა, მწყემსები დაჰკვლენ და შეჭამენ რასმეო.

მოკვდებოდა რამე და—არც თვითონა სჭამდა და არც სხვებს აჭმევდა, ისე უნდა გაფუჭებულიყო. არც მეზობლისა და არც სტუმრისა სახლში შეყვანა არ იცოდა.

ერთხელ ეს ძუნწი კაცი მინდორში ცხვრებს მიერეკებოდა. შეხვდა, მგელს ერთი უსახელო, ეშმაკის პატარა შვილი უჭირავს პირში და მიარბენინებს. მეცხვარემ მოიგლიჯა თოფი, გადაურბინა მგელს წინ, ესროლა და გააგდებინა. მერე მივიდა და წამოიყვანა თანა.

უსახელომ უთხრა, რაკი გადამარჩინე, ჩემ დედ-მამასთან თუ არ წაგიყვანე, არ იქნება. ისინი გადაგიხდიან ჩემ მაგიერ სიკეთესაო.

აღარ მოეშვა უსახელო ამ ძუნწსა. დაუყენა ძუნწმაც ცხვარს კაცი და გაჰყვა; გაუძღვა უსახელო, ისეთ ღადაღუდაზე ატარა, ისეთ კლდეებზე მიჰყავს, რომ ეს ძუნწი სულ იკაკვება და წვება.

იარეს და იარეს ამ კლდეებზე. უსკდება გული ამ ძუნწსა, ფიქრობს, ვაითუ ამ ეშმაკმა გამიტყუოს და გადამჩეხოსო.

უსახელომ უთხრა, ჩემ დედ-მამას დიდი სარჩო აქვს, ბევრ ოქრო-ვერცხლს შემოგაძლევენ და არ მიიღო. შენ უთხარ, ჩემი ქონება მომეცით-თქო.

მივიდნენ ეშმაკის სახლში. უამბო პატარა ეშმაკმა, როგორც გადაარჩინა ამ მეცხვარემ მგელსა. ეშმაკებმა დიდი სიამოვნებით მიიღეს ძუნწი, შეიყვანეს სულ ოქროთი და ვერცხლით სავსე ოთახში.

აი, შვილო, წაიღე რამდენიც გინდა, აკრიფე, ჩაიყარეო.

მისდის სული ძუნწს, უნდა აკრიფოს ეს ოქრო-ვერცხლი, გაივსოს გუდა და წაიღოს, მაგრამ პატარა ეშმაკი თვალს უშვრება.

აკრიფე ოქრო და ვერცხლი, რამდენიც გინდაო, ეუბნებიან ეშმაკის მშობლები.

ძუნწი ყოყმანობს, ხმას არ იღებს.

წაიღე ოქრო-ვერცხლი, რამდენიც გინდაო, ეუბნებიან.

ის კიდევ ჩუმად არის, არ იღებს ხმას.

მაშ რას ითხოვ, რა მოგცეთ, გვითხარ და აგისრულებთ, შენთვის არაფერს დავიშურებთო.

ჩემი ქონება მომეცითო, უთხრა ძუნწმა.

ეშმაკებს როგორლაც ემძიმათ ძუნწის სათხოვარი. შეყოყმანდა პატარა ეშმაკიც, მაგრამ მერე მივიდა ისევ ძუნწთან და წაჰკრა ერთი ქისტი კისერში. ამ ძუნწს პირიდან ლაგამი კი წაჰვარდა. დაავლო ლაგამს ხელი ეშმაკმა და შეინახა.

ეს ძუნწი კი თითქოს ახლა გამოერკვაო, მიიხედ-მოიხედა: სადა ვარ, აქ რას ვაკეთებ, ვინ მომიყვანა ამ სახლშიო.

დაიხედა ტანზე, ხედავს ტიტველია, თითქმის, ჩამოხეულ-ჩამოგლეჯილია, თავის თავი თვითონ შეზიზღდა, გამოსწია ფეხაკრეფით. მოდის გზაზე და ფიქრობს თავის თავზე. მოაგონდა მაშინ, „ცოლ-შვილიც მშიერ-ტიტველი და საცოდავები რომ ჰყავდა, დაჰნანდა, გაუჯავრდა თავის თავსა. ახლა სულ თვალწინ წარმოუდგა, რაც თავის სიძუნწით გაჭირვება და ნაკლებულობა გასწია.

მოვიდა ცხვართან; უბრძანა ბიჭს დაეკლა ერთი კარგი ჭედილა, გაგზავნა სახლშიაც საკლავი; შეუთვალა ცოლს, ტანისამოსი გამომიგზავნეო. იყიდა ყველაფერი თავის ცოლ-შვილისათვის და გაგზავნა. სანამ ტანისამოსი არ მოუვიდა, თვითონ ვერ წავიდა სახლში, სცხვენოდა.

უხარიან ცოლ-შვილს, ეს რა ხასიათი შესცვლია ამ კაცსაო.

ამრიგად, იმის ქონება ეშმაკებს აღარ დარჩა და თვითონვე მოიხმარა.



მუხა-გლეჯია სიდედრისა და სიმამრისა

იყო და არა იყო რა, იყო ერთი გლეხკაცი. ჰყავდა ერთი ვაჟიშვილი. როცა ეს ვაჟიშვილი მოიზარდა, მამამ მოინდომა იმისი დაქორწილება, მოღალა მაჭანკლები, შემოიარა ქვეყანა, მაგრამ ტყუილად, არ იქნა იმისი ბედი არ გაიხსნა.

ადგა ბოლოს ეს ბიჭი და წავიდა მრჩეველთან. მრჩეველმა უთხრა, წადი, ამა და ამ ადგილას რომ ერთი მუხა დგას და იმ მუხის ძირში წყარო გამოდის, იქ მიდი. იმ წყაროზე პირი დაიბანე, აიხედე მაღლა, იქ ერთ ქალსა ნახავ, წაიყვანე და ის იქნება შენი ბედიო.

წამოვიდა ბიჭი; როგორც მრჩეველმა უთხრა, ისე მოიქცა. იპოვა დასახელებული მუხა, მივიდა იმის ქვეშ და დაიბანა პირი, მერე აიხედა და ხეზე ერთი ქალი დაინახა; ჩამოიყვანა და წაიყვანა სახლში ცოლად.

ის დალოცვილის გაზრდილი საკვირველი სულიერი გამოდგა: თითო ჯერზე სამ თონე პურსა ჭამდა. ცოტა არ

იყოს, ძალიან შეწუხდა ამ ქალის ქმარი, სადა ჰქონდა იმდენი, რომ ის გამოეკვება.

ვისი ქალი ხარ, სადაური ხარ, ვინ არის შენი დედ-მამა, ჰკითხავს ქმარი, უნდა წავიდე, შენი დედ-მამა ვნახო, თან მოსაკითხი წავულოო.

ცოლმა ასწავლა, სადაც უნდა წასულიყო, რა მხარეზე ეძებნა სიმამრი; გამოაცხო ექვსი თონე პური, დაკლა საკლავი, ქათამ-ინდაურები, ჩაალაგა, შეჯდა ცხენზე და წავიდა.

ბევრი იარა თუ ცოტა იარა, მივიდა თავის სიმამრთან. ხნულში წყალი უდიოდა. უნდოდა იმ წყალში გასვლა, მაგრამ მოიტაცა წყალმა თავის ცხენიანად და ჩაიტანა ბოლოში. ფართხალებს ეს კაცი, ცდილობს გამოვიდეს, მაგრამ ლამის დაიხრჩოს. შეეცოდა სიმამრს, ამოსდო ბარი და გადმოაგდო თავის ცხენ-ხურჯინიანად მშრალზე. წამოდგა სიძე კაცი, მიესალმა თავის სიმამრს, გამოემცნაურა.

— კაცო, რაზე დაიხრჩობოდი, ჩემი სიძე ყოფილხარ, წამო და დავისვენოთ; შენი სიდედრიც მოვა, სადილს მოიტანს, პატარა კიდეც შევჭამოთ რამე.

დასხდნენ, ამოიღო რაც რამ ნამცხვარი ჰქონდა და ქათამ-ინდაურები, მოსაკითხად წამოღებული. დაუსხდნენ, დაუწყეს ჭამა. სიმამრმა მიუსვ-მოუსვა, მიჭამ-მოჭამა ყველაფერი, ლუკმა აღარაფრისა გადარჩა, მერე ულვაშებზე გადისო ხელი. შესცქერის სიძე კაცი, შიშით სული სცვივა: მეც არ ჩამყლაპოსო.

ამხანად სიდედრიც მოვიდა. არც ის იყო პატარა ტანისა. თავზე ერთი ხახალი ედგა, ზედ ექვსი თონის ნამცხვარი ეწყო, ხელში ერთი ქილა შეჭამანდი ეჭირა, იქნებოდა ესე სამი კოკისტოლა.

— მოიტანე, ადამიანო? ძლივ არ მოხველ, რა დაგემართა, აქამდე ლამის შიმშილით მოვკვდე,—უთხრა ქმარმა ცოლსა.

მოიხადა ხახალი დედაკაცმა, ჩამოდგა ძირსა, დაუდგა ის შეჭამანდიანი ქილაც.

— ცოტა დამიგვიანდა, შეჭამანდი არ იყო მოხარშული,—უთხრა ცოლმა,—აი, ახლა მიირთვით.

თვითონაც გვერდით მოუჯდა.

— ჭამე, კაცო, მე შინა ვჭამე, აქ განა იმიტომ დავჯექ, რომ ვჭამო რამე, შენა ჭამე, დაღალული ხარ.

დაუჯდა ეს სიმამრი, დაუწყო ჭამა. თითო პურს თითო ლუკმად იდებდა.

— რატომ არა სჭამ, სიძე კაცო,—ეუბნება სიძეს სიმამრი.

რასა სჭამს, შიშით მუშტისტოლა გამხდარა, მეც არ შემაყოლოსო. სიმამრმა ეს ექვსი თონე პური და ეს იმოდენა შეჭამანდი სულ ერთიანად შეჭამა. ულვაშები გადიწმინდა.

საღამო ხანზე სახლში წავიდნენ. სიძეც გაიპატიჟეს. მოდიან გზაზე. სიდედრი და სიმამრი ფეხით არიან, სიძე ცხენით მობრძანდება, მაგრამ ვერ ეწევა, მიაჭენებს ცხენს, მაგრამ მაინც ვერ ეწევა. შეეკოდა სიდედრს თავისი სიძე.

— აქ მოდი, სიძე, მოდი, ხახალზე დაჯექ, ცხენიც აქ დასვი, ხომ ჰხედავ დავარდი.

მოუცადა სიდედრმა, ჩამოდგა მიწაზე ცარიელი ხახალი, თავის ცხენიანად სიძე აიყვანა და ზედ დასვა. მერე ისევ შეიდგა თავზე და მიაქვს.

გზაზე ერთ მუხას გაუარეს. სიძე კაცი მუხაზე წკეპლას მიეწვადა მოსატეხად. ხელი წაავლო, მაგრამ რაკი სიდედრი მოდიოდა, ვეღარ მოასწრო ხელის გაშვება და ზედ შერჩა. რაკი სიძე კაცი ხახალში ვეღარ დაინახა, სიდედრი მობრუნდა: რა მექნა, სად წავიდაო. დაინახა, რომ სიძე მუხის ტოტზე აკონწიალია.

— რას აკეთებ მანდ, სიძე ბატონო,—ჰკითხა სიდედრმა.

სიძე კი ვერ ჩამოსულა მუხიდან და გაჭირვებული ძლივს ქშიტინებს.

— არაფერს, ჩემო სიდედრო, ცხენისთვის წკეპლა მინდოდა მომეტეხნა და ამ მუხაზე გაველ.—მოგლიჯა მუხა ძირიანად სიდედრმა და დაიდვა ისიც ხახალზე. ახლა კი, ცოტა არ იყოს, შიში მიეცა სიძე კაცსა.

აქ ხეირი არ არის, თუ თავს არ ვუშველეო, იფიქრა გულში.

— სიდედრო, წყალი მინდა დავალევინო ცხენს. ჩამოგვსვი და მალე მოგეწევით ისევა, თქვენ წადით, ნუ მომიცდით.

ჩამოსვა სიდედრმა ხახალიდან თავის ცხენიანად.

ცოტა დაიცადა სიძე კაცმა და, როცა სიმამრ-სიდედრი კარგა მანძილს გასცდნენ, მოახტა თავის ცხენს და მოძუძგა სახლისკენ გულგახეთქილმა.

სოლომონ ბრძენი და ბერიკაცი

სოლომონ ბრძენი თავისი ორი კაცით სოფელზე მიდიოდა. ერთ ადგილს, სახლის კარებზე ერთი დახავსებული ბერიკაცი იჯდა ჩაფიქრებული. სოლომონ ბრძენი მივიდა და მიესალმა. ბერიკაცი ფეხზე აუდგა სოლომონ ბრძენს და მადლი მოახსენა.

სოლომონმა ჰკითხა:

— სხვა, ბერიკაცო, რასა იქ და როგორა ხარ?

— რა მიჭირს,—უპასუხა ბერიკაცმა,—თორმეტსა და ოცდათორმეტს მაინც ვერაფერი გადავარჩინე.

— ორზე როგორა ხარ?—ჰკითხა ისევ სოლომონმა.

— უკვე დავსამდი,—უპასუხა ბერიკაცმა.

— შორს როგორა ხარ?

— ახლოს მოველ.

— წისქვილები როგორა გაქვს?

— მგელმა დამიჭამა, რაც მგელს გადარჩა, უწყლო, ულარო დგანან და აღარაფერში მარგიან.

— მთაში თოვლი მოსულა,—უთხრა კიდევ სოლომონმა.

ბერიკაცმა ჩამოისვა თეთრ წვერზე ხელი და უთხრა:

— ბარშიაც ჩამოსულა.

— მაშ კარგი,—უთხრა სოლომონმა,—მე ორ თხას გამოგიგზავნი და ვინძლო კარგა გაჰკრიჭო.

— ისე გავკრიჭო,—უპასუხა ბერიკაცმა,—რომ ტყავის მეტი ზედ არაფერი შერჩეს.

გამოემშვიდობა სოლომონი ბერიკაცს და გასწია სახლში. შინ რომ მივიდა, თავის მხლებლებს ჰკითხა:—გაიგეთ რამე, რაც მე ვუთხარ ბერიკაცსაო?

— არა,—უთხრეს მსახურებმა,—თქვენ სუ იგავებით ლაპარაკობდით და აბა ჩვენ რას გავიგებდით. ის ბერიკაცი ვერაფერს ვერ გიპასუხებდათ, ერთი საწყალი გლეხკაცი იყოო.

— სტყუით,—უთხრა სოლომონმა,—ის ბერიკაცი სულ ყელში მიჭრიდა სიტყვას; თუ ახლავე არ წახვალთ და არ გაიგებთ, რასა ნიშნავს იმის სიტყვები, ახლავ თავებს დაგჭრით.

მხლებლები მაშინვე წავიდნენ იმ ბერიკაცის საძებნელად. იპოვეს და ჰკითხეს:—ერთი გვითხარ, ბერიკაცო, რა ილაპარაკეთ შენ და სოლომონმა?

— ჩვენ არაფერი გვილაპარაკნია,—უპასუხა ბერიკაცმა,—თქვენ ტყუილად გარჯილხართ, მე არაფერს გეტყვით.

სოლომონის მხლებლებმა დაუწყეს თხოვნა.

ბერიკაცმა უთხრა, სანამ ოც-ოც თუმანს არ მომცემთ თითო სიტყვაში, არ გასწავლითო.

რას იზამდნენ კარისკაცები: ფულს მაინც სიცოცხლე სჯობიაო, სთქვეს იმათ და წავიდნენ; სადაც რამ ეგულებოდათ, წამოიღეს ბერიკაცთან. ოც-ოცი თუმანი რომ მისცეს, ბერიკაცმა უთხრა:—პირველად რომ მითხრა, რასა იქ და როგორა ხარო და მე რომ ვუპასუხე, თორმეტსა და ოცდათორმეტს ვერაფერი გადავარჩინე-მეთქი, ის არის, რომ თორმეტი თვე არის წლისა და ოცდათორმეტი კბილები. კაცმა რაც უნდა იშრომოს, მუცელს ვერაფერს მოაჭარბებს.

როცა მეორე სიტყვაშიც ოც-ოცი თუმანი მისცეს ბერიკაცმა განაგრძო:

მეორე სიტყვა რომ მკითხა, ორზე როგორა ხარო და მე ვუპასუხე—დავსამდი-მეთქი, ის არის, რომ სანამ ახალგაზრდა ვიყავ, ორი ფეხით დავდიოდი და ახლა უჯოხოდ ველარ გავივლიო.

— მესამე სიტყვაო?—ჰკითხეს კარისკაცებმა.

— ამოიღეთ კიდევ ოც-ოცი,—უთხრა ბერიკაცმა.

იმათაც ამოიღეს ფული მესამედ.

ბერიკაცმა თქვა:—მე რომ ვუპასუხე: შორს ვიყავ და ახლოს მოვედი-მეთქი, ის არის, რომ წინათ კარგად ვხედავდი, ახლა კი თვალთ მაკლია და ახლო ძლივსღა ვხედავო.

მეოთხე: წისქვილები—კბილებია, მგელი—ჭიაა. რაც კბილები ჭიამ დაჭამა, ხომ გამოუსადეგარი არის, და რაც იმას გადარჩა, არც არაფრად ვარგა ის კბილები.

მეხუთე: მთაში თოვლი მოსულაო, რო მითხრა, და მე რო ვუპასუხე, ბარად ჩამოსულა-მეთქი, ხომ ხედავთ, თმაც თეთრი მაქვს და წვერიც—ეს არის.

მეექვსედ რომ ამოიღეს კარისკაცებმა რაც კი რამ ებადათ, ბერიკაცმა უთხრა:—ის ორი თხა თქვენა ხართ, ჩაიყავით ჯიბეში ხელი, გაქვთ კიდევ რამ, თუ არა; წადით და ეგრე მოახსენე სოლომონსაცაო.

ამბავი მელიისა, თუ როგორ გადაარჩინა კაცი დათვსა

იყო და არა იყო რა, იყო ერთი კაცი. ნაღარსა ხნავდა. მოვიდა ერთი დათვი.

— გამარჯობა, კაცო!

— გაგიმარჯოს, დათვო!

— რას აკეთებ, კაცო?

— ნაღარსა ვხნავ.

— შენ სადღა მიდიხარ?

— შენთან!

— რადა?

— ადრე გამოხნავ, ადრე გამოგხრავ; გვიან გამოხნავ, გვიან გამოგხრავ.

ცოლი მოვიდა, სამხარი მოუტანა. კაცი დაღონებულია. ცოლს უამბო თავისი ამბავი. წავიდა ცოლი, მიდის და ტირის გზაზე. შემოხვდა მელია, ზურგზე ტომარა ჰკიდია.

— რადა სტირი?—ჰკითხა დედაკაცსა.

— იმისთვინ, რომ ქმარი დათვმა უნდა შემიჭამოს.

— რას მომცემ, რომ ქმარი გადაგირჩინო?—ჰკითხა მელიამ.

— ბატსა, იხვსა, ქათამსა და ინდაურსა.

წავიდა მელია დათვთან.

— გამარჯობა, დათვო!

— გაგიმარჯოს, ძელიავ!

— მოდი, დათვო, ტომარაში ჩაგსვამ.

— ნელა ჩამსვი, არაფერი მატკინო;—დასცინა დათვმა.

— მოდი, ერთი პირი მოგიხლართო!

— ნელა მოხლართე, არა მატკინო რა!

— მოდი, ერთი დაგახეთქო.

— ნელა დამახეთქე, არა მატკინო რა!—უთხრა დათვმა.

დაახეთქა მელიამ დათვი მიწაზე და მოკლა. მისცა დედაკაცმა მელიას: ბატი, იხვი, ქათამი და ინდაური. ჩაისვა მელიამ ტომარაში და გასწია გახარებულმა თავის სოროში.

ჭირი იქ დავაგდე,
ლხინი აქ მოვიტანე,
ნაცარი იქ დავყარე,
ფქვილი აქ მოვიტანე.



ხელმწიფის შვილისა და ხელმწიფის ამბავი

ერთი დიდებული ხელმწიფე იყო. როდესაც დაბერდა და სიკვდილის ჟამს მიიწია, დაუძახა თავის ერთადერთ მემკვიდრე შვილს და უთხრა:

— შვილო, ხო ხედავ შენი თვალით, დღეს არა, ხვალ მოვკვდები, ფეხი სამარეში მიდგია, ქვეყანა შენ ხელთ უნდა მოექცეს, შენი თავიც შენ უნდა ჩაგაბარო, წადი ახლა და ყველა ქვეყანაში თითო სახლი აიშენე, რომ გაჭირვება იქნება, თუ სხვა რამე, დროზე თავი იქ შეაფარო.

შვილმა გაუგონა მამას ბრძანება, დაუხანებლად ადგა მაშინვე, წაიღო ფული და წავიდა თავის სახელმწიფოში. სადაც მოეწონება ადგილი, მთა იქნება, გორა, სოფელი თუ ტყე, მშვენიერი სახლები ააშენა. როცა ყველგან მორჩა სახლების აშენებას, გულდასვენებული დაბრუნდა მამასთან.

მამამ დაიბარა შვილი თავისთან და გამოჰკითხა ყველაფერი:

— რა ჰქენ, შვილო, ააშენე ყველგან სახლები, როგორც

გითხარ, ყველგან გექნება თავშესაფარი გაჭირვებაში, თუ არა?

— ავაშენე,— უპასუხა გულდამშვიდებით შვილმა,—სადაც ან მთა, ან კორდი მომეწონა, ყველგან სახლები და თითო მშვენიერი სასახლე დავდგი.

— ვაჰ, შენ მტერსა, შვილო, შენ ის სახლები არ აგიშენებია, რაც მე გითხარი. ცარიელი სახლები, შვილო, გაჭირვებაში კაცს ვერ შეიფარებენ. მე ის გითხარი, წადი, ყველა ქვეყანაში თითო პატიოსანი კაცი დაიმეგობრე, შეიყვარე და შენი სახლი ის იქნებოდა. რა ქვეყანაშიაც კაცს კარგი და პატიოსანი მეგობარი ჰყავს, იქ იმისთვის სახლიც არის და ბინაცა.





დედაბრის შვილი

იყო და არა იყო რა, იყო ერთი ხელმწიფე. ამ ხელმწიფეს დიდხანს არა ჰყავდა ვაჟი. ბოლოს ეყოლა ვაჟი. ხელმწიფე თავის შვილს ძალიან უფრთხილდებოდა და არსად არ უშვებდა სასახლის გარეთ.

ერთხელ ხელმწიფის შვილი სწორებში მშვილდ-ისრობასა თამაშობდა. ამ დროს წყლიდან ერთი ბებერი მოდიოდა და წყლიანი კოკა გამოატარა ბავშვების ახლოს. ბიჭებმა უთხრეს ხელმწიფის შვილს, აბა კოკას ვერ გაუტეხ იმ ბებერსაო?

ხელმწიფის შვილმა ჩააგდო ისარი კილოში და ესროლა. ისარი მოხვდა კოკის ძირს, გატეხა და წყალი კისერზე გადაესხა ბებერს. მობრუნდა ბებერი, უნდოდა დაეწყევლა კოკის გამტეხი, მაგრამ რაკი დაინახა რომ ხელმწიფის შვილი იყო, უთხრა:

— ხელმწიფის შვილო, დასაწყევლად მენანები, დედის-

ერთა ხარ, მაგრამ გეტყვი: ცხრა ძმა დევს რო და ჰყავს, იმის სურვილი ჩაგივარდეს გულშიო.

ხელმწიფის შვილმა ყველაფერი ეს დაიხსომა.

ხანი გადიოდა. ხელმწიფის შვილი გაიზარდა. ახლა ხელმწიფე იმის საცოლესათვისღა ზრუნავდა. გაგზავნეს კაცი ხელმწიფის შვილთან საკითხავად, ვინ გინდა, ცოლად რო ეგრთოთო.

ხელმწიფის შვილმა უთხრა, თუ იქნება ცხრა ძმა დევს რო და ჰყავს, ის იყვეს, თორე მე არც ცოლი მინდა და არც ხელმწიფობაო.

დაღონდა ძალიან ხელმწიფე, ცხრა ძმათა დევების და საიდან უნდა მოვგვარო ჩემ შვილსაო.

ხელმწიფემ დაიბარა შვილი და უთხრა, შენგან არჩეულ საცოლეს მე ვერა გზით ვერ მოგგვრიო.

შვილმა უთხრა, დედაბრის შვილი და მე წავალთ. და მოვიყვანთ იმ მზეთუნახავსაო.

ხელმწიფე ჯერ არ დაჰყვა, შვილი როგორ უნდა გავგზავნო დევებთანაო; ბოლოს, როგორც იყო, დაიყოლია შვილმა.

ხელმწიფემ დაიბარა დედაბრის შვილი და უთხრა, ჩემ შვილს შენ გაბარებო.

დედაბრის შვილი და ხელმწიფის შვილი სწორები იყვნენ და ერთად იზრდებოდნენ.

დედაბრის შვილი ძალიან ღონიერი იყო: ქვას რომ ხელს მოუჭერდა, მაშინვე ფქვილად აქცევდა და ძალიან ჭკვიანიც იყო.

დედაბრის შვილმა უთხრა, მშვილდ-ისარი გამიკეთეთ რკინისა და წავალთო.

მაშინვე დაიბარეს მჭედლები, გააკეთებინეს თხუთმეტლიტრიანი მშვილდი და მიუტანეს დედაბრის შვილს. მოსწია დედაბრის შვილმა და მიგრიხ-მოგრიხა. გააკეთებინეს ოცლიტრიანი, იმასაც ასე უყო. ოცდახუთიანი—იმასაც. ბოლოს გააკეთებინეს ორმოცლიტრიანი. ეს კი კარგა მოხვდა ხელში დედაბრის შვილსა; გადიკიდა მხარზე და გაუდგნენ გზას.

სანამ იმათი სახელმწიფო იყო, იგნებდნენ გზას, მაგრამ მერე კი აღარ იცოდნენ, საითკენ წასულიყვნენ. ბოლოს დედაბრის შვილმა უთხრა, გავკრავ ისარს და ჩვენც გავყვეთ იმის კვალსაო.

ჩააგდო კილოში ისარი, მოჰზიდა ბაწარს და გასტყორცნა. წავიდა ისარი, გადაიარა ცხრა მთა და დაერჭო შვიდ ძმათა დევების ბაღში.

დედაბრის შვილი და ხელმწიფის შვილი გაჰყვნენ ისრის კვალს: ზოგან ხე იყო ისრისგან მოტეხილი, ზოგან მთას ჰქონდა მოგლეჯილი პირი. იარეს, იარეს და მიადგნენ დევების სახლ-კარს. დევებს ვენახი ჰქონიყოთ, ღვინო ესვათ,— შევიდნენ შიგ, ხილსა ხილობდნენ და ჩრდილსა ჩრდილობდნენ.

დევების დედა მაღლა იჯდა ბანზე. ხელში ჭანდრის ტოლა ტარი ეჭირა და ზედ დოლაბი ჰქონდა კვირისტავად. დევის დედამ სთქვა, ვინ არიან ეგენი, რო აქ მოსულან, ჩემი შვილების შიშით ცაში ფრინველს ვერ გაუვლია და დედაჯიწაზე ჭიანჭველასა და ეგენი კი მანდ დასეირნობენო.

აიღო და გადმოაგდო კვირისტავი და დაუძახა დედაბრის შვილს, წამოდი, შვილო, კვირისტავი გადმომივარდა და ამომაწოდეო.

მივიდა დედაბრის შვილი, მოავლო ხელი დოლაბს, ესროლა ამ ბებერს და კბილები შეამტვრია.

ბებერმა დაუძახა, შე დამეხილო, რატომ ფრთხილად არ ამოაგდეო.

აი, შე სულელო ბებერო, დაუძახა დედაბრის შვილმა, იქნება შენა გგონია, რო მე მომატყუებ, განა არ ვიცი, რადაც გადმოაგდეო.

საღამოზე მოვიდნენ შვიდნი ძმანიც, მოიტანეს შვიდი ირემი, შვიდი ჭანდარი და დაყარეს კარებზე.

დევებმა დაინახეს დედაბრის შვილი და ხელმწიფის შვილი და უთხრეს ერთმანეთს:

— კარგი ვახშმის ჩიტებია, რატომ საშამფურეები არ მოვიტანეთ, რო შეგვეწვა?—მერე დაუძახეს,—ჩვენი შიშით ცაზე

ფრინველი ვერ გადივლის, და თქვენ როგორ გაჰბედეთ, რო ჩვენს ვენახში ხილსა ხილობთ და ჩრდილსა ჩრდილობთო.

დედაბრის შვილმა დაუძახა, თქვენ ბაღში გვიშლით სიარულს და მე ვახშმადაც თქვენსას ვიქნებიო.

დევებმა იფიქრეს, თუ ღონიერი არ იყოს, ეგრე გულადად არ ილაპარაკებდაო.

დაატყავეს ირმები, ჩაკაფეს ქვაბში და დაუძახეს დედაბრის შვილს, წამოდი, ქვაბი შემოგვიკიდეო,—გამოცდა უნდოდათ დედაბრის შვილისა.

დედაბრის შვილი მივიდა, მოავლო ხელი ქვაბს და შედგა ცეცხლზე.

მოიხარშა ირმები. მოიტანეს დევებმა ვახშამიც. დედაბრის შვილმა უთხრა, მე უღვინოდ არ შემიძლია ჭამა და არც ამ ხელმწიფის შვილსაო.

დევებმა უთხრეს, ღვინო გვაქვს, მაგრამ ძალიან ძირს არის ჩადგმული და, სანამ გავთხრით, კიდეც გათენდებაო.

დედაბრის შვილმა მოითხოვა, ბარი მომიტანეთო. ასწავლებინა, სადაც ღვინიანი ქვევრი იყო; მივიდა, ჩაანგრია ქვევრის ნაპირები, გადააცალა ზევიდან მიწა, ამოსწია ოთხმოცჩაფიან ქვევრს, ამოიდო იღლიის ძირში და მოიტანა კერაზე. იმ ღამეს ძალიან ბევრი დალიეს; იმ ღამეს ორივენი დევებთან დარჩნენ.

მეორე დღეს გასწიეს თავის გზაზე. დედაბრის შვილმა ააგდო ისევ ისარი; ისარმა გადაიარა რვა მთა და დაეცა რვა ძმა დევის კარებზე. გაჰყენენ ისრის კვალს და მიადგნენ დევების სახლს. შევიდნენ ბაღში და ხილი იხილეს. იმ ღამეს ამ დევებთანაც ისე გაატარეს ღამე, როგორც შვიდ დევთან.

მეორე დღეს დედაბრის შვილმა ააგდო ისარი; ისარმა გადაიარა ცხრა მთა და ჩაერჭო ცხრა ძმა დევის სახლის კარებში. გაჰყვნენ ისრის კვალს და მივიდნენ ბოლოს ამ დევების სადგომთან.

შევიდნენ ბაღში, მიიარ-მოიარეს და ვაშლთან მივიდნენ; ვაშლის ძირში ჭიანი ვაშლი ეყარა. ხელმწიფის შვილმა აიღო

და დაუწყო ჭამა. დედაბრის შვილი გაუჯავრდა, განა ვაშლი დაილია, რო ჭიანსა ჭამო.

მოავლო ერთ რიკს ხელი, ესროლა ვაშლს, ჯერ ზევით აახვეტინა ვაშლის ტოტები, მერე ძირს წამოვიდა და ჩამოამტვრია. ვაშლი ყვითლად გაიშალა ხელმწიფის შვილის ფეხებთან.

დევების დედა მაღლა მჯდარიყო და ართავდა. დაინახა თუ არა ბაღში დაუპატიჟებელი სტუმრები, დაუძახა, თქვენ რა ხალხი ხართ, რო ჩვენ ბაღში შემოსულხართ. ჩემი შვილების შიშით ცაზე ფრინველი ვერ გადივლის, მიწაზე ჭიანჭველა და თქვენ ხილსაც ხილობთ, ჩრდილსაც ჩრდილობთ და ვაშლსაც ამტვრევთო.

ამალამ ვახშამსაც თქვენთან ვჭამთო, დაუძახა დედაბრის შვილმა.

დევების დედამ იფიქრა: რო არ შეეძლოს, აგრე ამაყად არ ილაპარაკებდა. მოდი, კვირისტავს გადვუგდებ, და თუ მოერია და ისევ ამოაწია აქნობამდე, ღონიერი იქნებაო.

გადმოაგდო კვირისტავად ნადები დოლაბი და დაუძახა დედაბრის შვილს: არიქა, კვირისტავი გადმომივარდა და მომაწოდეო.

მივიდა დედაბრის შვილი, მოავლო ხელი დოლაბს და ამოისროლა ბებრისაკენ. დოლაბი მოხვდა კბილებში ბებერს და სულ ერთიანად ჩაალეწა.

საღამოზე მოვიდნენ ძმებიც, მოიტანეს ცხრა ირემი და ცხრა ზეხმელი. დაინახეს დედაბრის შვილი ბაღში და გაუხარდათ, საჭმელი გაგვჩენიაო.

ერთ ძმას შინ შესვლა მოუნდა, მაგრამ შეიჭედა, ვეღარ შეეტია; დედაბრის შვილის ისარს ნახევარი კარები დაეჭირა. დევმა დაუძახა ძმებს, ისარს ბევრი ებრძოლეს ამოსაღებად, მაგრამ ვერ ამოიღეს დედაბრის შვილის ისარი. ბოლოს იფიქრეს: ეგ ძალიან ღონიერი უნდა იყოს, რომ ისარიც ვერ დავძარით იმისიო. ბოლოს იმათაც ისა სთქვეს, დავუძახოთ და ქვაბი შევადგმევინოთო.

ჩაკაფეს ირმები, ჩაყარეს ქვაბში და დაუძახეს დედაბ-

რის შვილს, შენ ქართველი იქნები, წამოდი, ერთი თქვენებურად მოგვიხარშე ხორციო.

ჩვენებურად მოგიხარშავთ და ჩვენებურად ვჭამთო, მიუგო დედაბრის შვილმა, აიღო ოთხყურა ქვაბი, რომელსაც ოთხი ძმანი ძლივს დგამდნენ ცეცხლზე და შედგა ზედადგარზე.

ვახშამზე დედაბრის შვილმა ღვინო მოითხოვა, ჩემი ხელმწიფე ულვინოდ ვერა ჭამს პურსაო.

დევებმა იფიქრეს: თუ ყმა ასეთი ღონიერია, ხელმწიფე რაღა იქნება, მოდი, მივეფერნეთ, რო არ დაგვხოცონო.

ერთი წლის სათვალავი გვაქვს, მიუგეს დევებმა, და ღრმად არის ჩაფლული, და თუ ამოიღებ, დავლიოთო.

მირეკა დედაბრის შვილმა დევები, ამოათხრევინა ქვევრი, დაავსეს რუმბები, მოიტანეს და დაიწყეს სმა ღვინისა. დედაბრის შვილი გამოჰხრავდა ძეალს, მიარტყამდა ერთ-ერთ დევს და დაუმატებდა, ქართულად მოვხარშე და ქართულად გიახლებითო.

ბოლოს დედაბრის შვილმა გამოუცხადა დევებს, მე გავიგე, რო თქვენ კარგი და გყავთ, თუ იმას მისცემთ ჩემ ხელმწიფეს, ხო კარგი, არა და—გაგწყვეტთო.

დევებს მეტი ღონე აღარა ჰქონდათ, უნდა მიეცათ და ხელმწიფის შვილისათვის.

მეორე დღეს ხელმწიფის შვილი შეახვედრეს ქალს. დედაბრის შვილმა დევები სანადიროდ წაასხა. როდესაც ყველანი წავიდნენ, ქალმა ყველა გასაღები მისცა თავის ქმარს, დაატარა ოთახები და აჩვენა თავისი ძმების სარჩო. ბოლოს დაღალულს დაეძინა ვაჟის კალთაზე.

ვაჟმა ქალს დაუწყო თმების ქექვა, ერთი ნაწნავის ძირში იპოვა ერთი პატარა გასაღები.

ვაჟმა იფიქრა, ერთი ამას უყურეს კაცმა, ჩემთვის რო ყველაფერი არ უთქვამსო.

აიღო, შეხსნა გასაღები და წავიდა ოთახებში. გაიარა რვა ოთახი სავსე ოქრო-ვერცხლით და თვალ-მარგალიტით და მიადგა ერთ ოთახს. ოთახის კარი დაკეტილი იყო გარე-

დან. ვაჟმა იფიქრა: აქ რაღაც იქნებაო. გააღო კარები და რა ნახა! შვიდკეცა ჯაჭვებით დაბმული იყო დევკაჟიანი დევი.

დევკაჟიანი ცხრა ძმა დევის მტერი იყო, დის მოტაცება უნდოდა და ღრუბლით ეომებოდა დევებს; დევკაჟიანი იმიტომ ერქვა, რომ არც ისარი და არც ხმალი არ მიეკარებოდა; ბოლოს ცხრა ძმა დევებმა დაიჭირეს და დაბეს.

დევკაჟიანმა რაკი დაინახა მზის სხივი, მიიწივ-მოიწია, მოჰზიდა ჯაჭვებს, მიწყვიტ-მოწყვიტა, გამოვარდა გარეთ, გაიტაცა ქალი და გაუდგა გზას. ვაჟს გულს შემოეყარა; როდესაც გონს მოვიდა, ადგა და მოძებნა ქალის ოთახი, მაგრამ სადღა იყო ქალი! დაიწყო ტირილი ხელმწიფის შვილმა, მაგრამ ტირილით რასღა უშველიდა.

დედაბრის შვილმა ერთი სროლით მოკლა ცხრა ირემი, მოჰკიდა დევებს და წამოვიდნენ შინ. დედაბრის შვილმა ნახა ნამტირალევი ხელმწიფის შვილი და მაშინვე გულში მოჰხვდა: აქ რაღაც უბედურება მომხდარაო! ხელმწიფის შვილმა ყველაფერი უამბო, რაც მოხდა. დაუკრიბეს კბილები დევებმა ხელმწიფის შვილს, მაგრამ დედაბრის შვილმა უთხრა დევებს:

— მე წავალ იმ დევის მოსაძებნად და ხელმწიფის შვილს აქ დაგიგდებთ; ოცი დღე რო გავა, თუ მოველ, ხო კარგი, ვერა და—რაც გინდათ, ის უყავით ხელმწიფის შვილს, თქვენი ტყვეაო!

ადგა დედაბრის შვილი, აიღო თავის ორმოცლიტრიანი მშვილდ-ისარი და გაუდგა გზასა.

იარა დედაბრის შვილმა, იარა და მივიდა ერთ სახელმწიფოში. შეხედა, ერთ მღვდელს ზურგზე ეკიდა საყდარი, ხან ერთ სოფელში დასდგამდა სალოცავად, ხან მეორეში.

დედაბრის შვილს გაუკვირდა და უთხრა, შენ ძალიან ღონიერი იქნები, რო საყდარი მოგიკიდნია ზურგზეო.

მღვდელმა უთხრა, ღონიერი მე კი არა ვარ, ღონიერი დედაბრის შვილია, რო ცხრა ძმა დევს და წაართვა და თავის ხელმწიფეს დაუსვა ცოლადაო.

დედაბრის შვილმა უთხრა, მე ვარ ის დედაბრის შვილიო.

მღვდელს ძალიან გაუხარდა და შოახსენა, ან მიძმე და ან მიყმეო.

დედაბრის შვილმა იძმო და გასწიეს.

იარეს, იარეს და მიადგნენ ერთ დიდ მდინარეს. მდინარის პირს ზის ერთი დაღონებული კაცი, მივიდნენ მღვდელი და დედაბრის შვილი და ჰკითხეს, რას დაღონებულხარ, ან ამ წყალთან რას ზიხარო.

კაცმა უთხრა, წყალი მწყურიან და ვერ დამილევია, ერთი ყლუპი რო გამომივიდეს, მეორე აღარ გამომივაო.

დედაბრის შვილმა უთხრა, კაცო, ჩვენ გასვლაც არ შეგვიძლიან და შენ სასმელადაც არ გყოფნისო.

წყალიხვრეტიამ უთხრა, მე რა ვარ, რაც არის, დედაბრის შვილია, ცხრა დევს და რო წაართვა და თავის ხელმწიფეს ცოლად დაუსვაო.

დედაბრის შვილმა უთხრა, ის მე ვარ, და გაგვიყვანე წყალსაო.

წყალიყლაპიას ძალიან გაუხარდა და სთხოვა დედაბრის შვილს, ან მიყმე და ან მიძმეო.

დედაბრის შვილმა იძმო და წავიდნენ სამნი.

კარგა გზა გაიარეს და ნახეს ერთი კაცი, მიწაზე გაწოლილა, და დაუდვია ყური მიწისთვის და იცინის.

დედაბრის შვილი მივიდა იმასთან და ჰკითხა, რას იცინი, ან მიწაზე ყური რად დაგიდვიაო.

როგორ არ გავიცინო, უთხრა იმ კაცმა, აქ წამოვწექ, მინდოდა დამესვენა, ვნახოთ რალაც ხმა მომდის, აღარ მასვენებს, ერთი ალიაქოთი დგას. დავადე ყური მიწას და გავარჩიე: ჭიანჭველებს ომი აქვთ, ერთ ჭიანჭველას ბარძაყი მოსტეხეს, იმას უხვევენ და ის მაცინებსო.

ჩვენ კაცის ფეხის ხმა ვერ გაგვირჩევია დედამიწაზე, და შენ კი დედამიწის ძირში ჭიანჭველების ომსაც ყურს უგდებ? საკვირველი კაცი ჰყოფილხარო, უთხრა დედაბრის შვილმა.

საკვირველი მე კი არა ვარ, საკვირველი დედაბრის შვილია, რომ ცხრა დევს და წაართვა და თავის ხელმწიფეს დაუსვა ცოლადაო.

მე ვარ ისაო, უთხრა დედაბრის შვილმა.

ჭიანჭველების მაყურებელმა უთხრა, ან მიძმე და ან მიყმე, მე შენთან მინდა ყოფნაო.

დედაბრის შვილს ძალიან გაუხარდა: სწორედ ასეთ კაცებს პოულობდა, როგორებიც იმისთვის იყო საჭირო; მაშინვე იძმო და გაუდგნენ გზასა.

ნახეს, კაცი დგას, აუღია თავი და იცქირება ცისაკენ.

რას დგეხარ და ცაში რას იცქირებიო, ჰკითხეს.

ცაში მაცქერალმა მოახსენა, შარშან ისარი შევაგდე, ახლა დაბრუნდა, და ველი, როდის ჩამოვარდება ან საითკენ მიჰქრის ქარიო.

როდესაც დედაბრის შვილმა და იმისმა ამხანაგებმა გაიკვირვეს იმისი მახვილი მხედველობა. მან უთხრა, მე კი არა, საკვირველი დედაბრის შვილია, რო დევებს და წაართვა და თავის ხელმწიფეს ცოლად დაუსვაო.

დედაბრის შვილი გამოემცნაურა, იძმო და წავიდნენ.

ახლა გასწიეს ხუთთა. გზაზე ერთ კაცს შეხვდნენ: მოჰგლეჯდა ერთ გორას, აიტანდა სხვა მთაზე და დააგორებდა.

დედაბრის შვილმა ჰკითხა, მაგას რადა შვრებიო?

სხვა ვეღარაფერი მომიგონებია ჩემ გასართობად და გორებსღა ვგლეჯო, უთხრა გორიგლეჯიამ.

ესეც იძმეს და გასწიეს.

ერთი კაცს შეხვდნენ გზაზე, ფეხებზე დოლაბები ჰქონდა წამოცმული, დასდევდა წვრილიანში კურდღლებს და იჭერდა.

ესეც იძმეს და წავიდნენ.

დედაბრის შვილმა მათ უთხრა, ჩვენ უნდა გავიგოთ, ჯერ სად არის დევკაციანი, მიწაშია თუ ცაში, და ისე მოვძებნოთ, თორე ეგრე წარაუგონოთ სიარული რას გვარგებსო. თან ცაჰვრეტიას უთხრა, აბა აიხედე, იქნება ცაში იყოსო.

აიხედა ცაჭვრეტიამ, ბევრი ეძება და ბოლოს სთქვა, ცაში არსად არისო.

ახლა ჭიანჭველების მაყურებელმა ჩაიხედა ქვესკნელში, დაადო ყური დედამიწას და გაუძღვა წინ ამხანაგებს, დევკაჟიანთან მე მიგიყვანთო.

იარეს, იარეს და ერთ გორას მიადგნენ. გორაში საშინელი ხმა ისმოდა. ჭიანჭველების მაყურებელმა უთხრა, აქა აქვს ბინა დევკაჟიანსა, და როგორ უნდა ჩავიდეთ, კარი არა აქვსო.

დედაბრის შვილმა უთხრა, აბა, გორიგლეჯიავ, თუ რამ შეგიძლიან, ახლა გამოჩნდებაო.

გორიგლეჯიამ მოსდო გორას ხელი, მოგლიჯა და გადმოაგორა.

მღვდელმა მოიკიდა და გადაიტანა შორს.

მიადგნენ ციხის წვერსაც. ციხის წვერიდან ალი ამოდიოდა. თურმე დევკაჟიანი, როდესაც ამოისუნთქებდა, ცეცხლს ამოჰყრიდა.

ვინ უნდა ჩავიდესო, დაიწყეს ამხანაგებმა.

ვერავინ ვერ გაბედა ჩასვლა. დედაბრის შვილმა უთხრა, მე მომაბით თოკი და, როდესაც ცეცხლი ჩადგება, ჩამიშვითო.

მოაბეს თოკი და ჩაუშვეს.

დაიძახა დედაბრის შვილმა, დავიწვიო, მაგრამ უფრო ძირს ჩაუშვეს. ბოლოს დედაბრის შვილმა ფეხები დაადგა მიწაზე და ამოიქცია სული. გაიარა დევის ოთახები და მიადგა ქალის ოთახს.

ქალს კიდეც გაუხარდა დედაბრის შვილის მისვლა და კიდეც გაჯავრდა, აქ რამ მოგიყვანა, უთხრა ქალმა, დევკაჟიანი ხო მოგკლავსო.

მომკლავს და მომკლას, უთხრა დედაბრის შვილმა, თუ შენ ვერ წაგიყვან, ჩემი ხელმწიფის სურვილს ვერ ავასრულებო.

ქალმა უთხრა, დევმა ხუთი დღე იცის ძილი, და მაშინ თუ რასმე უზამს კაცი, თორემ უიმისოდ იმას არაფერი მოჰ-

კლავს, მაგრამ არც მძინარე მოკვდება, რადგანაც იმისი სული სხვა რაღაშიაც არისო.

დედაბრის შვილმა უთხრა, თუ გინდა ხელმწიფის შვილი, გამიგე რაში უდგა სული დევკაჟიანსაო.

ქალმა დედაბრის შვილი დამალა და დევკაჟიანს ალერსი დაუწყო, ეგრე რო მიყვარხარ, რატომ არ მეტყვი, შენი სული რაში არის, რო ის სალოცავად გავიხადოო.

დევკაჟიანმა იფიქრა: რაღა ახლა შევუყვარდი ამ ქალს. აქამდე თავისთან ახლოსაც არ მიკარებდა, იქნება მცდიდესო.

აიღო და ასწავლა, ჩემი სული ე მაგ ქოთნის ნატეხში არისო.

ქალმა იმ დროსთვის, როდესაც დევკაჟიანი ნადირობიდან უნდა მოსულიყო, აიღო ქოთნის ნატეხი, გარეცხა, გაწმინდა, შემოსა აბრეშუმის ბაღდადით და ჩადო კიდობანში.

როდესაც დევკაჟიანი დაბრუნდა, ქალმა აჩვენა ქილის ნატეხი, აი როგორ ვინახავ შენ სულსაო.

დევმა უთხრა, შე საწყალო, ჩემი სული მაგაში კი არა ცოცხშიაო.

მეორე დღისათვის ცოცხიც ისე მორთო ქალმა, როგორც ქილა.

მერე კი იფიქრა დევმა: უთუოდ აღარა მცდისო და ასწავლა: აქა და აქ ცხრა მთას რო გადავა კაცი და ერთ დიდ ველში რო ჩავა, იქ შვიდი მთიბავი თიბავს; ის მთიბავები უთიბავენ ირემს. ის ირემი შუადღემდე შავ მთაზე არის, შუადღისას ჩამოვა და თუ საკმაო არ არის გათიბული, სულ ფეხით გასთელავს. იმ ირემს ვერავინ ვერ მოჰკლავს, ვერც ისარი დააკლებს რასმეს და ვერც ხმალი, თუ ჩემ შარდში არ არის ნაწრთობი. თუ იმას მოჰკლავენ, იმაში შველი ზის და ახლა ის გაიქცევა; თუ შველს დაიჭერენ, იმაში კურდღელი ზის. კურდღელში ყუთია და ყუთში სამი ჩიტია: ერთია სული, ერთი ჯანი და ერთიც გონი. როდესაც ისინი დაიხოცებიან, მაშინ მეც მოვკვდებიო.

ქალმა ეს ყველაფერი დედაბრის შვილს შეატყობინა, იპოვეს ნატეხარი და დადგეს იმ ადგილს, სადაც დევი მიდგებოდა ხოლმე შარდისათვის.

დედაბრის შვილმა აწრთო ისრები და საჩქაროდ გასწია ირმის საძებნელად. გაიარეს ერთი მთა, მეორე, მესამე, მეოთხე, მეხუთე, მეექვსე, არსად არის ირემი. გაიარეს მეშვიდე და მერვე, მეცხრე გადაიარეს და გადაიხედეს. იქით ერთი უშველებელი ველია გაჭიმული, არსად ბოლო და არსად სიგრძე და სიგანე. შორს სადღაც კი ჩანს შვიდი რაღაც შავად. დედაბრის შვილი გულში მიხვდა, მთიბავები იქნებიანო და დაეშვა იმათკენ.

მივიდნენ მთიბავებთან; მთიბავებს ერთი უშველებელი ადგილი გაუთიბავთ და ნათიბი დაუგროვებიათ გროვა-გროვად.

დედაბრის შვილმა ჰკითხა, რისთვის სთიბავთ მაგოდენა თივასაო.

მთიბავებმა უთხრეს, ა იმ შავ მთაზე ირემია, გვიცქერის, შუადღისას ჩამოვა, თუ მოთიბული საკმაო არ დახვდება, სუ ფეხით გაგვიტანსო.

დედაბრის შვილმა უთხრა ფეხდოლაბას: აბა შენ მოემზადე, თან დავიმალნეთ აქვე თივის უკანაო.

მოვიდა შუადღე და მოვარდა ირემიც. ირემმა შეხედა, მერე მოავლო პირი და ერთი ბულული თივა ერთ ლუკმად გადაყლაპა. მერე ისევ აიღო თავი და დაუწყო ცქერა ერთ ადგილს,—სუნი თუ დაიყარა. დაბრუნდა ირემი გასაქცევად, და დაადევნა დედაბრის შვილმა ისარი. ირემმა დაიჩოქა, დაეცა მიწაზე და დალია სული. დედაბრის შვილმა გასჭრა ირემი; იქიდან მართლა ამოხტა შველი და გაიქცა მინდორზე, მაგრამ ფეხდოლაბა მალე დაეწია. დაიჭირეს შველი, გასჭრეს და მუცლიდან კურდღელი ამოვარდა, მაგრამ ფეხდოლაბას კურდღელი ველარსად გაეხვეწა. დაიჭირა კურდღელი, გასჭრეს და ამოაცალეს ყუთი; გააღეს ყუთი და შიგ ჯერ უბუმბულო ჩიტის ბარტყები ისხდნენ.

დევი სანადიროდ იყო. გულმა გაუგო, რომ ირემს რაღაც დაემართა და გასწია შინისკენ გაცეცხლებულმა, რომ დაესაჯა ქალი. მივიდა ხვრელის პირზე, ასწია გორას და უნდა შესულიყო, მაგრამ ამ დროს ბებრის შვილმა ჯანის

ჩიტს მოწყვიტა თავი, დევი მაშინვე დადუნდა და ბოძად მიედგა გორას. მერე მივიდა დედაბრის შვილი, გვითხარ, რა გაქვს ამ სახლში, სხვა ხო აღარავინ მოიტაცეო.

დევმა სთქვა, სიკვდილს ისევ სიცოცხლე სჯობიაო, მისცა გასაღებები და უთხრა, ამ გასაღებით ოთახს რო გააღებ, ექვსი ქალია და გამოიყვანეთ; ამ გასაღებით გააღებ ერთ ოთახს და იმაში შვიდ ცხენს ნახავთ, გამოიყვანეთ და მოიხმარეთო.

მოჰგლიჯა გონების ჩიტსაც თავი დედაბრის შვილმა, აერია გონება დევკაჟიანს და ვეღარაფერი გაიგო. გააღეს ოთახები და ნახეს მზეთუნახავი ქალები, გააღეს სხვა ოთახი და იქ რაშები ება. დაურიგა ამხანაგებს ეს ექვსი მზეთუნახავი ქალი, დაითითოეს რაშები, წამოიყვანეს ქალი და წავიდნენ. წასვლის დროს სულსაც მოწყვიტა თავი და დარჩა დევი ბოძად.

მიიწურა დედაბრის შვილის მისვლის დროც. მიიწურა და მიიწურა იმათი გზაც.

დევები ძლივს ელოდნენ დაღამებას, რომ დაეგლიჯათ ხელმწიფის შვილი ნაწილ-ნაწილ. ხელმწიფის შვილი კი იჯდა და გასცქეროდა გზას, როდის გამოჩნდება დედაბრის შვილიო.

ბოლოს გამოჩდნენ. წინ დედაბრის შვილი მოდიოდა, უკან მოსდევდნენ ექვსი სხვანი და მოჰყავდათ ქალები.

მოჰგვარეს ხელმწიფის შვილს მზეთუნახავი; გააჩაღეს დევებმა ქორწილი, მოხადეს ასკოკიანებს.

ქორწილის შემდეგ გასწიეს ხელმწიფესთან. იქაც გადიხადეს ლხინი და იცხოვრეს ყველამ ტკბილად.

მალე ხელმწიფის შვილი ხელმწიფედ გახდა; დედაბრის შვილი თავის ვეზირად გაიხადა და სხვებიც უფროსებად, ზოგი რისა და ზოგი რისა.

ჭირი იქა, ლხინი აქა,
ქატო იქა, ფქვილი აქა.

მინა თავისას მოითხოვს

იყო ერთი ქვრივი დედაკაცი, ჰყავდა ერთი ვაჟი. ვაჟ
იზრდებოდა და ჰხედავდა, რომ მის გარდა ყველასა ჰყავდ
მამა, მარტო ის მამობას ვერავის ეტყოდა. შვილი გადაეკი
და დედას, დედავ, ყველას მამა ჰყავს და მეც რატომ არა
მყავსო.

დედამ უთხრა, მოკვდა, შვილოო.

— მაშ აღარ მოვა? ან რა არის სიკვდილი?—ჰკითხა
შვილმა.

— ის კი აღარ მოვა, შვილო, და ჩვენ კი წავალთ იმასთან;
სიკვდილს ვერავინ მოვრჩებით, ყველა მიწად ვიქცევით, და-
ვიხოცებით.

— მე არ მითხოვნია ღმერთისთვის გამაჩინეო, და რაკი
გამაჩინა, რადღა უნდა მომკლას?—სთქვა ვაჟმა,—ისეთ ადგილს
უნდა წავიდე, სადაც სიკვდილი არ არისო.

დედამ აბრუნა შვილი, მაგრამ არ დაიშალა.

მოიარა მთელი ქვეყანა, სადაც მიდიოდა, ჰკითხავდა, აქ არის სიკვდილიო?

ყველასაგან ერთი პასუხი ესმოდა, არისო.

დაღონდა ვაჟი, ადგილი არ იყო, რომ სიკვდილი არა ყოფილიყო. ამ დროს ვაჟი ოცი წლისაც გახდა.

ერთხელ ერთ მინდორზე მიდიოდა; გაიხედა წინ და შორს ერთი ირემი დაინახა, მისი რქები ღრუბლებში იყო აწვდილი.

ვაჟი მიუახლოვდა ირემს, ძალიან მოეწონა მისი რქები და ჰკითხა:—შენი გამჩენის მადლს, არ იცი იმისთანა ქვეყანა, რომ სიკვდილი არ იყოსო?

ირემმა უთხრა:—მე ღვთის მოციქული ვარ და ღვთის ნაწესებს ვასრულებ, სანამ ჩემი რქები ცას არ მიეხირება, მეც ვიცოცხლებ, მისწვდება ჩემი რქები ცას და მეც მოვკვდები; თუ გინდა, შენც ჩემთან იყავ, და სანამ მე ვიქნები, შენც იცოცხლებო.

ვაჟმა უთხრა:—თუ ვიცოცხლებ, უნდა მუდამ ვიცოცხლო, თორემ აქ მოუსვლელადაც მოვკვდებოდიო.

გასცდა ვაჟი და გაუდგა გზას; გაიარა მინდორი, ველები და შეება ტყიან და კლდიან ადგილს. ერთ ხევს მიადგა: სულ პიტალო კლდე იყო და ისეთი ღრმა იყო, რომ თვალი ვერ ჩასწვდებოდა იმის ძირს. ხევის პირზე კლდეზე იჯდა ყორანი და ასკინტლებდა ხევში. ეს ყორა ნიც ღვთის მოციქული იყო.

ვაჟმა ჰკითხა ყორანს, არ იცი იმისთანა ქვეყანა, სადაც სიკვდილი არ არისო.

ყორანმა უთხრა:—მე ღვთისგან დაწერილი მაქვს სიცოცხლე იქამდის, სანამ ამ ხევს სკინტლით არ ამოვავსებ. თუ გინდა ჩემთან იყავ და შენც ცოცხალი იქნები, სანამ მე არ მოვკვდები. არაფერზე არ დაგვჭირდება ზრუნვა, ყველაფერი მზა გვექნებაო.

ვაჟმა ჩაიხედა ხევის უფსკრულში, მაგრამ მაინც ცოტა ეჩვენა: გასწი, გასწი შორსაო, ეუბნებოდა რაღაც.

ამასაც გასცდა ვაჟი და მოათავა ხმელეთიც და მიადგა

ზღვის პირს; აუარა და ჩაუარა ზღვას. ერთი დღე იარა, მეორე და ვერაფერს შეხვდა. მესამე დღეს დაინახა სადღაც შორს მბრდღვინავი სარკე. ვაჟი წავიდა იმისაკენ და ნახა, რომ ის მბრდღვინავი სარკე სალი მინის სახლი იყო.

შემოუარა ვაჟმა და ვერსად უპოვა კარები, ბოლოს ერთგან შენიშნა პატარა ხაზი, მივიდა იმასთან და ნახა, რომ კარი იყო—გააღო და შიგ შევიდა. ოთახში ისეთი ლამაზი ქალი იწვა, რომ მზეს შეშურდებოდა იმისი სილამაზე. ვაჟს ძალიან მოეწონა ქალი და ქალსაც ვაჟი.

ვაჟმა ჰკითხა ქალს:—მშვენიერო, მე სიკვდილს გამოვექეც და არ იცი იმისთანა ადგილი, რომ სიკვდილი არ იყოს?

ქალმა უთხრა:—მაგისთანა ადგილი ალბად არის. რას ეძებ, ჩემთან იყავო.

ვაჟმა უთხრა:—მე შენთან კი არ წამოვსულვარ, იმისთვის წამოველ, რომ იმისთანა ადგილი ვიპოვო, სადაც სიკვდილი არ არისო.

ქალმა უთხრა:—მიწა თავისას მოითხოვს, შენ მაინც უკვდავებას ვერ შეიფერებ. აბა მითხარ, რამდენი წლისა ვიქნები?

ვაჟმა დახედა: ქალის ახლად აკოკრებული მკერდი, ვარდისფერი ლოყები ისეთი საუცხოო იყო, რომ ვაჟს ერთ წუთში დაავიწყდა სიკვდილი.

ვაჟმა უთხრა:—ბევრი-ბევრი თხუთმეტი წლისა იყო.

— არა,—უპასუხა ქალმა,—მე შექმნის პირველ დღესა ვარ გაჩენილი და აქამდე სულ ასე ვარ. მე „ტურფა“ მქვია და არც დავბერდები, მუდამ ასე ვიქნები და არც მოვკვდები. შენ აქ დარჩებოდი ჩემთან, მაგრამ ვერ შეიფერებ, ისევ მიწა მოგითხოვს.

ვაჟმა პირობა დაუდო, რომ არადროს არ მოშორდებოდა. დაიწყეს ქალმა და ვაჟმა ერთად ცხოვრება.

წლები წუთებივით მიჰფრინავდნენ; ბევრი რამ გამოიცვალა, ბევრი მოკვდა, ბევრი დამიწდა, ბევრი გაჩნდა, დედამიწა იცვლიდა პირს, ეს ეტყობოდა ყველაფერს, მაგრამ ვაჟი ვერ ამჩნევდა დროს ფრენას. ქალი ისევ ისეთი ლამაზი იყო და ვაჟი ისეთივე ახალგაზრდა.

გაფრინდა ათასი წელი. ვაჟს მოუნდა თავისი ქვეყნის ნახვა; თავის დედისა და ნათესავების დანახვა მოსწყურდა. ქალს უთხრა, უნდა წავიდე და ვნახო ჩემი დედა და ნათესავები.

ქალი არ უშვებდა: ახლა იმათი ძვლებიც აღარ იქნებაო.

ვაჟმა უთხრა: — რას ამბობ, ეს სამი-ოთხი დღე არის, რაც მოვსულვარ და როდის დაიხოცებოდნენ?

ქალმა უთხრა: — აკი გითხარ, მიწა თავისას მოითხოვს. მეთქი. კარგი, წადი და, რაც მოგივიდეს, შენ თავს დააბრალე. — სამი ვაშლი მისცა: — როდესაც იქ მიხვალ, მაშინ შეჭამეო.

წავიდა ვაჟი და აი შემოჰხვდა ნაცნობი ადგილები. აი ხევიც, ის უძირო უფსკრული. ყორანი მაშინღა მომკვდარიყო, ამოევსო ხევი და თვითონაც გამხმარი იჯდა კლდის წვერზე.

ვაჟს თვალთ დაუბნელდა, მოაგონდა ქალის სიტყვები, გაბედა უკან დაბრუნება, მაგრამ მიწა, ბედისწერა არ უშვებდა. ისევ წინ წავიდა.

გასცდა კლდეებს და გავიდა ნაცნობ მინდორზე. გაიარა, გაანახევრა და ნახა, რომ ირმის რქა ცას მიჰყუდებოდა. ის იყო მაშინღა მომკვდარიყო ირემიც. ახლა კი დარწმუნდა ვაჟი, რომ მართლა კარგა ხანი გასულაო.

მაინც გასწია თავის ქვეყნისაკენ. მივიდა, მაგრამ ნაცნობი კი აღარავინ იყო. იკითხა დედა, მაგრამ იმის გამგონიც კი აღარავინ მოიპოვებოდა.

ბოლოს ერთი ბერიკაცი ნახა. ჰკითხა თავისი დედის ამბავი და უამბო ყველაფერი, მაგრამ ბერიკაცმა არ დაუჯერა, ის დედაკაცი, როგორც მამა-პაპას უთქვამს, ათასი წლის წინათ ყოფილა და როგორ შეიძლება, რომ იმის შვილი ახლა ცოცხალი იყოსო.

ხალხს არა სჯეროდა და ამბობდა, ეგ გამოგზავნილია საიქიოდანაო.

გავარდა ამაზე ხმა სოფლებში და ხალხი კალიასავით ედებოდა ამ ვაჟს სანახავად.

ბოლოს ვაჟი მივიდა იმ ადგილს, სადაც იმათი სახლი იყო; სახლის ადგილს ყვითელ ხავსმოკიდებული ქვითკირის კედლები კიდევ დახვდა.

ვაჟს მოაგონდა ყველაფერი, თავისი დედა, თავისი ბალღობა, დაღონდა; ბოლოს სთქვა: მოიტა ერთი, შეეჭამ ერთ ვაშლსაო.

ამოიღო, შეჭამა და ერთ წამში ხავსივით წვერი დაეკიდა წელამდე, შეჭამა მეორე და მოეშვა მუხლები, ველარ გაანძრია ხელი, გახდა კუტი მოხუცი. თავი შეჰზიზღდა; დაინახა ახლოს ერთი ბალღი და დაუძახა:

— მოდი, ჯიბეში ერთი ვაშლი მაქვს და ამომიღეო.

ბალღმა ამოუღო ვაშლი, შეჭამა ბერიკაცმა და განუტევა სული.

გაიტანა სოფელმა და სამადლოდ დამარხა.

სამი მტევანი ყურძნის ამბავი

იყო და არა იყო რა, იყო ერთი საწყალი მეწისქვილე. როგორც თვითონ იყო საცოდავი, ისე წისქვილი ჰქონდა საცოდავი. დიდი მოგება არაფერი ჰქონდა. ეგ იყო შიმშილით არა კვდებოდა! ანკი რა მოჰკლავდა? ცოლი არ აწუხებდა და შვილი. კაცმა მართალი უნდა თქვას, ცოლი კი ძალიან უნდოდა, რომ შეერთო.

სახლის გვერდზე ერთი პატარა ვენახი ჰქონდა, შიგ სამი ვაზი ედგა, სამი მტევანი ება ამ ვაზებს. ჩამოუვლიდა მეწისქვილე ვაზებს: თქვენ უნდა დამაქორწილოთ, სამი მტევნიდან სამი კოკა ღვინო გამომივაო.

ისეთი იმედი ჰქონდა, თითქო დაწურული ედგა ქვევრში. ძალიან უფრთხილდებოდა, ბუზს არ აკარებდა ახლოს.

ერთხელ მეწისქვილესთან მელია მოვიდა:—მეწისქვილევ,—უთხრა მელიამ,—ყურძენი მაქამე და ბედსა გწევო.

— რა ბედს უნდა მწიო, შვილოსა, ჩემმა სამმა მტევანმა ცოლი უნდა შემრთოს, სხვა არაფერი მინდაო.

— კარგი,—უთხრა მელიამ,—მაჭამე და მე შეგრთავ.

— რომ არ შემრთო, მერე რა გიყო?

— თუ არ შეგრთე და ბედს ვერა გწიე, შენ ხელთ არ ვიქნები, რაც გინდა ის მიყავი,—უთხრა მელიამ.

მეწისქვილემ ჯერ ერთი მტევანი მოუგლიჯა. შეჭამა მელიამ.

— მწიე ბედსა, მელიავ,—ეუბნება მეწისქვილე.

— მეორეც შემაჭამე!

შეაჭამა მეორეც.

— მწიე რაღა ბედსა, თორე ამ კეტს ხომ უცქერი, დაგცხებ და დაგარეტიანებ,—უთხრა მეწისქვილემ.

— მოიცა, ჩემო ძმაო, მესამე მტევანიც შემაჭამე, და ბედს მერე გწევო.

შეაჭამა მესამე მტევანიც.

— თუ არა მწიე ბედს, ახლა კი ცოცხალს აღარ გაგიშვებ,—დაუყვირა გულმოსულმა მეწისქვილემ, რაკი ცარიელი ვაზები დაინახა.

გაუძღვა მელია მეწისქვილეს, გაიყვანა მინდორში, სულ ღიღილო და ყაყაჩოებით ააჭრელა: უნდა ხელმწიფის ქალი შეგრთოო.

იარეს, იარეს და ერთ ტლაპიან წყალს მიადგნენ. ზედ ცალფეხა კაცის ხიდი იდო: ცალი ხე იდო. შედგნენ ზედ, დაანძრია მელიამ და ეს კაცი შიგ ტლაპოში ჩააგდო. როცა მეწისქვილე კარგა მოისვარა, ჩამოხტა მელია და გამოათრია მეწისქვილე ნაპირზე:—შენ აქ დამიცადე, მე წავალ და ამ საათში ისეთ ტანისამოსს მოგიტან, თავის დღეში არ გენახოსო.

დაჯდა მეწისქვილე და ელის.

მოვიდა მელია ხელმწიფესთან და მოახსენა:

— დიდებულო ხელმწიფევ, თქვენთან სასიძო მომყავდა, გზაზე ხიდიდან გადამივარდა, ტანისამოსი მოესვარა და სირცხვილით ვეღარ მოსულა. რაც ეკადრებოდეს, ერთი ხელი კაი სამეფო ტანისამოსი ვვიბოძეთ.

ხელმწიფემ მაშინვე უბრძანა მიეცათ ერთი ხელი კაი ტანისამოსი თავისი მორთულობით.

წამოვიდა, წამოიღო მელიამ, ჩააცვა მეწისქვილეს, მორთო და მოიყვანა ხელმწიფესთან. გახარებულია მეწისქვილე, რადგან თავის დღეში ასეთი ტანისამოსი, ზედ კი არა, თვალითაც არ უნახავს. სულ ზედ იხედება. ზედ რომ იხედებოდა, როგორღაც ეუცხოვათ კარისკაცებს.

მელიას ჰკითხეს:—მელიავ, რა ხამივით იცქირება ტანისამოსზე?

— თქვენები არ მოეწონა, უკეთესს არის დაჩვეული და ვეღარ უწყენინებია თქვენთვისა.

ზის მეწისქვილე და დარდშია. ყველა, ყველა, მაგრამ ეს მექორწილე ხალხი სად უნდა წაასხას, სად, ვის სახლში შეიყვანოს?! ფიქრობს და ვერაფერი მოუგონია.

მელიას ჩუმად უთხრა:—რომ გაგვიგონ, ხომ შენც უნდა დაიღუპო და მეც დამღუპო; რა ვქნათ, ახლა რაღა გვეშველება?

— შენ არხეინად იყავ, მე მოვახერხებ;—გაუმაგრა გული მელიამ.

შერთეს ქალი და წამოვიდნენ, იმოდენა ნაზირ-ვეზირები სულ თან გამოჰყვა. მელიამ დაიწინაურა, მაყრებს უთხრა: მე უნდა წინ მახარობლად წავიდე და თქვენ ფეხი ცოტა მძიმედ ატარეთო.

გამოსწია მელიამ. დევების ერთ კარგ სახლთან მოვიდა. შიგ გამრავლებული, სარჩოთი სავსე დევები ცხოვრობდნენ.

— არიქათ, ძმებო, ლაშქარი მოდის, თუ არ დაიმალეთ, სულ აგიკლებენ, ჩქარა თავს უშველეთ!—დაუძახა მელიამ.

— რა ვქნათ, მელიავ, გვირჩიე რამე,—შეეევედრნენ დევები.

— წამოდით,—უთხრა მელიამ,—აი დიდი თივის ზვინი რომ დგას, იმაში შეძვერით. იმათი ლაშქარი რომ გამოივლის, ცხენების ფრუტუნს გაიგონებთ, თქვენც დაიწყეთ ფრუტუნი, თავი გარეთ არ გამოჰყოთ, თორემ სულ გაგჟლეტენ.

დაანებეს თავი დევებმა მაშინვე სახლს, გულგახეთქილები შეძვრნენ თივაში. მელიასაც ეს უნდოდა: მიუკიდა ამ თივას ცეცხლი. ირგვლივ ფრუტუნი დგას—ცეცხლის ალი

ტრიალებს. ერთი დეკეილა გადარჩა ცოცხალი, სხვები სულ დაიბუგნენ. იმანაც თავს უშველა. სახლისკენ რაღა მოახედებდა.

შევიდა მელია დევების სახლში. მართლაც რა არ იყო იმათ სახლში, რასაც გული ინატრებს და გონება მოიგონებს. ჭერზე სულ ოქროსი და ვერცხლის ვარსკვლავები ისხდნენ. ავიდა მელია, სამი ვარსკვლავი ჩამოიღო და დამალა.

მოვიდნენ ქალიანნიც. გაჰკვირდნენ ნეფის მოწყობილობით. მეწისქვილეც გაკვირვებული იხედება აქეთ-იქით, ხან ჭერში შეიცქირება.

— რას იხედება ეს კაცი?—დაიწყეს ჩურჩული.

აქ მელია წამოდგა და მოახსენა, ჭერში იმიტომ იცქირება, რომ წეღან მე განგებ სამი ვარსკვლავი ჩამოვხსენ და იმას კითხულობს.

ისეთი ქორწილი გადიხადეს, რომ სულ მთა და ბარი შესძრეს.

როცა ქორწილი გათავდა და ხალხი წავიდ-წამოვიდა, მელიამ უთხრა მეწისქვილეს:

— აბა, ჩემო ძმაო, მე ამისთანა ბედსა გწიე და შენ რაღა სიკეთეს მიზამ?

— საქათმეში დაგმარხავ, როცა მოკვდები,—უთხრა მეწისქვილემ.

მელიამ სთქვა, თუ არ გამოვცადე, მართლა საქათმეში დამმარხავს თუ არა, არ იქნებაო.

ერთი კვირის შემდეგ თავი მოიმკვდარუნა, სული განაბა, ფეხები გაფშიკა და კუდი გაჭიმა.

მოვიდა მეწისქვილე, ნახა მელია მომკვდარა, დაავლო ხელი კუდში და სანაგვეში გადაისროლა. წამოხტა გაბრაზებული მელია და მიაფურთხა მეწისქვილეს:—მაგრე უნდა სიკეთის გადახდა, არ გრცხვენია, მაგრე ასრულებ შენ დაპირებას? ამ საათში წავალ და ხელმწიფეს ვეტყვი, რომ შენ მეწისქვილე ხარ, შე საძაგელო შენა!

აბა რას ეტყოდა ხელმწიფე; ის მელიას უფრო არ

გაამტყუნებდა: მაჭანკალი შენ იყავ და, თუ მეწისქვილე იყო, რაღადა მაჭანკლობდიო.

— აღარა, ხელიავ, აღარა ვიქ, — ეუბნება მეწისქვილე, — საქათმეში დაგმარხავ!

გავიდა კიდევ რამდენიმე ხანი, მელიამ კიდევ მოიმკვდარუნა თავი. აიღო მეწისქვილემ და ისევ გადისროლა. წამოხტა მელია და ახლა უფრო უარესი დღე დააყენა. კიდევ შეჰფიცა მეწისქვილემ, თუ არ დაგმარხო, მერე წადი და, რაც გინდა, მიყავიო.

ამის შემდეგ კარგა ხანს იცოცხლეს მელიამ და მეწისქვილემ. როცა მელია მოკვდა, მეწისქვილემ მელიას ანდერძი აღარ გაუტეხა.



გადმოცემა ალექსანდრე მაკედონელზე

ალექსანდრე მაკედონელმა მთელი ქვეყანა დაიპყრო: აღარ დარჩა არც ქალაქი და არც სახელმწიფო, რომ ალექსანდრეს ხმალს არ შეენძრია იმისი კედლები. მაკედონელის თვალი და გული მაინც ვერ გაძღა. იმას უნდოდა, რომ სულ ახალ-ახალი სახელმწიფოები დაეპყრო. დიდხანს არ შეეძლო უომრად ყოფნა.

მაკედონელს ვეზირად ერთი ბრძენი ჰყავდა. ერთხელ დაუძახა ამ ბრძენს მაკედონელმა და უთხრა:—ომი მინდა, ხომ არ იცი ან ქალაქი, ან სახელმწიფო, რომ ჩვენ ხარკს არ გვაძლევდეს?

ბრძენმა მოახსენა:—ეგ რომ სამი წლის წინ გეკითხნა, გასწავლიდი ერთ მდიდარ ქალაქს. ახლა კი ის ქალაქი გაქვავებულია. იმ ქალაქა სპილენძისას ეძახიან, რადგანაც გალავანი, სახლები, ციხეები სულ სპილენძისა აქვს. შვიდ წელს იქ ცა იყო შეკრული, არც მოსულა წვიმა, არც ამოსულა ბალახი, არც ხეები. შვილებს აღარა შობდნენ დედაკაცები,

არც ნადირი და საქონელი. ქათამიც კი კვერცხს აღარა სდებდა, ხეები აღარა ჰყვაოდნენ და ნაყოფი არ მოჰქონდათ. წყლები და ხალხი გაქვავებული არის. აგრეთვე გაქვავებულია იმათი ხელმწიფე. სახლები ოხრად არის დარჩენილი, ოქრო და ვერცხლი უთვალავია, მაგრამ ისეთ ადგილას არის, რომ იქ ცოცხალი კაცი ვერ მივა... ერთი მხრით მიუვალი ზღვა აქვს და მეორე მხრიდან ისეთი მაღალი მთა, რომ იმის თოვლიან წვერზე ფრინველებიც კი ვერ აფრინდებიან. მაგრამ თუ გაიხვრიტა ის მთა, მაშინ კი შეიძლება იმ ქალაქში შესვლაო.

მაკედონელმა მაშინვე უბრძანა ჯარებს მომზადებულიყვნენ და მალე გაუდგნენ სპილენძის ქალაქის გზას. ალექსანდრეს ჯარი ცხრა წელიწადი იდგა იმ მთასთან და ხვრეტდა. მეცხრე წელს გახვრიტეს და გავიდნენ სპილენძის ქალაქში. ალექსანდრესთან ერთად ბრძენიც იყო და მუდამ არიგებდა, როგორც უნდა მოქცეულიყო. ჯარი მიადგა ქალაქის კედლებს, მაგრამ არსიდან არ შეიძლებოდა შესვლა.

ქალაქის კარებზე სპილენძის ერთი შეკმაზული ცხენი იდგა. ალექსანდრე მივიდა იმ ცხენთან და დაუწყო ფაფარზე ხელის სმა: ნეტავი ცოცხალი იყო, რომ ზედ შეგჯდომოდიო. როდესაც ალექსანდრე ამას ამბობდა, ბრძენი იდგა იმის გვერდზე და კარების თავზე მდებარე ქვას კითხულობდა. ქვაზე ეწერა: ცხენს მარჯვნივ შემოაბრუნებ, კარი გაიღება, მარცხნივ—დაიკეტებაო. ბრძენმა ეს მაშინვე მოახსენა ალექსანდრეს. შემოატრიალეს ცხენი მარჯვნივ და გაიღო კარი ქალაქისა. შევიდა ჯარი გაოხრებულ ქალაქში და დაიფანტნენ სახლებში ოქროსა და ვერცხლის საშოვნელად. აუარებელი ოქრო, ვერცხლი და თვალ-მარგალიტი იშოვა ჯარმა. გაავსეს ურმები, დატვირთეს აქლემები და ჯორები სიმდიდრით. ჯარი სპილენძს და უბრალო ფარჩას ხომ აღარ კადრულობდა, მარტო ოქროსა და ვერცხლს ხვეტდა.

ალექსანდრეს თვალი მაინც ვერ გაძღა. ბრძენს უბრძანა: იქ წავიდეთ, სადაც ხელმწიფის სასახლეაო.

წავიდნენ იქ. გზაზე ხალხი სულ გაქვავებული ხვდებოდათ: მჭედლებს ჩაქუჩები ეჭირათ ხელში და ისე გაქვავებუ-

ლიყვნენ, მგზავრები ცხენზე ისხდნენ, წყლის მზიდავებს ზურგზე კოკები ეკიდათ და ისე იყვნენ გაქვავებულები.

ბოლოს შევიდნენ ხელმწიფის სასახლეში. მეფე და დედოფალი ტახტზე ისხდნენ. მეფეს პირში ყალიონი ეჭირა; იმის უკან ერთი კაცი იდგა, ხელში კომბალი ეჭირა; დედოფალს ხელში წიგნი ეჭირა და იმას კითხულობდა, ისიც ისე გაქვავებულიყო. გაძარცვეს მთელი სასახლე და გაიტანეს, რაც რამ იყო.

ალექსანდრე ვამოვიდა, ბაგრამ ბრძენს უთხრა:—მართალია, ამდენი სიმდიდრე მიგვაქვს, მაგრამ იმ გვირგვინების ფასი არაფერია, ისინიც უნდა წავიღოთო.

—არ გინდა, მეფეო,—უთხრა ბრძენმა,—გვირგვინი შენიც გეყოფა.

მაინც არ დაიჯერა ალექსანდრემ, უნდა შევიდეო.

— მაშ ჯერ წავიკითხოთ, რა სწერია იმ წიგნში და მერე ისე მოვიქცეთ,—უთხრა ბრძენმა.

წიგნში ეწერა: ვინც ჩვენს ქალაქში მოხვალთ და ნახავ ჩვენ სიმდიდრეს, წაიღეთ ყველაფერი, ნურაფერს ნუ გასწირავთ, მაგრამ ამ გვირგვინებს კი ნუ მოგვხდით, დადგმულია ღვთისაგან და კაცმა როგორ უნდა მოგვხადოს; და თუ არ დაიშლის და შეგვეხება ვინმე, ინანებსო.

ალექსანდრემ თავი დაანება და გამოვიდა გამარჯვებული, მაგრამ ისევ შებრუნდა: ცოცხლები რას მიზამდნენ, მკვდრები რას ბიზამენ, მოვხდი გვირგვინებს, ერთს მე დავიდგამ და ერთს ჩემი ცოლიო.

შევიდა. ჯერ მეფისათვის უნდა მოეხადნა, მაგრამ ის დროს, როდესაც ის მიეწოდა ხელმწიფის გვირგვინის მოსახდელად, იმის უკან კომბლიანი კაცი გაცოცხლდა, მოუქნია კომბალი ალექსანდრეს, თავში სდრუზა და ისევ ქვის კაცად იქცა. გასისხლიანებული ალექსანდრე ძლივს მოასულიერეს კარისკაცებმა.

ბრძენმა უთხრა:—აკი გითხარ, არ გინდა, თავი დავანებოთ მეთქი, კიდევ კარგი, რომ დედოფლის გვირგვინს არ შეეხე პირველად, თორემ ის ქვის კაცი ხმალს მოგიქნევდა და თავს მოგჭრიდა.

დაკრიჭა კბილები ალექსანდრემ ბრაზისაგან, მაგრამ ქვას რას უზამდა? დაანება ალექსანდრემ იმ ქალაქს თავი და დიდი ნადავლით დაბრუნდა თავის სახელმწიფოში.

* * *

ალექსანდრეს აღარაფერი გადარჩა უხარკოდ. ერთი ზღვაღა იყო, რომელიც ხარკს არ აძლევდა იმასა. ალექსანდრემ იფიქრა, მოდი ერთი, ამითაც ვადიდებ ჩემ სახელს და ზღვასაც გამოვართმევ ხარკსაო.

შეკრიბა ჯარი; უბრძანა თივისა და ნავთის მოტანა, გადააყრევინა ზღვაში და გადაასხმევინა ნავთი და მისცა ცეცხლი.

ცეცხლი მალე მოედო ნავთს და ბოლი შეიკრა ზღვის პირზე. ზღვის ყველა ცხოველი შეწუხდა. ყველა ზღვის სულდგმული სამჯერ მაინც დაინახავდა ცას, ამოფრინდებოდა ხოლმე წყლიდან, ახლა კი ცეცხლისა და ბოლის შიშით ველარავინა ბედავდა ამოფრენას. ბოლოს რომ შეწუხდა და შეწუხდა ზღვის სამეფო, გამოუგზავნეს ალექსანდრეს ერთი პატარა კაცი სათხოვნელად: რაც უნდა გამოგვართვას, ოღონდ თავი კი დაგვანებოსო.

მოცურდა კაცი ზღვის პირას, სადაც ალექსანდრე იყო და უთხრა:—რა გინდა ჩვენგან, რას გიჭამთ, ნახნავს არ გიფუჭებთ და ნათესს, თივა არ გვინდა თქვენი და პური, რატომ არ დაგვეხსნები და არ დაგვანებებ თავსა, რა გინდა ჩვენგან, რა მოგცეთო.

ალექსანდრემ უთხრა:—მე არაფერი არ მინდა, მე მინდა ერთი რამე მომცეთ მცირე, რომ ჩემს შემდეგ მეფეებმა თქვან, მაკედონელმა ზღვასაც კი ხარკი გამოართვაო.

კაცმა გამოუტანა სამი მარცვალი, მისცა და უთხრა:—აჰა, მაშ წაიღე და ერთ მარცვალს რომ შესჭამ, ოთხმოცი წლისა რომ იყო, ოცი წლისა გახდები, მეორეს რომ შესჭამ, მეცნიერი იქნები და მესამეს რომ შესჭამ, რომ გაიარო, ყველა ბალახი დაგიძახებს, რის წამალიც არისო.

გახარებულმა ალექსანდრემ მაშინვე შეგზავნა მცურავები და დაალეკვინა თივა ზღვას.

წამოიღო ალექსანდრემ ის სამი მარცვალი, მიუტანა მეპურეს, გააკეთებინა სამი გუნდა, ჩაატანებინა შიგ და უთხრა:—ეს პურები რომ გამოცხვება, მომიტანე, წვეულება რომ მექნება, წინ დამიწყეო.

ალექსანდრეს უნდოდა თავისი ხალხის წინ გამხდარიყო ახალგაზრდაც და ბრძენიც; მაგრამ ასე არ მოხდა.

დააკრა თუ არა მეპურემ გაკეთებული გუნდები, მაშინვე ნაცარში ჩაცვივდა, წყალივით წვეთ-წვეთად ჩაიკრიბა ცეცხლში. შეშინდა მეპურე, რომ ასე გაუფუჭდა ალექსანდრეს პურები, მაგრამ იფიქრა: განა მე მეპურე არა ვარ, განა სხვას კი ვერ გავაკეთებო.

გააკეთა მართლა სამი სხვა გუნდა, გამოაცხო მშვენივრად და მიართვა ალექსანდრეს. შეჭამა ერთი პური ალექსანდრემ, არაფერი არ მოუვიდა, შეჭამა მეორე, მესამე, მაგრამ ისევ ის ალექსანდრე იყო.

ამ დროს იმ ქალაქში ერთი გლახა იყო, მოხუცებული კუტი. ყოველთვის ვირზე იჯდა და ისე დადიოდა სოფლით სოფელს; ჩაუარა ხელმწიფის მეპურეს და სთხოვა პური. მეპურე გაუჯავრდა: რა შენი დრო მაქვს, ხელმწიფის პურები გამიფუჭდა, წადი, გამეცალეო.

გლახამ უთხრა: ე კუტების ნამცეცები მაინც მომეც, შენ რად გინდა, მე წყალში დავალბობ და ვჭამო.

მეპურეს გაუხარდა კიდეც, რომ მოიშორებდა ამ ნამტვრევებს, აკრიფა ალექსანდრეს პურის ნატეხები და ჩაუყარა პარკში.

წავიდა გლახა შინ, ჩაალბო ეს პურები და როდესაც დალბა, ამოიღო, დაუწყო ჭამა; შეჭამა ერთი ნატეხი და თეთრი გრძელი წვერის მაგიერ ლოყაზე ამოუბუსუსდა პატარა წვერულვაში, გაიმართა წელშიაც და ფეხებშიაც. შეჭამა მეორე და შეიქმნა მეცნიერი, შეჭამა მესამეც და სადაც გაივლიდა, ბალახები უყვიროდნენ, მე ასეთი ვარ და მე ისეთი. მაშინვე დაანება გლახობას თავი, ჩაიცვა მშვენივრად და დაიწყო თავისთვის ტკბილად ცხოვრება.

ალექსანდრე წავიდა მეპურესთან და ჰკითხა:—შენს სულზე სთქვი, ის პურები მომიტანე, რომლებიც მე გამიკეთე, თუ არაო?

მეპურემ უთხრა ყველაფერი, როგორც იყო. მაშინ ალექსანდრემ გაგზავნა კაცები იმ გლახის საძებნელად, მაგრამ არსად იყო. მეორე დღეს ალექსანდრემ წაიყვანა მეპურე და აჩვენა გლახები, აბა იცან, აქ არის თუ არაო.

მეპურემ დაათვალიერა გლახები, მაგრამ ვერსად ნახა ის გლახა. ბოლოს ალექსანდრემ ჰკითხა:—ყველანი აქა ხართ თუ არაო?

გლახებმა უთხრეს:—მაშ, მეფეე, არ შეგიტყვიათ, წუხელ რა ამბავი მოხდა?

— რა?—ჰკითხა მაკედონელმა.

გლახებმა უთხრეს:—წუხელ თქვენს მეპურეს კუტები მიუცია ერთი მოხუცი გლახისათვის, უჭამია თუ არა ის პურები, ახალგაზრდა, ბრძენი და ექიმი გამხდარა. ახლა აღარა გლახობს და ტკბილად ცხოვრობს თავისთვისა.

ალექსანდრემ უბრძანა:—წადით, შესვით ის იმავ ვირზე, ჩააცვით ისევ ის ტანისამოსი და მოიყვანეთ ჩემთანაო.

წავიდნენ, შესვეს ვირზე და მოიყვანეს ალექსანდრესთან. ალექსანდრემ ჰკითხა მეპურეს, ეს იყო თუ არაო.

მეპურემ უთხრა:—რა ვქნა, ბატონო, ვირი ის არის, ტანისამოსი ის აცვია, მაგრამ ეს ახალგაზრდა არის და ის კი ბებერი იყო.

მერე ალექსანდრემ თვითონ გლახას ჰკითხა. გლახამ ყველაფერი უამბო.

ალექსანდრემ ის გლახა თავის ექიმად დატოვა. მუდამ ჰკითხავდა თავის სიკვდილზე. ალექსანდრემ ერთხელ მკლავი გაასინჯა თავის ექიმს და ჰკითხა, რამდენ ხანს ვიცოცხლებო.

ექიმმა უთხრა, სანამ ცა სპილენძად არ იქცევა და დედამიწა რკინად, მანამდე იცოცხლებო.

ალექსანდრეს გაუხარდა, მაგრამ კარისკაცებს არ უყვარდათ ის, რადგანაც სასტიკი კაცი იყო და მოწამლეს. საწამლავმა დაასუსტა მაკედონელი და კვდებოდა; დაუძახეს ექიმს.

ექიმმა უთხრა: — ერთი დღის სიცოცხლე გაქვს, მაგრამ მე სამ დღეს კიდევ გაცოცხლებ ჩემი წამლებითაო.

ალექსანდრემ უთხრა: — აკი იმას მეუბნებოდი, მანამ იცოცხლებ, ვიდრე ცა სპილენძად არ იქცევა და დედამიწა რკინადაო.

— დაიცადე, — უთხრა ექიმმა, — მაგას სიკვდილის წინ ნახავ.

სამი დღე კიდევ იცოცხლა ალექსანდრემ. მესამე დღეს მთავარი ჭკუა დაკარგა; კარისკაცებს უთხრა, ჩამიყვანეთ უკანასკნელად ჩემ ბაღშიო.

ჩაიყვანეს ალექსანდრე ბაღში, გაისერნ-გამოისეირნა და უთხრა, წამიყვანეთ ჩემ საჩრდილობელშიო.

იმის საჩრდილობელს სპილენძი ეხურა და ძირს რკინა ეგო. დააწვინეს ლოგინზე ალექსანდრე. ალექსანდრემ დაინახა სპილენძი:

— ოჰ, ცა ქცეულა სპილენძად, — დაიძახა ალექსანდრემ, — ჩამიყვანეთ, ჩამიყვანეთ!

ჩამოიყვანეს რკინის იატაკზე.

— ოჰ, მიწაც რკინად გადაქცეულა, — დაიყვირა ალექსანდრემ და ამოუვიდა სული.

ექიმი კი იმის მაგივრად გამეფდა.



ორი ცრუპენტელა

იყო ორი ცრუპენტელა. ერთს ერქვა დათუა, მეორეს— პეტრიკელა.

ერთხელ დათუა ცრუპენტელამ ერთი დიდი ტომარა მოიტანა, ხავსით მაგრა გატენილი, თავზე მატყლი დაატენა და იმერეთში წაიღო გასაყიდად. კორტოხის წვერზე (სურამის მთაზე) რომ ავიდა და ტურფა იმერეთს გადახედა, სწორედ ამ დროს პეტრიკელა ცრუპენტელა შემოხვდა: ნიგვზის ნაჭუჭებით სავსე დიდი ტომარა ეკიდა, ხოლო ნაჭუჭების ზემოდან ნიგოზი ეყარა.

— გამარჯობა შენი!—შესძახა დათუა ცრუპენტელამ.

— გაგიმარჯოს!—მიუგო პეტრიკელამ.

— საიდან მოხვალ, ან სად მიხვალ?

— იმერეთიდან მოვდივარ ქართლში, გასაყიდად ნიგოზი მიმაქვს, მაგრამ ერთს გეტყვი, თუ დაიჯერებ: ტყუილუბრალოდ იქით-აქეთ სიარულს რას გამოვრჩებით,—ქალამნები დაგვიცვდება, სხვა არა იყოს რა. მოდი, ჩვენი სავაჭრო

გავცვალოთ: შენ ეს ნიგოზი წაიღე იმერეთში, გაყიდე და მე მატყლი მომეცი, დავბრუნდები და ქართლშივე გავყიდი.

— ძალიან კარგია, ძმობამ! გვირჩევნია ჩვენ ჩვენი სახლებისაკენ დავბრუნდეთ, თრევით რას გავხდებით. აჰა, მატყლი და შენც შენი ტომარა ნიგოზი მომეცი.

ამგვარად, ორივ ცრუპენტელამ ტომრები ერთმანეთს გაუცვალეს და თავთავიანთ სახლებისაკენ დაბრუნდნენ.

ცოტა გზა გაიარეს და ერთმანეთს რომ ვეღარ ხედავდნენ, სწრაფად თავთავისი ტომრები გახსნეს. ნახეს, ერთმანეთი მოეტყუილებინათ.

გავიდა რამდენიმე ხანი. კიდევ შეხვდნენ ერთმანეთს. მიემშვიდობა დათუა და უთხრა პეტრიკელას:

— მე მეგონა, მარტო მე ვიცოდი ტყუილი, მაგრამ არც შენ ყოფილხარ, ძმიავ, ნაკლები.

— იმე! რა გაგკვირვებია, შე კაცო! თუკი შენ იცოდი რამე, რატომ მეც არ მეცოდინებოდა?!

— მაშ, მოდი, დავძმობილდეთ!

— ძალიან კარგი. იცი რა, მოდი ერთად დავდგეთ სადმე მოჯამაგირედ.

— შენი ნება იყოს.

ცრუპენტელები შეუდგნენ მოჯამაგირის ადგილის ძებნას. ბევრი იარეს, თუ ცოტა იარეს, ბოლოს შეიტყვეს, ერთ დედაბერს ორი მოჯამაგირე უნდაო. მივიდნენ იქა და ადგილი იკითხეს.

დედაბერმა უთხრა:—ერთი ძროხა მყავს და ეს სახლი მაქვს; ერთმა თქვენგანმა ძროხა უნდა ატაროს საბალახოდ და თანაც სალამური, ჩონგური და დაირა უნდა ჭქონდეს, რადგან ჩემმა ძროხამ ცეკვა იცის; მეორემ კი აქაურობა უნდა დაგავოს, დაასუფთაოს და სხვის ეზოში გადაყაროს ნაგავი. თუ თანახმა ხართ და სამსახურს შეიძლებთ, დადექით.

— თანახმა ვართ, როგორ ვერ შევძლებთ, - უპასუხეს.

მეორე დღეს პეტრიკელა შინ დარჩა სახლ-კარის მოსავლელად, დათუამ კი პური, დაირა, სალამური და ჩონგური აიღო და ძროხას გაჰყვა...

პეტრიკელამ სახლ-კარი დაგავა, დაასუფთავა, ნაგავს თავი მოუყარა და, როცა სხვის ეზოში ჰყრიდა, პატრონებმა დაინახეს, მისცვივდნენ და სასტიკად სცემეს, თქვენ ნაგავს ჩვენ ეზოში რატომ ჰყრითო.

ცემისაგან გვერდებდალურჯებული პეტრიკელა ბოსლის ტახტზე დაეგდო.

არც დათუა ცრუპენტელას დაადგა კაი დღე. გავიდა თუ არა ძროხა საბალახოდ, მაშინვე კუნტრუში დაიწყო და საღამომდე ფეხჩაუღებლად დარბოდა.

საღამოს შინ მობრუნდა, დათუაც თან მოჰყვა. სირბილისა და შიმშილისაგან ისე დაქანცულიყო, რომ პურის ჭამაც კი არ შეეძლო. შევიდა თუ არა ბოსელში, პეტრიკელას ჰკითხა:

— რა დაგემართა, ძამიავ, ავად ხომ არა ხარ?

— ავად კი არა!

— აბა, რატომ წეეხარ?

— ბოსელი და ეზო დავგავე, ნაგავი სხვის ეზოში გადავყარე, დამინახეს თუ არა პატრონებმა, მიმიწვიეს და კარგად გამიმასპინძლდნენ, ბევრი კახურის სმით თავი მიბრუის; შენ როგორიღა დრო გაატარე?

— მეც კარგ ქეიფზე ვიყავი... დავუკარი დაირა, ჩამოვკარი თითები ჩონგურის სიმებს და ჩავაკრიალე სალამური. ძროხამაც დაუარა მშვენიერი ფეხმარდი ლეკური. კაცი და ქალი აუარებელი მოგვაწყდა, ჩვენთან ისინიც მხიარულობდნენ. წარმოიდგინე, პური ისევ მთელი მოვიტანე: სიხარულით ჭამაც კი არ მომგონებია.

— აბა, რახან ეგრეა, ძმაო, ხვალ მე გავყვები ძროხას, და შენ კი მეზობელს ეწვიე და ერთი ლაზათიანად გამოთვერი.

— შენი ნება იყოს, არ გაწყენინებ, — უთხრა დათუამ.

მეორე დღეს ისეთივე დღე დაადგა პეტრიკელას, რაც დათუას გადახდა: საღამომდე თავქუდმოგლეჯილი არბენინა ძროხამ; დათუა კი ისე დაამჟავეს ცემით, ძლივს მიათრია წელი ბოსლამდე.

იმ ღამეს რჩევა შეექმნათ და სთქვეს, თუ აქედან არ გავიპარეთ, ან შიმშილს ვერ გავუძლებთ ან სირბილს და ცემა ხომ ზედმეტიაო.

გადაწყვიტეს გაპარვა, მაგრამ კარებს საღამოობით დედაბერი თვითონ ჰკეტავდა გარედან. ეს გარემოება მათი გულის წადილის შესრულებას ხელს ძალიან უშლიდა.

პეტრიკელამ სთქვა:— მოდი, ეს ძროხა დავკლათ, ტომარაში ჩავდოთ, მერე ერთმა მეორეს უკიბოს, მაღლა ავიდეს, ჭერიდან გაძვრეს და თოკი ჩამოუშვას. მეორემ ტომრით ხორცი მიაწოდოს, შემდეგ თვითონაც მოეჭიდოს და ავიდეს; მას უკან ერთად წავიდეთო.

— ეგ ძალიან კარგი იქნება, —მოუწონა დათუამ, —მე უფრო ლონიერი ვარ, ხორცსაც ავიტან და შენც ადვილად აგიყვანო.

უკიბა პეტრიკელამ, ტომრის ცალი ყური თოკით მაგრა გამოჰკრა, შიგ ორიოდე ნაჭერი ხორცი ჩადო, თვითონაც ჩაჯდა და დაუძახა:

— ხორცი ასწი და ტომარა ისევ ჩამოუშვი! — დათუამ ტომარა მაღლა ასწია, ზურგზე მოიგდო და მოკურცხლა. კარგა დიდი მანძილი რომ გაირბინა, დაიღალა და დასვენება მოუნდა. ტომარა ზურგიდან მოიხსნა და ძირს დააგდო.

— ნელა, შე ოჯახქორო, არა მატკინო რა, —შესძახა პეტრიკელამ და ტომრიდან ამოძვრა.

— თვითონ შე ოჯახდაქცეულო! წელი რად მომწყვიტე?

— აბა, ჩემი რა ბრალია: ნუ ვუღალატებთ ერთმანეთს, ნურც ჭირში, ნურც ლხინში და არც წელი მოგვწყდება და არც გული, — უთხრა პეტრიკელამ.

ის იყო და ის, ერთმანეთის მოტყუებას თავი დაანებეს, ძმურად, სიყვარულით იწყეს ცხოვრება და ერთმანეთის გატანას არაფერი ერჩივნათ.

ბედივარი

იყო და არა იყო რა, იყო ერთი საწყალი და უქონელი, მარტოხელა კაცი. წავიდა სამოჯამაგიროდ. ერთ ქალაქში მივიდა და ერთ გვარიან კაცთან სამ თუმნად დადგა. ისეთი ბედი ჰქონდა ყველაფერში, რომ ერთ წელიწადში იმისი პატრონი, რაც იყო, ერთიათასად მეტად გამდიდრდა.

როცა წელიწადი გათავდა, მოჯამაგირემ დაპირებული სამი თუმანი მოსთხოვა. აღას ძალიან მოსწონდა და არ უნდოდა იმის ხელიდან გაშვება, უთხრა: — რად გინდა, შვილო, რომ სამი თუმანი მოგცე და წახვიდე; აი ჩვენ ერთი ქალის მეტი არავინა გვყავს, შეირთე, სილამაზე არ აკლია, მახინჯი არ არის, ყველაფრით სრულია; სხვაც რომ არაფერი მოუმატო; რაც ჩვენ სარჩო გვაქვს, ისიც გეყოფა საცხოვრებლადა.

ბედივარმა, ასე ეძახდნენ მოჯამაგირეს, უარი უთხრა: — რაც დაპირებული ხარ, ის მომეცი, მე შენი ქალი არ მინდაო.

მაინც აღამ არ მისცა დაპირებული. ასე ეგონა, რაკი ფულ არ მივცემ, აღარ წავა, თავს არ დამანებებსო.

რაკი ვერაფერს გახდა, ბედივარი ხელმწიფესთან წავიდა საჩივლელად, მაგრამ ვინ მიუშვებს?! დგას კარებთან, კარისკაცები კი სცემენ და გამოაგდებენ ხოლმე.

ხელმწიფეს ერთი დედისერთა ქალი ჰყავდა, ძალიან გულკეთილი და პატიოსანი. ერთხელ დაინახა, რომ ბედივარს კარისკაცები სცემენ და მეფესთან არ უშვებენ. ძალიან შეეცოდა, წავიდა და მამას მოახსენა: — მამა, ერთი კვირაა აქ, შენ კარებთან ერთი საწყალი მუშაკაცი მოდის, დგას, დგას, ელის სამართალს; შენი კაცები კი სცემენ და აგდებენ. მეფე ბრძანდები, უნდა სამართალი უბოძოო.

მეფემ შვილის სიტყვები საწყენად მიიღო, გაჯავრდა და თავისი ქალი გააგდო.

ქალი წავიდა ბედივართან: — მეფის ქალი ვარ, შენი გულისათვის მამაჩემმა სახლიდან დამითხოვა, მე შენ მეცოდები და მიყვარხარ, წამოგყვები ცოლად, წავიდეთ შენ სოფელში და, როგორც იქნება, ისე ვიცხოვროთო.

ბედივარს ძალიან მოეწონა ქალი, მაგრამ თვითონ მეტად ღარიბი იყო და არა ებადა რა. ქალი მაინც არ მოეშვა.

წაიყვანა ბედივარმა ქალი თავის სოფელში. იქ ერთი პატარა სახლი აიშენეს, მუშაობა დაიწყეს და ტკბილად ცხოვრობდნენ. ქალს შვილი უნდა შესძენოდა. ბედივარი დაღონდა: უნდა წავიდე სადმე, რომ ცოლ-შვილს საზრდო ვუშოვო, თორემ ასე მუშაობით ცოლ-შვილს ვერ ვაცხოვრებო.

გამოეთხოვა ცოლს და წავიდა. ბევრი იარა, თუ ცოტა იარა, ერთ ქვეყანაში მოვიდა. კაი დიდი ქალაქია. ერთ მდიდარ ვაჭარს ხორცი უყიდნია და დგას, უნდა წააღებინოს ვისმეს და ვერც კაცს შოულობს. ბედივარი მივიდა და მოახსენა: — მიბოძეთ, ბატონო, ხორცი, მე წავიღებო.

ვაჭარმა ანიშნა, ამა და ამ ალაგას, რომ დიდი სახლია, იმ სახლში მიიტანე და მზარეულს გადაეციო.

წაიღო ბედივარმა ხორცი, მივიდა ვაჭრის სახლში, მა-

გრამ იქ მზარეული ვერავინა ნახა. ადგა და თვითონ მოამზადა მშვენიერი სადილი.

მოვიდა ვაჭარი, სადილი ძალიან მოუწონა, უთხრა:—ბედივარ, მოდი, რა მოგცე, ერთ წელიწადს მოჯამაგირედ დამიდექიო.

გარიგდნენ წელიწადში ერთ აბაზად.

ისეთი გახდა ამ ვაჭრის ქონება, დუღს და გადმოდის. მისი სარჩო-საბადებელი ერთი ათასად გაიზარდა.

გავიდა წელიწადი; გამოართვა ბედივარმა ხვედრი ერთი აბაზი. წავიდა ბაზარში: ამით ჩემ ცოლს ვუყიდი რასმეს და გავუგზავნიო.

მართლაც, ერთი სარკე შეხვდა, მისცა აბაზი და, რადგან იმისი აღას ამხანაგი სოვდაგარი ბედივარის ქვეყანაში მიდიოდა სავაჭროდ, ის სარკე მას გაატანა.

სოვდაგარი გზაზე ერთ ქალაქში ერთი მდიდარი კაცის ოჯახში დადგა. ხედავს: ქალებმა დილით რომ პირი დაიბანეს, სარკის მაგივრად წყალში იხედებიან. თურმე იმ ქვეყანაში სარკე არა სცოდნიათ. სოვდაგარმა ამოუღო სარკე და აჩვენა, აბა ჩაიხედეთო.

ქალებს ძალიან გაუკვირდათ და ხელიდან აღარ უშვებდნენ, უნდა მოგვყიდოო!

— ვერ გავყიდი, – მოახსენა სოვდაგარმა,— სხვისი გამოტანებულიაო.

ქალები მაინც არ მოეშვნენ. მისცეს ათი ჯორის საპალნე ფული.

სოვდაგარმა იფიქრა: ამ ფულს წავუღებ, ამისთანა სარკე იქ კი ცოტა იშოვებაო?!

ბედივარის ცოლს ძალიან გაეხარდა ამოდენა ფული. სოვდაგარს კაი პატივი სცა და ისე გაისტუმრა. ქალს ამ დროს უკვე წელიწადნახევრის ვაჟი ჰყავდა. ამ ფულით მშვენიერი სასახლე ააშენა და დაიწყო კეთილი ცხოვრება.

ბედივარმა მეორე წელიწადიც ისევ აღასთან გაატარა. ისე გამდიდრდა აღა, რომ იმ ქვეყანაში ხელმწიფის მეტი ვეღარავინ სჯობდა.

წლისთავზე ბედივარმა წაიღო მეორე აბაზი ბაზარში. ვნახოთ, ბალღებს კატის კნუტი დაჰყავთ გასაყიდად.

— რა ღირს?—ჰკითხა ბედივარმა.

— ერთი აბაზი,—უთხრეს.

მისცა ბედივარმა და წაიყვანა. იმის ქვეყანაში ვაჭრების ქარავანი მიემგზავრებოდა. შეეხვეწა, ერთი კატის კნუტი მყავს, მინდა ცოლს გავუგზავნო, და თუ შეიძლება, წაიყვანეთო.

სოვდაგრები დიდი სიამოვნებით დათანხმდნენ წაყვანაზე, რა ბედენად დაგვამძიმებსო.

სოვდაგრებმა მგზავრობის დროს ერთ ქვეყანაში დაისვენეს. აქ ისინი დაპატიჟა ერთმა ქალაქის დიდებულმა. სუფრა რომ გაშალეს, რამდენიმე კაცი ჯოხით დაადგა თავსა და ბოლოს. სოვდაგრებმა მიზეზი იკითხეს. მოახსენეს, რომ აქ იმდენი თაგვი იცის, პურს ხელიდან გვტაცებენ და იმათ დასაფრთხობად დგანანო.

მართლაც, როცა სადილზე დაბრძანდნენ, იმდენი თაგვი გამოცოცდა, რომ სულ დაფარა სუფრა. ადგა მაშინ ერთი სოვდაგარი და მოიყვანა კატა. კატამ დაინახა თუ არა თაგვები, ეცა და სულ მუსრი გაავლო. კატის ხმაზე ისე გაჰქრენ თაგვები, რომ წამლად აღარ მოიპოვება. ისეთია სახლის პატრონი, აღარ იცის რაღა ქნას.

— რაც უნდა დამიფასოთ, მოგართმევთ, და კატა კი მე უნდა დამითმოთ,—უთხრა მასპინძელმა.

სოვდაგარმა უთხრა:—სხვისი გამოტანებულია და ვერ გავყიდითო.

მაინც არ მოეშვა, მისცა თხუთმეტი ჯორის საკიდარი ფული და გამოართვა ის კატა.

სოვდაგრებმა მიუტანეს ბედივარის ცოლს აღებული ფული და უთხრეს:—შენმა ქმარმა გამოგიგზავნა, ასე იყო, ასეო.

გაუხარდა ბედივარის ცოლს და დაიწყო უფრო კეთილი ცხოვრება.

გავიდა მესამე წელიწადი. ბედივარმა რა იცის, რა ამბავია იმის ცოლის თავს. მიიღო მესამე აბაზიც და გავიდა ბაზარში. ერთი კაცი დადის და იძახის, სამი ჭკუა მაქვს და ვინ იყიდისო.

— რა ღირს ეგ სამი ჭკუა,—ჰკითხა ბედივარმა.

— ერთი აბაზი!

მისცა ერთი აბაზი.

კაცმა უთხრა:—პირველი—გზაში რომ მიდიოდე და გაგიავდარდეს, დაბალ ადგილს არ დადგე, ეცადე მაღალ ადგილზე დადგე; მეორე—საწყენი რომ რამე შეგხვდეს, ნამდვილი სანამ არ გაიგო, გულზე ნუ მოხვალ; მესამე რომ გკითხონ, რომელი სჯობიაო, ნურც ერთს ნუ აძაგებო.

ბედივარი წავიდა თავის ქვეყანაში. იქითკენ წავიდა იმისი აღაც სავაჭროდ. ბევრი იარეს, თუ ცოტა, ერთ ადგილას დაუღამდათ. ის არის წვიმაც დაიწყო. ერთი დაბლობი ჭალა იყო.

აღამ უთხრა: —იქ დავდგეთ, უფრო მოფარებული ადგილია და ხეების ქვეშაც შევეფარებითო.

— არა, ბატონო, ნუ იქ მაგას,—მოახსენა ბედივარმა, —თუ ჩემსას გაიგონებთ, ამაღამ აიმ გორაკზე დავდგეთ.

ივ ღამეს, მართლა, ისეთი ნიაღვარი მოვარდა, რომ სულ წალეკა დაბალი ადგილები და სხვა სოვდაგრებიც. გადარჩნენ ბედივარი და იმისი აღა.

აღამ უთხრა:—რა უნდა მოგცე, რომ ამ უბედურებას გადამარჩინე? ჩემი სარჩოს ნახევარი შენი იყოს.

— მე მხოლოდ რაც გარიგება გვაქვს, ის მომეცი,—მოახსენა ბედივარმა,—მე მეტი არაფერი მინდა.

იარეს, იარეს და ერთ უდაბნო ალაგას მივიდნენ. ისეთია, უწყლობით ხალხი სულ იხოცება. იმოდენა ქარავანს მოუყრია თავი, რომ ჭედვა აღარ არის. თუმცა ჭა ყოფილა ამოჭრილი, მაგრამ ვინც იმ ჭაში წყლისთვის ჩასულა, ცოცხალი ვეღარავინ ამოსულა.

შეყრილიყვნენ სოვდაგრები და თათბირობდნენ:

ვინც ჩავა და წყალს ამოიღებს, ოცი ჯორ-აქლემის საპალნე ფულსა და საქონელს მივცემთო.

მაგრამ მსურველი არავინ აღმოჩნდა.

ბედივარმა რომ გაიგო, რაშიაც იყო საქმე, მივიდა და გამოუცხადა:—მე არაფერი სასყიდელი არ მინდა, ამდენი ხალხი რომ წყურვილით იხოცება, ვერც კი ვუცქერი მათ საცოდაობას; მე ჩავალ და რაც იქნება-იქნება; ოღონდ თქვენ ერთი დიდი ქვაბი, გრძელი თოკები და წყლის ჭურჭელი მინახეთ.

ბევრი უშალა აღამ, მაგრამ არ დაიშალა, ამდენ ხალხს რომ ერთმა კაცმა თავი შესწიროს, რა დიდი საქმე არისო.

უნახეს ყველაფერი. ჩაჯდა ქვაბში და ჩაეშვა ჭაში. სოვდაგრებმა უკვე მისცეს ოცი ჯორ-აქლემის საკიდარი ბედივარის აღას, ის მაინც აღარ დაბრუნდება და ცოლ-შვილმა მაინც გამოიყენოსო.

ბედივარი რომ ჩავიდა ჭაში, ცალ მხარეზე კაცის დასადგომი ნახა. დადგა. გაავსო ქვაბი და დაუძახა: ასწიეთო!

ამრიგად, მთელი სამი დღე აწოდა წყალი, სანამ არ გაავსეს, რაც წყლის ჭურჭელი ჰქონდათ.

როცა თვითონაც აპირებდა ასვლას, ამ დროს გვერდიდან გაიღო კარი და ერთი კაცი გამოვიდა; მოხვია ხელი ბედივარს და შიგნით წაიყვანა. ბევრი ოთახი გაატარა და ბოლოს ერთ ძვირფასად მორთულ ოთახში შეეიდნენ. ტახტზე ორი ქალი ზის: ერთი ისეთია, იმაზე უკეთესს კაცის თვალი ვერა ნახავს, მეორე მახინჯია, როგორც ჯოჯო.

კაცმა ჰკითხა: — აბა, მითხარი, ამ ორ ქალში რომელი სჯობია?

ბედივარს მოაგონდა: თუ გკითხონ რომელი სჯობია, ნურც ერთს ნუ აძაგებო და მოახსენა: ყველა კაცს თავისი გემოვნება აქვს, მე რომ მკითხოთ, ორივე ლამაზია, მაგრამ მაინც აი ამას ვირჩევ, ისა სჯობიაო, და ხელი გაიშვირა გონჯისაკენ.

ქალებმა გაიცინეს. გონჯი ქალი ადგა, შემოტრიალდა, ერთი გაიცინა და ისევ დაჯდა. ისეთი ლამაზია, რომ ის მეორე ლამაზი ამასთან სახსენებელიც არ არის.

ბედივარი ხედავს, რომ გარეთ სულ სავსეა კაცის ძვლებით.

— ეს რა ამბავია,—იკითხა.

— ეგ ის არის, რომ ვინც აქ ჩამოვა და წყალს აავსებს, მერე აქ შემოვიყვანთ, ეგ ქალი სახეს იცვლის და ეჩვენება. ჰკითხავენ, რომელი სჯობიაო? ხამი კაცი პირველზე მიუთითებს, რა იცის, თუ მეორე სახეშეცვლილია. ეს ქალი ლანძღვად იღებს იმ დაწუნებას და ასე სჭრის თავებს. შენ ან სიმართლე მიგიძღვის რამე და იმან გიხსნა, ანდა შენმა ჭკუამ. აბა, გვთხოვე, რაც გინდა, რომ მოგცეთო.

ბედივარმა უთხრა:—ოღონდ ისევ მაღლა ამიყვანეთ და თქვენი არაფერი არა მინდა რაო.

დასვეს ერთ ვერცხლის ხონჩაზე და უბრძანეს:—აბა, ჩქარა მაღლა აიყვანეო.

ბედივარი რომ ამოვიდა, ქარავანი იქ აღარ დახვდა. კარგა ხანი გასულიყო, ელოდნათ და წასულიყვნენ.

ბედივარი შეეხვეწა ხონჩას, რაკი მაგისთანა სიკეთე მიყავ, რომ აქამდე მომიყვანე, ბარემ სახლშიაც მიმიყვანეო.

აფრინდა ხონჩა და ერთ კოხტა ქალაქში, ერთ მშვენიერ სასახლეში მიიყვანა. ბედივარი იცქირება აქეთ-იქით: ეს ვის სახლში მოვედიო.

ერთი ქალი გამოვიდა, თან ერთი ვაჟი მოსდევს. ბედივარი უცქერის, ეცნობა, თავის ცოლს ჰგავს, მაგრამ აქ რა უნდაო, ამბობს გულში.

იცნო ცოლმაც, გადაეხვია, მიულოცა დაბრუნება და ვაჟიც აჩვენა, აი, ამოდენა შვილი გვყავსო.

— ეს სახლი ვილასია, ან აქ რას აკეთებ?—ჰკითხა ბედივარმა.

— სახლიც ჩვენია და ჩვენც შენები ვართ, —უთხრა ცოლმა,—შენი გამოგზავნილი ფულით დავდგი ყველაფერი.

— მე არაფერიც არ გამომიგზავნია,—უთხრა ბედივარმა.

ისეთია ბედივარი, ეშვით აღარ იცის, რაღა ქნას. ფიქრობს ცოლიც მოკლას და შვილიც. მაგრამ მოაგონდა მეორე

ჭკუა რომ იყიდა: სანამ საქმე კარგად არ გაიგო, გული არ მოგვიდესო.

გამოჰკითხა ცოლს ყველაფერი. ცოლმა დაწვრილებით უამბო: სარკის, კატისა და, ჭაში რომ ჩასულიყო, იმისი ამბავიც.

ბედივარის აღასაც გაეგო მისი მშვიდობით დაბრუნება, დიდი ძღვნითა და საჩუქრებით ეწვია.

ამის შემდეგ ცხოვრობდნენ კეთილად. ბპოვეს ქალის მამა-ხელმწიფეც და რადგან იმას ვაჟი აღარა ჰყავდა, ბედივარს დარჩა ხელმწიფობა.

ჭირი იქა, ლხინი აქა,
ქატო იქა, ფქვილი აქა.



ნაცარქექია

იყო და არა იყო რა, იყო ერთი რძალ-მაზლი. მაზლი საშინელი ზარმაცი და ზორბა ტანისა იყო; არაფრის გაკეთება და მუშაობა არ შეეძლო. სულ ბუხართან იჯდა, ხელში ჩხირი ეჭირა და ნაცარს ჰქექავდა; ამისთვის ნაცარქექია დაარქვეს. რძალი ეუბნებოდა: — კაცო, აქეთ მოდექ, იქით მიდექ, იმუშავე და ოჯახში რამე შემოიტანე, თორემ მე შენი რჩენის თავი არა მაქვსო!

რძალმა მაინც ვერაფერი ვერ გააწყო. მაზლი სულ ბუხართან იჯდა და კარში ვერასგზით ვერ გაიტყუა.

აღდგომა დღეს ნაცარქექია ძლივს წავიდა წირვაზე და წირვის შემდეგ სახლში რომ დაბრუნდა, რძალმა კარი ჩაუკეტა და შინ აღარ შეუშვა.

ნაცარქექიამ რძალს საგზაოდ ერთი გუდა ნაცარი, სადგისი და ახალი ყველი სთხოვა და გზას გაუდგა.

ბევრი იარა თუ ცოტა იარა, არ ვიცით, ერთ დიდ წყალს კი მიადგა და მეორე ნაპირს უშველებელი დევი დაი-

ნახა. დევი წყალს დასწაფებოდა და სვამდა. ნაცარქექია ძალიან შეშინდა, მაგრამ რა ექნა, ერთი გზის მეტი არ იცოდა. იმ გზით ისევ შინ, რძალთან უნდა დაბრუნებულიყო, თუ არა და დევის საუზმედ უნდა გამხდარიყო.

იფიქრა, იფიქრა და ბოლოს ეს მოიგონა, აბა გავიქცეს და მტვერს დავაყენებო.

ნაცარქექიამ გუდას სადგისი უჩხვლიტა, გახვრიტა და რომ გაიარ-გამოიარა, დიდი მტვერი დადგა.

დევი გაოცდა, შეშინდა კიდეც, ქვა აიღო და უთხრა:— აბა, ამ ქვას წყალი გამოადინეო!

ნაცარქექიამ უცბად ახალი ყველი ამოიღო, მაგრად მოუჭირა ხელი, წყალი თქრიალით გამოადინა და დევს შესძახა:— აბა, აქეთ გამოდი, მხარზე შემისვი და წყალს გამიყვანე, ფეხის დასველება არ მინდაო.

დევი მაშინვე გამოვიდა. ნაცარქექია მხარზე შეისვა და უთხრა:— ოჰ, რა ძალიან მსუბუქი ყოფილხარო!

— ეს იმიტომ, რომ ერთი ხელი ცაზე მაქვს მოკიდებული, თუ ხელი გავუშვი, მაშინ ველარც კი დამძრავო.

— რაკი ეგრეა, აბა გაუშვი ხელიო,—უთხრა დევმა.

ნაცარქექიამ სადგისი ამოიღო, დევს კისერში ჩაურჭო. დევმა საშინელი ყვირილი მორთო და სთხოვა, ხელი ისევ ცისათვის მოეკიდა.

როდესაც წყალს გავიდნენ, დევმა უთხრა:—წა ოდიდღეს სადილად მეწვიეო.

ნაცარქექია შეშინდა, მაგრამ რას იზამდა, უთუოდ უნდა წაჰყოლოდა.

დევისას რომ მივიდა, ნაცარქექიას დევის სახლი ძალიან მოეწონა. დაინახა ვეება კეცი ხმიადით ბუხარში იყო შედგმული.

დევი სადილის მოსამზადებლად წავიდა და ნაცარქექიას დაუბარა ხმიადისთვის ყური ეგდო, არ. დამწვარიყო. ნაცარქექიას უნდოდა კეცი მოებრუნებინა, რადგან დაინახა, ერთი გვერდი ძალიან შეწითლებულიყო. როგორც კი კეცს ხელი ახლო, მაშინვე გადმობრუნდა და ნაცარქექია შიგ მოჰ-

ჟვა. ბევრი ეწვალა, მაგრამ კეცის ქვემოდან ვერ გამოძვრა. ბოლოს დევები შემოვიდნენ ოთახში და ნაცარქექია კეცქვეშ მოყოლილი ნახეს; გაჰკვირდნენ:—კაცო, ეგ რა გიქნიაო,—შეეკითხა ერთი დევი.

— მუცელი ამტკივდა ძალიან და თბილი კეცი მუცელზე დავიდე, ეგება როგორმე ტკივილმა გამიაროს-მეთქი. ახლა კარგადა ვარ, და აიღე კეციო,—უთხრა ნაცარქექიამ.

შემდეგ სუფრას რომ მიუსხდნენ, დევებს ღვინო შემოელიათ. აიღეს დიდი კოკა და ნაცარქექიას უთხრეს:—თუ ძმა ხარ, გადი, ეზოში ქვევრია, ამ ხელადით ღვინო ამოიღე და მოგვიტანეო.

ნაცარქექიას შეეშინდა. უშველებელი დიდი კოკა რომ დაინახა, მაგრამ მაინც გავიდა ეზოში და დიდხანს აღარ დაბრუნდა. დევებს ცდა მოსწყინდათ, გავიდნენ და ნახეს ნაცარქექიას ბარი აეღო ხელში და ქვევრის გარშემო მიწას თხრიდა.

— მაგას რას შვრები?—ჰკითხეს დევებმა.

— სჯობია მთლად ამოვიღო ქვევრი და ისე დავლიოთ, თორემ პაწაწინა ხელადით მოტანა ადამიანს მოსწყინდება.

დევებმა იფიქრეს: ჩვენ, ცხრა ძმათ, ძლივს ჩავსვით ცარიელი ქვევრი და ეს კი მარტო აპირებს სავსე ქვევრის ამოღებასაო.

შემდეგ თვითონ დევებმა აავსეს ხელადა ღვინით და შეუდგნენ სადილსა.

ამ დროს ერთმა დევმა დაახველა და ნაცარქექია ჭერს მიეკრა. დევებმა მაღლა აიხედეს და ნახეს, ნაცარქექია ჭერის კოჭს ეჭიდება.

— კაცო, მანდ რამ აგიყვანა, რას აკეთებ?!

— როგორ გაჰბედეთ ჩემ წინ დახველება,—უთხრა ნაცარქექიამ,—ეს წკეპლა უნდა ჩამოვიღო და სულ გვერდები აგიწვათო!

დევები ძალიან შეშინდნენ: ჩვენ, ცხრა ძმათ, ძლივს მოვიტანეთ თითო ხე და ეს კი წკეპლას ეძახისო!

შეშინებული დევები სახლიდან გაცვივდნენ და დაიფან-

ტნენ. ნაცარქექია, როგორც იყო, ბობღვით ჩამოძვრა და დევების ოჯახს პატრონობა დაუწყო.

ერთ დევს გზაზე მელა შეხვდა და უთხრა:—დევო, სად მირბიხარ, რა დაგმართნიაო.

— რაღა სად მივრბივარ, ჩვენთან ერთი კაცი მოვიდა, კინაღამ გადავვყლაპაო,—და უთხრა დევმა, როგორიც იყო ის კაცი.

მელიას გაეცინა:—ის ხომ ნაცარქექიაა, საცოდავი კაცი, რადგან არას აკეთებდა, რძალმა სახლიდან გამოაგდო. მე იმათ კარგად ვიცნობ: რაც ქათმები ჰყავდათ, სულ მე გავუჩანაგე. წამოდი, როგორ შეგაშინა მაგ ლაჩარმაო.

— ვერ გენდობი,—უთხრა დევმა.

მელია ბევრს ეხვეწა.

— მაშ, რომ არ მიღალატო, მოდი, ამ თოკით წელზე გამომები.

მელიამ თვითონ მოიბა თოკი და მერე დევს გამოაბა. დევი ისევ დაბრუნდა თავის სახლში თოკგამობმული.

ნაცარქექიამ რომ მელია და დევი დაინახა, ძალიან შეშინდა, მაგრამ რაღას იზამდა. მაშინვე კარში გამოეგება და მელიას უთხრა:—აჰ, შე საძაგელო! ჩემი თორმეტი დევი გემართა და ბედ მარტო ერთი მოგყავსო!

დევს ისე შეეშინდა, რომ თოკი დაგლიჯა, მელია სულ მთლად დაფლითა და თვითონ ცხრა მთას იქით გადიკარგა.

ნაცარქექიამ დევების სარჩო და სიმდიდრე, რაც რამ ჰქონდათ, სულ მთლად აქლემებს აჰკიდა და თავის რძალთან წაიღო. რძალი გაამდიდრა, ისევ ერთად დაიწყეს ტკბილი ცხოვრება.

ჭირი იქა, ლხინი აქა,
ქატო იქა, ფქვილი აქა.



ია ხათუნი

იყო და არა იყო რა, იყო ერთი დედაკაცი; ჰყავდა რვა ვაჟი და ერთი ქალი. ქალი ძალიან ლამაზი იყო; რომ გაიცინებდა, სულ ია და ვარდი გაიშლებოდა. ძმებს ძალიან უყვარდათ და ააზიზებდნენ.

ეს ქალი, რამდენჯერაც წყალზე წავა, აუძღვება ერთი პატარა ჩიტი და შესძახის: ქალო, შენს თავს ბალა! ქალო, შენს თავს ბალაო!

რომ გაუპირა საქმე, დედას უთხრა:—რამდენჯერაც წყალზე წავალ, ერთი ჩიტი ამიძღვება და მეძახის: ქალო, შენს თავს ბალაო!

— ვაიმე, შვილო,—უთხრა დედამ,—ასე უთქვამს: შენს თავს ხათაბალაო!

გავიდა ხანი. ხალხი დღეობაში მიდის. ქალმაც მოინდომა წასვლა. ძმებს უთხრა, რვა ძმას ერთი და გყევართ და მეც გულის მურაზს არ მისრულებთო!

დედასაც უსაყვედურა. დედამ უთხრა:—შვილო, თუ გაჰყვები, აგე შენი ძმები მიდიან და გაჰყეო.

ძმები წავიდნენ, წაიყვანეს დაცა.

ერთი ხიდი ჰქონდათ გასასვლელი. ძმები ერთად გავიდნენ, დაც უნდა გასულიყო, მაგრამ ამ დროს ერთი ციხე დაედგა თავზე. მოემწყვდა ქალი შიგა, არც კარი აქვს, არც ფანჯარა. ქალი ტირის, ტირის, სულ თვალებს ითხრის.

მივიდნენ შინ ძმები, უამბეს დედას, რაც დაემართა იმათ დასა. ასეთები არიან, რომ სულ ტირიან.

ქალი რომ ტირის, ამ დროს ამოიღლის ერთი ბებერი კაცი, გაიღება ციხის კარები, ხედავს ქალი ტირის.

-- რადა სტირი, შვილო, —ეტყვის ბერიკაცი,—რა ძალა დაგდგომია ისეთი?

ქალმა უამბო თავისი თავგადასავალი.

— წამო, შვილო, ჩემთან, შვიდი ქალი მყავს, მერვე შენ მეყოლები, თუ მეტად არ მეყვარები, იმათზე ნაკლებად ხომ არ გაგიფრთხილდებიო.

გაჰყვა ქალი. ამ კაცის ქალებიც, ეს კაცი და ამისი ცოლიც ისე უფრთხილდებიან ამ ქალსა, რომ ცივ ნიავს არ აკარებენ. სულ ამის კითხულია ყველაფერი.

ერთხელ დედობილმა უთხრა:—მოდი, შვილო, ერთი თავი მომიხილეო.

მოუხილა ქალმა თავი და ამ დედაკაცს ქალის კალთაში კი დაეძინა. ჰხედავს, თმაში ერთი გასაღები აქვს ჩატანებული. ქალი მუხლს გამოაცლის, მუთაქას დაუდებს, თვითოხ გასაღებს წაიღებს, გააღებს დაკეტილ ოთახს და ერთი დევი კი შემოაჭყეტს თვალებსა. ქალი უცებ გამოუხურავს კარებს და გასაღებს ისევ თმაში ჩაატანს დედობილსა.

ეს დედაკაცი როცა შევა ამ დევთან, დევი ეტყვის: შენც ლამაზი და მეც, მაგრამ ია ხათუნისთანა კი არავინ იქნებაო.

ისეთია ეს დედაკაცი, სულ ნაღველი დაექცა. წამოვიდა, დაწვა, მოიავადმყოფა თავი, წევს და კვნესის. ეკითხებიან: რა გიშველისო.

— მე სხვა არაფერი მიშველის, თუ ია ხათუნს დაჰკლავთ

და იმის გულ-ღვიძლს მაჭმევთ, მოვრჩები, თუ არა და— მოვკვდებიო.

შეწუხდა ძალიან ეს კაცი. ძალიან უყვარს ია ხათუნი.

აბა, როგორ დავკლათ, ეუბნება ცოლს, შვილად ავიყვანეთ, თავის დედ-მამასავით გვიცქერის, გვენდო და ახლა რომ დავკლათ, ხალხს რა ვუთხრათო?!

წევს ეს დედაკაცი და კვნესის, ორი-სამი თვეა, აღარა დგება.

ძალიან რომ გაბეზრდა, ბერიკაცმა უთხრა მოჯამაგირეს:—წაიყვანე მინდორში ია ხათუნი დაკალ და გულ-ღვიძლი მომიტანეო.

წაიყვანა ბიჭმა ია ხათუნი; ბიჭს ერთი გოშია ჰყავდა, ის დაკლა, გულ-ღვიძლი ამოაცალა, ქალი გზაზე დააყენა, და დალოცა, წადი და ღმერთმა გიშველოსო! მოუტანა ის გულ-ღვიძლი. ჭამა თუ არა იმ დედაკაცმა, მერცხალივით ზეზე წამოვარდა საღ-სალამათი.

ია ხათუნმა კი იარა, იარა და ერთ ადგილას ცხრა ძმა დევი მდგარა, იმათ სახლთან მოვიდა. რვა ძმა სანადიროდ ყოფილა წასული და მეცხრე ძმა კი კოჭლი ყოფილა, ის სახლში გაუშვიათ.

მივიდა ია ხათუნი, დგას სახლის წინ და ტირის. გადმოიხედავს ეს დევი და გადმოსძახებს:—რა ხარ, რა სულიერი ხარ, ჩემი ძმების შიშით ცაში ფრინველს ვერ გადუფრენია და დედამიწაზე ჭიანჭველასა, შენ კი მოსულხარ და მანდა დგეხარო.

— ესე-ესე არის ჩემი საქმე,—უთხრა ქალმა,—და ახლა შენ იცი, რასაც მიზამ.

დევს ძალიან გაეხარდა:—მაინც ჩვენ ცხრა ძმას და არა გვყავს, შენ და, და მე—ძმა. მოვლენ ჩემი ძმებიცა, დაგმალავ და მერე გამოგაჩენო.

დამალა ქალი. როცა მოვიდნენ ძმები, უთხრეს, ადამიანის სუნი მოგვდისო.

— თქვენ თვითონ მოგყვებოდათ,—უთხრა ძმამ,—აქ ადამიანს რა უნდაო!

როცა ირმები მოხარშეს და პურის საჭმელად დასხდნენ, ჯოჭლმა დევმა უთხრა ძმებს:—ცხრა ძმა ვართ და ერთი და არა გვყავს. არ გინდათ, რომ გყავდეთ?!

— ბარემ გვინდა, მაგრამ, აბა, საიდან მოვიყვანოთ?

მაშინ გამოუჩინა ია ხათუნი ძმებსა. ყველამ დიდი სიხარულით მიიღო. ამის შემდეგ ია ხათუნი იყო სახლში დიასახლისი და ყველაფერი იმას ეკითხებოდა; უვლიდა სახლსა, უკეთებდა საჭმელს. ისეთია, დევები ძლივს შესცქერიან...

დედაკაცი რომ შევიდა დევთან, დევმა ისევ უთხრა:— შენც ლამაზი ხარ და მეც, მაგრამ ცხრა ძმა დევს რომ დად ია ხათუნი ჰყავთ, იმისთანა არავინ იქნებაო!

ისეთია ეს დედაკაცი, სულ ცოფებსა ჰყრის. მიუხტა ქმარსა:—აკი მოვაკვლევინეო, იძახოდი. ის ცხრა ძმა დევთანა ყოფილა! თუ არ წასულხარ და, რითაც იქნება და არ იქნება, აქ არ მოგიყვანია, ან არ მოწამლე, შენი ცოლობიდან ხელს ავიღებო. გაატანა ერთი მთელი კალათი სხვადასხვა წვრილმანი და ასე უთხრა:—უფროსი ქალი გავათხოვე და ქორწილში გვეწვიე-თქო. თუ არ გამოგყვეს, ეგ წვრილმანი მიეცი, ესენი მაინცა გქონდეს-თქო.

აიღებს ბერიკაცი ჯოხს, წაიღებს ერთ კალათა წვრილმანს და წავა ცხრა ძმა დევებისაკენ. იმ დროს მივა, რო ძმები სანადიროდ წასულან, მარტო ია ხათუნიღაა შინ: დადგება ძირსა და ელის, როდის გამოვა კარზე.

როცა ქალი გამოვა, ის კაცი მიესალმება:

— ია ხათუნო. შვილივით გვიყვარდი და განა ეგრე უნდა, რომ ჩვენსკენ ერთხელ აღარ შემოიხედე. შენმა დედობილმა გამომგზავნა: უფროსი ქალი გავათხოვე და ქორწილში მეწვიეო.

— თუ ჩემი ყოფნა გინდოდათ ქორწილში, მე იქ არ ვიყავი, რომ დაკვლა დამიპირეთ? ტყუილად გარჯილხარ, მე იქ აღარ წამოვალ.

— თუ არ წამოხვალ, შვილო, ე წვრილმანი მაინც აიტანე.

— ყველაფერი ბევრი მაქვს, მე თქვენი არაფერი მინდა,— ჩამოსძახა ქალმა,—თუ გაქვს კევი ამომაწოდე.

ჩამოუშვა თოკი, ასწია და აიტანა კევი. დაღეჭა და ჩაუვარდა ენა, ისეთია, აღარაფერი აღარ ესმის.

მოვიდნენ ძმები. ნახეს, რაღა სანახავია ქალი! აღარც ენა აქვს, აღარც გონება. ბევრი იმწუხარეს, ბევრი იტირეს, ბოლოს შეუკრეს ერთი კიდობანი, ჩააწვინეს შიგ და მისცეს წყალსა.

ატარა წყალმა, ატარა და ერთ სახელმწიფოში მიიტანა.

იქაურ ხელმწიფის შვილს ცოლი უნდა შერთონ; ხელმწიფეს გამოუცია ბრძანება: ვისაც გასათხოვარი ქალი გყავთ, ყველამ მოიყვანეთ, ჩემ შვილს უნდა ცოლი შეერთოო· ისეთია ეს ხალხი: მოდის და მოდის! სულ თავების მტვრევაა, იქნება მე მომიწონოსო.

ამ დროს დაინახავენ, რომ წყალს კიდობანი მოაქვს, შეგზავნიან მცურავებს, გამოიტანენ ნაპირზე, გახსნიან: ია ხათუნი უკვე გასაღებულა, ისეთია კაცს თვალს მოსტაცებს. აბა, სხვა ვილა მოეწონებოდა. ხელმწიფის შვილმა დაიწერა ჯვარი ია ხათუნზე. ცხოვრობენ ტკბილად 'და უდარდელად.

დედაკაცი რომ დევთან შევიდა, დევმა უთხრა:—ლამაზი ხარ, მაგრამ ამა და ამ ხელმწიფის შვილს რომ ცოლად ია ხათუნი ჰყავს, იმასთან კი ვერავინ მოვაო!

ოჰ, გაუსკდა გული დედაკაცს. დაეტაკა ქმარსა:—ეგ მეორედ გაუშვი ის ქალი ცოცხალი! წადი და აუტეხე რამე, თორემ იცოდე, ცოცხალი აღარ დამენახოო!

წავიდა ეს კაცი. ბევრი იარა, თუ ცოტა იარა, მოვიდა ამ ქვეყანაში, სადაც ია ხათუნია.

მივიდა ხელმწიფის შვილთან და სთხოვა, მებაღედ დამიჭირეთო.

ია ხათუნმა უთხრა:—ნუ გინდა, გაანებე თავი, თორემ ინანებო!

არ დაიშალა ხელმწიფის შვილმა, მაგან რა უნდა გვიყოსო!

იარა ამ ბერიკაცმა, იმდენი ძვრა, რომ ხელზე მოსამსახურედ შეეპარა.

ერთხელ ხელმწიფის შვილი სხვაგან იყო სტუმრად;

ია ხათუნი დაწვა და ოქროსქოჩრიანი ვაჟი ეყოლა. ამ ბერიკაცმა როცა დრო იპოვა, შეევიდა, გამოსჭრა ყელი დედა და შვილს და ერთ წყალში გადაყარა. მოიყვანა თავისი უფროსი ქალი და დააწვინა ლოგინში.

ია ხათუნი წყალში ოქროს თევზად იქცა. ისეთია სულ მზესავით ანათებს.

ხელმწიფის შვილი დაბრუნებულა და სწორედ ამ წყალზე გამოიარა. ეს ოქროს თევზი ისეთია, სულ ზედ ახტება. დაიჭირა და წამოიყვანა სახლში.

ასეთია მეფის შვილი, სულ ზედ დაჰკანკალებს ამ თევზს. გაუკეთა აუზი, გაუშვა შიგ და დღე და ღამე აღარა შორდება.

ეს ქალი კი ჯოჯოსავით გამოიყურება ლოგინიდან. გახდა ავად.

თუ მაგ თევზს დაჰკლავთ და მაჭმევთ, მოვრჩები, თუ არა და—მოვკვდებიო!

რას იზამს ხელმწიფის შვილი? თუმცა არ ემეტება, მაგრამ დედ-მამას ხათრს არ უტეხს.

ისე აკრიფეთ ფხები, რომ ერთიც არსად არ გადაგივარდეთო, ბრძანა ქალმა.

დაკლეს და მოუხარშეს. მოაგროვეს ფხებიც, მაგრამ ერთი ფხა მაინც გაჰყვა ნაგავსა, ამ ფხაზე ისეთი ალვის ხე ამოვიდა, წვერით ცასა სწვდება. ეს ხელმწიფის შვილი დღეც იმის ქვეშ არის და ღამეც. ჩამოუშვებს ეს ალვის ხე ტოტებს, ქვეშაც ეშლება და ზევიდანაც ეხურება.

გახდა ეს ქალი ავად. აიხირა, თუ მაგ ალვის ხეს მოსჭრით და მაგის ნაფოტს ისე აჰკრეფთ, რომ ერთი არსად გადავარდეს, მოვრჩები, თუ არა და—მოვკვდებიო!

მეტი რა ღონე იყო! მოსჭრეს, მაგრამ ერთი ნაფოტი ერთი ბებრის ეზოში გადავარდა.

ისეთია ეს ბებერი, ამ ნაფოტს გადააბრუნებს, აკოცებს, გადმოაბრუნებს, აკოცებს. ეს ბებერი რომ წავა, ეს ნაფოტი ქალად იქცევა, დაჰგვის, დარეცხავს, დაწმენდს, შეადგამს შეჭამანდს, იქცევა ისევ ნაფოტად და დაეხურება ქოთანს.

ისეთია ეს ბებერი, უკვირს: არ იცის, ვინ უვლის სახლსა! მეზობლებში ამბობს: ესეა ესე ჩემ თავს და არ ვიცი, ვინ შემოდიხართ, ვინ უვლით ჩემ სახლსაო.

— უდარაჯე და ნახავ, ვინც არისო,—უთხრეს მეზობლებმა.

მართლაც გამოვიდა ერთხელ ბებერი, ვითომ სხვაგან მიდის და იქვე კი დაიმალა.

ამ ნაფოტმა რომ იფიქრა, ახლა კი წავიდა ბებერიო, გადმოხტა, იქცა ქალად, დატრიალდა, ყველაფერი ხელად გააკეთა და რომ ისევ ნაფოტად უნდა ქცეულიყო, შემოასწრო ბებერმაც, მე დედა და შენ—შვილიო!

გაეხარდა ამ ბებერს. ისეთია სულ თავს დასტრიალებს. უამბო ია ხათუნმა თავისი თავგადასავალი ბებერსა.

ბებერმა უთხრა:—ხელმწიფის შვილი დავპატიჟოთ, შვილოო!

— არა, დედი, ის არ გვიკადრებს, არ მოვა. ისევ ერთ წამალს გავაკეთებ, წადი, იმის ცხენებს გადააყარე; ისეთი ჭირი გაუჩნდებათ, რომ ჩვენს მეტმა ვერავინ მოარჩინოსო.

მართლაც, მისცა წამალი. წაიღო ამ ბებერმა და გადააყარა ცხენებს.

გაუჩნდათ ცხენებს ჭირი. ისეთია სულ დაფქვა. მივიდა ბებერი ხელმწიფესთან, მოახსენა, მე მყავს ერთი ქალი და ის მოარჩენსო.

წაუყვანეს ქალს ცხენები; გადააყარა წამალი და, როგორებიც წინათ იყვნენ, ხელად ისეთებივე გახადა.

გაუხარდა ძალიან ხელმწიფის შვილს.

— რა მოგცე, -ეკითხება ბებერს,—რით დაგასაჩუქრო?

ბებერმა უთხრა:—მე არაფერი არ მინდა, ჩვენსა წამობრძანდი და ჩემს ქალს უბრძანე მადლობა, იმან მოგირჩინაო.

მოვიდა ხელმწიფის შვილი ბებერთან. ხედავს ია ხათუნი იქ არის. გადაეხვივნენ ერთმანეთს.

ქალმა უამბო ყველაფერი, რაც თავს გადახდა.

ხელმწიფის შვილმა ის კაცი და იმისი ქალი ცხენის ძუაზე გამოაბმევინა და სულ ისე დააგლეჯინა.

ია ხათუნზე ხელმეორედ დაიწერა ჯვარი და გაბედნიერდნენ.

მელია და დათვი

იყო და არა იყო რა, იყო ერთი გლეხკაცი. ერთი ქალისა და ერთი ფარა ცხვრის მეტი არაფერი ებადა. მეწველ ცხვარში თვითონ დადიოდა და ბატკანში ქალსა ჰგზავნიდა.

ერთ დღეს ქალს დაუცხა. ადრე ვერ გარეკა ბატკანი. ფარა დაემურა * და აღარ შეეძლო გაშლა. იჯდა და ტიროდა.

ამ დროს ახლოს მელიამ გაიარა და ჰკითხა:—რა გატირებს, ქალო, რა დაგმართვია?

— ცხვარი დამემურა და ვეღარაფერი მიქნია,—უპასუხა ქალმა.

— თუ ერთ ბატკანს მე მომცემ,—უთხრა მელიამ,— ბატკნებს მე გაგიშლი.

ქალი დათანხმდა.

მელიას მისაცემი ბატკანი გაიყვანეს და დააბეს ხეზე.

მელია შეეარდა ბატკნებში და დაიწყო თავისუფლად

---

* დაემურა—ერთად შეჯგუფდა.

კუდის ქნევა. ბატკნები დაფრთხნენ და გაიშალნენ. მელიამ წამოიყვანა ბატკანი და სიხარულით ფეხზე ძლივსღა იდგა.

მელიას ძალიან უყვარდა თავისი ბეკეკა და მუდამ პირით უზიდავდა ბალახს.

გაუკეთა ერთი სახლი და ჰყავდა იმაში. საღამოზე რომ მოვიდოდა სახლში, ეთამაშებოდა თავის პატარა ბეკეკას.

ერთ დღეს დათვმა შენიშნა, რომ მელიას ბეკეკა ჰყავსო. იფიქრა, როგორმე უნდა შევჭამოო.

მელა რომ დაბრუნდებოდა ხოლმე სახლში, ფეხს შეუყოფდა კარებში ბატკანს და დაუძახებდა:

ბეკეკო, კარი გამიღე,
მე დედაშენი ვარია,
პირში ბალახი მიჭირავს,
ძუძუებში რძე არია.

ბატკანიც დაინახავდა მელიას პატარა თათს და გაუღებდა კარებს.

ეს სიტყვები დათვმაც დაიხსომა.

მივიდა ერთხელ, როდესაც მელია სხვაგან იყო, ბატკნის სახლთან და დაუძახა დიდი ხმით:

ბეკეკო, კარი გამიღე,
მე დედაშენი ვარია,
პირში ბალახი მიჭირავს,
ძუძუებში რძე არია.

ბატკანმა დაუძახა: აბა, ერთი თათი შემოყავო.

დათვმა შეყო თათი, მაგრამ დიდი თათი ჰქონდა. იცნო ბატკანმა და დაუძახა:—წადი, მე ჩემი დედობილის თათს კარგა ვიცნობ, შენ ის არა ხარ, იმას პატარა თათი აქვს და შენ დიდიო.

დათვი წავიდა გაწბილებული. იფიქრა: უნდა როგორმე მე ის ბატკანი ხელთ ვიგდოო.

წავიდა ტყეში. ავდრიანი დღე იყო. მწყემსებს ცეცხლი ენთოთ და ირგვლივ უსხდნენ.

დათვი გადაუხტა, დააფრთხო ეს მწყემსები, თვითონ ნაცარში ამოითუთხნა, გაიტუსა თათი და წავიდა ბატკნის სახლისაკენ. მივიდა კარებთან, შეჰყო ჭუჭრუტანაში თათი და დაუძახა:

ბეკეკო, კარი გამიღე,
მე დედაშენი ვარია.
პირში ბალახი მიჭირავს,
ძუძუებში რძე არია.

ბატკანმა დაუძახა! აბა, ერთი თათი შემოყავო.

დათვმა შეყო გატრუსული თათი. ბატკანმა ვეღარ იცნო, მელიას თათი ეგონა, გაუღო კარი და შევიდა დათვი. მაგრამ მთლიანად არ შეჭამა ბატკანი, ნახევარი მელიას შეუნახა.

გამოვიდა დათვი იქიდან და მოვიდა მელიაც. მელა მაშინვე მიხვდა, რა ამბავიც მომხდარიყო.

დათვმა დაუძახა:—ძმისწულო, ნახევარი შენ შეგინახე, ბატკანმა გამაჯავრა და შევჭამეო!

—- მადლობელი ვარ,—მოახსენა მელიამ ეშმაკობით,— მე ბატკნის ხორცს არა ვჭამ, ბიძავ, ისიც შენ შეჭამე. ახლა მინდა, აქ რომ ახლოს ქორწილია, იქ წავიდეთ. ერთი ნასუქი დეკეულის ხორცი მეცა ვჭამო და შენც გაჭამო. ვერაფერს გაიგებენ მთვრალი მაყრები და შეგვრჩება.

დათვს ძალიან გაუხარდა, უთხრა, წავიდეთო!

მართლაც წავიდნენ. შევიდნენ ბოსელში. გახეთქეს ერთი მსუქანი დეკეული. მიაძღა დათვი და უთხრა მელიას:— მოდი ერთი, ჩვენც შემოვძახოთ მაყრულიო.

მელიამ უთხრა:—მე ხმა ჩამიწყდა გზისგან, შენ ბოხი ხმა გაქვს და შენ შემოსძახეო.

დაიღრიალა დათვმა თავისებურად. გაიგონეს დათვის ღრიალი მაყრებმა. გამოუცვივდნენ ამ მონადირეებს. მელიამ ფხაჭა გაადინა კარების ძირიდან და თავს უშველა, დათვი კი დარჩა მაყრების ხელში.

მეორე დღეს გამოიყვანეს ჩვენი „ბიძა“ და ტყავი გააძვ-

რეს, მაგრამ ტყავგაძრობილმა დათვმა როგორღაც მოასწრო გაქცევა და თავს უშველა.

დათვი ძალიან გაჯავრებული იყო მელიაზე და ეძებდა, უნდოდა ჯავრი ამოეყარა. დათვმა მალე ნახა მელია: გორაზე, ერთ ეკლის ჯაგთან იჯდა და წავიდა იმისკენ.

მელიამ დაინახა და თითქო ვერ იცნოო, პირი მოარიდა.

დათვმა დაუძახა: – აბა, დამიცადე, მე მანდ მოვალო.

მელიამ დაუძახა: — ხმა ჩემი ბიძისაა და ეს წითელ-ყვითელი საცმელი კი არ არის იმისიო.

მივიდა დათვი და გამოუდგა მელას დასაჭერად.

მელა გაძვრებოდა ეკლების ძირში ნელ-ნელა და კუდს მიუშვერდა დათვს, რომ შეეტყუილებინა ჯაგებში; შეძვრებოდა შუა ჯაგში და იქ დაჯდებოდა; შეჰყვებოდა დათვიც, იკაწრებოდა, სისხლი სდიოდა და ყვიროდა. მელია კი გაძვრებოდა და ახლა სხვაგან შეძვრებოდა.

მერე მელიამ დაუძახა: — ოღონდ ნუ მაწვალებ და მე თვითონ მოგარჩენ.

— როგორ? — დაუძახა დათვმა.

— როგორა და ის ხომ გინახია, მეცხვარეებს მგელი რომ ცხვარს დაუგლეჯს, რას უშვრებიან დაგლეჯილსა? წადი შენც, სახნის-საკვეთი მოიტანე, გავახურებ, დაგდაღავ და მორჩებიო.

მართლა წავიდა დათვი. მოიპარა სახნის-საკვეთი და მიუტანა მელიას. მელიამ გაახურა სახნის-საკვეთი, დაუძახა მწყემსებს, შეაკვრევინა ფეხები დათვისათვის და უთხრა: — ნუ მომიკლავთ ჩემ ბიძას, უნდა დავდაღო და მოვარჩინოო.

დაუწყო დაღვა მელიამ და დაიწყო ყვირილი დათვმა. როდესაც კარგა აღრიალა „ბიძა“ მელიამ, გაუხსნა ფეხები და უთხრა: ახლა მე მოვნახავ გოდორს, ჩაგიგებ შიგ თივაბუმბულს და ჩაგსვამ შიგ, რომ ბეწვი ამოგვიდესო.

მართლაც მოაქსოვინა ერთი გოდორი, ჩასვა შიგ და გააგორა; მაგრამ დათვი გამოძვრა შიგნიდან და გამოუდგა მელიას.

მელიამ უთხრა:—ახ, შენ ჩემო თავო, დამიგორდი, ბიძავ-პატარა გოდორი იყო. ახლა კი დიდი გოდორი უნდა მოვაქ-სოვინო და ჩაგათბუნო შიგაო.

დაუჯერა დათვმაც. წაიყვანა მელიამ ერთი კლდის ზე-ვით მწყემსები, მოაქსოვინა გოდორი, ჩაუგო ჩალა-ბუმბული, ჩასვა ეს დათვი, გადაუწნა პირი და გამოაგორა კლდეზე-თავად კლდის წვერზე დაჯდა და დაამღერა:

ახტება და დახტება,
ე სულბოროტიანი,
დაჯდება და უცქერის
ხოსრო დოვლათიანი!



ჭირბალელისა და ზერგელის ამბავი

იყო და არა იყო რა, იყო ერთი კირბალელი კაცი [1]. წავიდა სამუშაოდ. შეხვდა წინ ზერტელი.

— დავძმობილდეთ!

— ძალიან კარგი!

წავიდნენ სამუშაოდ. რასაც პოულობდნენ და შოულობდნენ, შუა იყოფდნენ.

ერთხელ კირბალელს თავისი ნათესავი შეხვდა. დაჰპატიჟა კირბალელმა. ფული არა ჰქონდა და ორი შაური ზერტელისაგან ისესხა. ისე აჭამა პური ამ კირბალელმა, რომ ზერტელი არც კი დალოცა.

როცა კირბალელს მოკეთე წაუვიდა, ზერტელმა უთხრა: —კაცო, ფული ჩემგან ისესხე, ჩემი ფულით აჭამე შენს მოკეთეს პური და მე ერთიც არ მითხარ, მოდი და დამლოცეო!

---

[1] კირბალი სოფელია ქართლში, ზერტიც მეზობლადვეა.

თ. რაზიკაშვილის შენიშვნა.

იქნება მოვსულიყავ და მეც დამემატებინა ფული და უფრო კაი დროება გაგვეტარებინაო.

— კაცო, ოხერი ხასიათი მაქვს,—უთხრა ზერტელს კირბალელმა,—აი თუნდა ფულის სესხება ვთქვათ: კაცისაგან რომ ვისესხო ფული, მოვკვდები და აღარ მივცემ. ჩემგან კაცი ვერაფერს წაიღებსო.

— კაცო, მეც ძალიან ოხერი ხასიათი მაქვს,—უთხრა ზერტელმა,—აბა, ხომ იცი, ჯერ სულ ზერტელ კაცს კუდიანებს გვეძახიან და მერე მე ისეთი ვარ, რომ მკვდარს სამარის კარამდე მივყვები და ჩემ ვალს კი არ შევარჩენო.

როცა მუშაობა გაათავეს და ფულებს დაუწყეს გაყოფა, ზერტელმა უთხრა კირბალელს:—ახლა ხომ გაქვს, აიღე და მომეცი ჩემი ორი შაურიო.

— კაცო, ახლა ხომ შენც ბევრი გაქვს, არ გიჭირს, კვირას ამოდი და მოგცემო,—უთხრა კირბალელმა.

მართლაც, კვირას ავიდა ზერტელი კირბალელთან ორი შაურის სათხოვნელად. დაუკლა კირბალელმა ქათამი, სცა კაი პატივი და გაისტუმრა, ახლა არა მაქვს და მეორე კვირას ამოდიო.

ავიდა მეორე კვირასაც ზერტელი. მაშინაც კაი პატივი სცა და ორი შაური კი არ მისცა.

ასე რამდენიც შაბათ-კვირა მოვიდოდა, ავიდოდა ზერტელი და კირბალელიც პატივსა სცემდა.

ბოლოს, ქათმები რომ გამოელია კირბალელის ცოლს, მან ქმარს დაუწყო წყევლა:—შე დასაღუპაო, აიღე და თავში ახალე ი რაღაც ორი შაური გმართებს, ახლა რაღა უნდა დაუკლა? ხარსა და ძროხას ხომ ვერ დაჰკლავ?

— აბა რა ვუყო,—უთხრა ცოლს კირბალელმა,—ისე დავიტრაბახე, რომ ახლა მივცე ის ორი შაური, ჩემთვის სირცხვილია. მოდი, ისევ თავს მოვიმკვდარუნებ. შენ დაჯექ, გულხელი დაიკრიფე და რომ გკითხოს ჩემი, სად არისო, შენ უთხარ: „ხორველამ“ მოკლა-თქო.

ზერტელი რომ გამოჩნდა, კირბალელი გაიჭიმა, გაძაბა სულ ტყავი.

— დილა მშვიდობისა!—მიესალმა ზერტელი კირბალელის ცოლსა.

— მშვიდობა ნუ მოგეშალოთ!—უპასუხა კვნესით მოვალეს ცოლმა.

— რას დაღონებულხარ, სად არის ჩემი ძმობილი?

— ე რაღა სად არის, გენაცვალეთ, „ხორველა“ შეხვდა და შენი ჭირი წაიღო.

— უჰ, უჰ! რა უბედურება დაჰმართნია! აბა, ვინ გიგდებს ყურსა, თუ ისევ მე არ მოვუარე; ხომ იცი, ქვეყანა მოგერიდებათ, „ხორველამ“ მოკლაო.

ატყობს ზერტელი, საქმე როგორც არის.

— ფიცრები მომიტანე, კუბოს შევუკრავ, ჩავაწვენ და გავასვენებ; აბა, აქ ხომ არ იქნება?—ეუბნება ზერტელი.

მოატანინა ფიცრები, შეუკრა კუბო, ჩააწვინა შიგა, მოსდო თოკი, მოიკიდა და სასაფლაოზე წაიღო, თვითონაც იქ ახლო დაიძალა.

დაღამდა კიდეც. იმ მხარეში ამ დროს ყაჩაღობა იყო გავრცელებული და თურმე იქვე აქვთ ბინა, ნაძარცვსაც იქ იყოფენ.

ახლაც მოვიდნენ ეს ყაჩაღები და მოიტანეს ერთი პარკი ოქრო და ვერცხლის ფული. ფული სამად გაყვეს, სამ ალაგას დააგროვეს; ახლა ერთი კაი ხმალიც წამოუღიათ და ისა აქვთ გასაყოფი.

— მოდი, - სთქვა ერთმა, ვინც ამ მკვდარს ერთი დაკვრით თავი მოაგდებინოს, ეს ხმალი იმას დარჩეს.

— არა,—უთხრა მეორემ,—ვინც ერთი დაკვრით შუაზე გააპოს, ხმალი იმას დარჩესო.

— არა, ვინც ორივე ფეხი ერთი დაკვრით მოაგდებინოს, იმისი იყოს ხმალიო,—სთქვა მესამემ.

ისეთია კირბალელი, სულ თახთახი გააქვს: ან ახლა დამარტყამენ ხმალს და ან ახლაო. სძლო, სძლო და ბოლოს წამოიწია და დაიძახა:—ადექით, ძველო და ახალო მკვდრებო! ერთი ეს ყაჩაღები დავიჭიროთო!

ასეთებია ეს ქურდები, შეშინებულნი! გაანებეს ფულს თავი და გულგახეთქილებმა მოცხრილეს.

მივიდა ზერტელი. ის ფული სულ ამათ დარჩათ. ფული რომ გაიყვეს, ზერტელმა უთხრა:—კაცო, ახლა მაინც მომეცი ჩემი ორი შაურიო!

კირბალელი კიდევ არ აძლევს, აქვთ ერთი ამბავი.

ქურდებს კიდევ კაცი გამოუგზავნიათ: აბა, წადი, ნახე, მართლა ადგნენ ძველი და ახალი მკვდრები, თუ ჩვენ მოგვეჩვენაო?!

რომ მოვიდა კაცი, წამოხტა კირბალელი, სწვდა ამ კაცს ქუდში, მოხადა და გადაუგდო ზერტელს:—აჰა, შენს ორ შაურში, არც ახლა დამეხსნებიო?!

გარბის გულგახეთქილი ქურდი. მივიდა ამხანაგებთან ქაქანით:—იმოდენა მკვდარი ამდგარა, რომ თითოს ორ-ორი შაური ძლივს შეჰხვედრია და იმაზედაც ლამის ერთმანეთი დაჭამონ, მეც ქუდი წამართვეს და ძლივს გამოვასწარიო.

აგრე გათავდა კირბალელისა და ზერტელის მართებულობის საქმე.

ჭირი იქა, ლხინი აქა,
ქატო იქა, ფქვილი აქა.



ROSTOMI

როსტომს კბილი სტკიოდა. მიწა მიწად არ ეჩვენებოდა და ცა ცად. მოავლებდა ხელს კოჭლ დევს და ხან აქეთ უკრავდა თავს და ხან იქით.

— ჩემზე რა ბიჭობას იჩენ, გმირო როსტომ, მიპოვე ერთი კოჭლი და ხან რას მიშვრები და ხან რასა,—უთხრა კოჭლმა დევმა,—თუ სახელი გინდა და თავის გამოჩენა, წადი იმ დაბურულ ხევში, იქ შეგხვდება საფერი და ხმალი იქ იხმარეო.

როსტომს შერცხვა. აიღო ლახტი და ხმალი და გასწია ხევისკენ, საითკენაც კოჭლმა დევმა გაასწავლა.

კარგა გზა გაიარა როსტომმა და მიადგა ერთ კლდეს. ისეთი მაღალი კლდე იყო, რომ თვალი ვერ შესწვდებოდა იმის წვერს. კლდეს დროდადრო სისხლი ჩამოსდიოდა. როსტომმა აიხედა ზევით და შენიშნა კლდეში გამოქვაბული.

რაღა ჩემი გმირობა იქნება, თუ იქ არ ავალო,—გაიფიქრა როსტომმა. მოგლიჯა ერთი ჭადარი, მიაყუდა კლდეზე, მოგლიჯა სხვა, ავიდა ზევით და იქ მიაყუდა.

როსტომმა თავის სიმაგრით მუხა მოგლიჯა ძირითა,
ხელი გაუსო, გალოპრა, გასტყორცნა ჯირითივითა.

როსტომმა ახლა სხვა ჭადრები მიაყუდა, ვიდრემდე იმათი წვერი გამოქვაბულს არ ასწვდა. როსტომი ავიდა ამ ჭადრებზე, შეიხედა ეხში და ერთი უზარმაზარი არაბი დაინახა. არაბს ეძინა, მუხლების შუაზე ხანჯალი ერჭო. როდესაც ჩასთვლემდა არაბს, დაჰხრიდა თავს და შუბლს დაჰკრავდა ხანჯლის წვერს. იმის სისხლი ჟონავდა კლდეში. ამ დროს გამოიღვიძებდა ხოლმე არაბი და გაიხედავდა აღმოსავლეთისაკენ.

როსტომი ცოტა შეკრთა, მაგრამ უკან დაბრუნება აღარ შეიძლებოდა. სირცხვილი იყო ვაჟკაცისათვის: რას იტყოდა ხალხი. როსტომმა იფიქრა: მაინც ხომ არაფერი გამოვა, მაგასთან და ისევ ვეძმობიო.

როსტომი მიუახლოვდა არაბს და დაუძახა:

— ძმაო, მაგრე რადა შვრები?

არაბმა აახილა თვალები და უთხრა:

— ბედი შენი, რომ ძმობა მითხარ, თორემ მე გაყურებინებდი შენ სეირსა. მოდი, დაჯექ ჩემთან, ყველაფერს გიამბობ. ვინა ხარ?—ჰკითხა არაბმა.

— როსტომი!

— შენა გაქვს დიდი ხმა? – ჰკითხა არაბმა.

— მე მაქვს,— მიუგო როსტომმა.

არაბმა დაიწყო:— აღმოსავლეთისაკენ იმისათვის ვიხედები, რომ იქიდან წითელი არაბი ამოვა წითელი ზღვიდან და ერთ მზესავით ქალს ამოიყვანს. მე წინ უნდა დავხვდე, რადგანაც ჩემი კლდის წინ გამოატარებს. მე რომ წინ დავუხვდები, ვიომებთ და რომელიც დავძლევთ, ქალიც იმას დარჩება. სამი დღე და ღამე უძილო ვარ; რომ არ დამეძინოს და წითელმა არაბმა ის ქალი არ გამაცილოს, ხანჯალი დავიყუდე მუხლებშუა და როდესაც ჩამთვლემს, ხანჯალს დავკრავ შუბლს და გამომეღვიძებაო.

— შენ დაიძინე და მე ვუყარაულებ,—უთხრა როსტომმა, —როდესაც წითელი არაბი ქალს ამოაჩენს, გაგაღვიძებო.

— შენ მე ვერ გამაღვიძებ,—უთხრა არაბმა,—რამდენიც უნდა იყვირო, სანამ ფეხისგულში ხანჯალს არ ჩამცემო.

არაბმა დაიძინა და როსტომმა ყარაულობა დაუწყო.

დიდხანს არ მოუნდა როსტომს ლოდინი. მალე განათდა აღმოსავლეთი, გამოჩნდა წითელი არაბი, მოჰყავს ქალი.

როსტომმა ბევრი უყვირა არაბს, მაგრამ ვერ გააღვიძა. ბოლოს ხანჯალი მოაგონდა, წასცა არაბს ფეხისგულში და გააღვიძა.

— მეც გიშველი,—უთხრა როსტომმა,—წითელ არაბთან ომშიო.

— მაშ ჩადი,—უთხრა შავმა არაბმა,—ძირს რომ მინდორია, იქ ვიომებთ; ამოთხარე იქ ორმო და იმაში ჩაჯექ, თორემ ომის დროს ჩვენი ფეხის ქარი მოგიტაცებს. თუ შემატყო, რომ წითელი არაბი მიპირებს მორევნას, ამოფრინდი ორმოდან და დასჭყიტე, წითელ არაბს მუხლი მოეჭრება და ხელს დავრევო.

როსტომი ჩავიდა ძირს და დაიმალა ისე, როგორც არაბმა ასწავლა.

მალე მოფრინდა წითელი არაბიც ქალით. გამოეგება შავი არაბი. ჩახტნენ მინდორზე და შეექმნათ ბრძოლა. დიდხანს იომეს, იმათი ფეხის ქარი შოლტავდა ტყეს და ლერწამივით აკრავდა მიწის პირს.

ბოლოს წითელმა არაბმა დასძალა. ამ დროს ამოხტა როსტომი ორმოდან და დასჭყიტა არაბს:—დაჰკარ, შავო არაბო, როსტომიც მოგეშველებაო!

როსტომს ცის ქუხილივით ხმა ჰქონდა, როცა უნდა დაეყვირა, თავზე ერთი რკინის სალტე ჰქონდა, იმას ჩამოიცვამდა ხოლმე, რომ თავი არ გამისკდესო.

იჭყიტ-იკივლის როსტომმა,
გაჰკივლ-გაჰქუხის ხეთამდე;
ტოტით დათხარნის მიწანი,
გადაიყარის ზეცამდე!

წითელ არაბს მუხლი მოეჭრა. შავმა არაბმა დარია ხე-

ლი და მოკლა. ქალი შავ არაბს დარჩა. როსტომიც არაბთან იყო და ემსახურებოდა.

როსტომი დაღონდა, თავისთვის სთქვა:—სახელოვანი ვაჟკაცი წამოვსულვარ სახელის საშოვნელად და მე აქ მავ არაბს ვემსახურები. დახეთ ჩემ ლაჩრობას და სირცხვილსა. განა დედაკაცები შინ არ შემძენდნენ, რომ იმისთვის აქ არ წამოვსულიყავი და არაბისაგან თავზე სირცხვილი არ დამედო. მოდი, მაგას მოვკლავ, სირცხვილსაც ჩავრეცხ და ქალიც მე დამრჩებაო.—გადაწყვიტა როსტომმა და შეუდგა ასრულებასაც.

არაბს ეძინა. როსტომი მისწვდა იმის ხმალს, მაგრამ ვერ შესძრა, ისეთი დიდი იყო. ბოლოს ამოიღო თავისი ხმალი და გააზმანა არაბს კისერზე, მაგრამ ხმალი ნახევრობამდენაც ძლივს გასწვდა კისერს.

ამ ხმლით მე არაბს თავს ვერ მოვჭრიო, იფიქრა როსტომმა და აი რა მოიგონა: მივიდა, არაბს ფეხები ერთად გადაუწყო ზედიზედ, დაჭკრა ხმალი და დააჭრა ფეხები.

ისკუპა როსტომმა და ამოეფარა კლდეს, წამოვარდა არაბი, მაგრამ ფეხზე ვეღარ დაეყუდა, მოავლო თავის ფეხს ხელი არაბმა, გასტყორცნა და გაატანინა ხეები.

შეუვარდა როსტომი არაბს და აკაფა ხმლით. როსტომს უნდოდა ქალის წაყვანა, მაგრამ გაუვარდა ქალი და გაექცა. ერთხელ კი დაუძახა ქალმა:—შენ ცოლად როგორ დაგიჯდები, არაბის ღალატით მომკვლელს. შენ რომ ისე მოგეკლა შავი არაბი, როგორც იმან მოკლა წითელი, ცოლად მაში გამოგყვებოდიო.

— ნახევარი მაშინაც ჩემი იყავიო,—მიაძახა როსტომმა და გამოუდგა ქალს კვალზე.

ქალი გაფრინდა მთის ნიავივით და გაიჭრა ტრიალ მინდორზე.

როსტომს შერცხვა. დაღონდა გმირი: ქალი გაექცა.

როსტომმა არ იცოდა, რა ექნა. ისარი ესროლა ქალისთვის და მოეკლა, სირცხვილი იყო. ქალზე მახვილს როგორ იხმარებდა ვაჟკაცი. არ მოჰკლავდა და იტყოდნენ: ქალმა აჯობაო.

მინდორს როსტომისაკენ მთა ჰქონდა; ეს მთა ხელისგულივით დაჰხედავდა იმ ტრიალ მინდორს.

აირბინა როსტომმა მთაზე და იქიდან დაჰქუხა ქალს. ქალს გული წაუვიდა და დაბლა მიესვენა; მალე როსტომიც მიიჭრა ქალთან...

ადგა როსტომი და უთხრა ქალს:—ვიცი, შვილი გაგიჩნდება. თუ ქალია, შენთან იყოს, თუ ვაჟია, ეს ნიშანი დააკერე მხარზე და ისე იაროსო.

მისცა ნიშანი და გაერიდა დედაკაცს. ამის შემდეგ შესძულდა როსტომს დედაკაცები. როსტომს სძულდა აგრეთვე შავი მატყლი. როსტომისათვის ქალი და სიკვდილი ერთი იყო.

როსტომმ სთქვა ჭკვა დიაცისა
არც მომწონ, არც მეკეთება,
ვაჟკაცს დიაცის მიმყოლსა,
სამარეც დაეკვეთება.

როსტომმ სთქვა: იმ მთას, ამ მთასა,
ხელს მოვკრავ, ერთად თავს ვუზამ;
თორმეტ ლიტრასა რკინასა
კბილს მოვუჭირებ, კნაწს ვუზამ;

ალაზანსა და იორსა
დავაყენებ და ყლაპს ვუზამ;
თავაღებულსა დიაცსა
გავუშვებ, ვეღარას ვუზამ.

როსტომის სიტყვა ასრულდა; ქალს გაუჩნდა ვაჟი, რომელსაც ზურაბი დაარქვა. ზურაბი ექვსი თვისა ისეთი ღონიერი იყო, რომ ბავშვებთან თამაშობის დროს მოუჭერდა კოჭებს ხელს და ამტვრევდა.

ერთხელ ბალღებმა გააჯავრეს ზურაბი. ერთი ბავშვი ატირა. ტოლებმა უთხრეს, თუ ღონიერი ხარ, მამა რომ დაგეკარგა, ის მოძებნე და იპოვე, ჩვენზე რა ბიჭობას იჩენო.

ზურაბს ეს ეწყინა. წავიდა დედასთან.

— უნდა მითხრა, ვინ იყო მამაჩემიო.

დედამ ყველაფერი უამბო.

მაშინ ზურაბმა აიღო საომარი იარაღი, ჩაიცვა ჯაჭვი და გასწია მამის საძებნელად.

დედამ იფიქრა: მოდი, გამოვცდი ჩემ შვილს, შეუძლიან მტრის დახვედრა, თუ ვერაო.

ჩაიცვა ვაჟკაცურად, შეიკეცა ქუდში თმა, აისხა აბჯარი, შეჯდა ცხენზე და გადმოუხტა ზურაბსა:

— დაყარე იარაღი და დამნებდი!—დაუყვირა ქალმა ზურაბს და ცხენი ზედ მიაგდო.

მოტრიალდა ზურაბი, ჰკრა ცხენს შუბი და ჰაერში აიტაცა. ქალს თავიდან ქუდი გადმოუვარდა, თმა ჩამოეშალა მხრებზე. ზურაბმა იცნო დედა. ხურომანი (ასე ერქვა ზურაბის დედას) გადაეხვია ზურაბს და დაუწყო კოცნა.

ზურაბმა სთქვა:

შავი ტყიდან გამოვიდა
ვაჟიკაცი გულოვანი;
ცხენსა იჯდა ნიავ-ქარსა,
აქროლებდა, როგორც ზღვანი,
ცხენსა შუბი დავუტაკე,
ავიტაცე, როგორც ქარი,
წყაზარეთი შეეკეცნა—
საყვარელნი გიშრის თმანი,
იმის მეტი ვეღარა სთქვა:
„მე ვარ შენი ხურომანი!“

დედამ დალოცა ზურაბი, მამის ნიშანი მხარზე დააკერა და გაისტუმრა როსტომის საძებნელად.

ბევრი სიარულის შემდეგ ზურაბი ერთ ქალაქში მოვიდა, ქალაქის კარებთან ერთი ბერიკაცი შეხვდა, რომელმაც მაშინვე იცნო როსტომის ნიშანი ზურაბის მხარზე. ბერიკაცმა იფიქრა: როსტომმა ისეც აგვაოხრა და ახლა, შვილი რომ მოუვა, ხომ აგვყრის ამ ქალაქიდანაო. მოდი ერთმანერთს დავახოცინებ და მაშინ ჩვენც მოვისვენებთო!

ბერიკაცმა უთხრა ზურაბსა:—ქალი ხომ არა ხარ, რომ

მხარზე რაღაცა დაგიკერებია? დაგცინებენ, აიხსენ, შეინახე ისე, რომ არა ჩანდესო.

ზურაბმა დაუჯერა ცბიერ ბერიკაცს და მამის ნიშანი იღლიის ქვეშ შეინახა. ბერიკაცმა ქალაქელებს შეატყობინა, რომ როსტომის შვილი არის აქა, ერთმანეთი რომ იცნონ, აგვიკლებენ, და მოდით ისე მოვახერხოთ, ერთმანეთი როგორმე დავახოცინოთო.

წავიდნენ როსტომთან და უთხრეს, რომ ქალაქში ერთი გმირი მოსულა და საჭიდაოდ გითხოვსო. როსტომმა უთხრა: მაშ კარგი, წავალ, ჯერ დავზვერავ, რა ვაჟკაცია, გავიგებ და მერე დავეჭიდებიო.

როსტომი მივიდა და, სადაც ზურაბი იყო, იმ სახლში ბანიდან ჩაიხედა.

ზურაბმა დაინახა და დაუძახა:

რას იჭვრიტები ბანითა!
რად არ მოსდიხარ კარითა?

როსტომი რას იცნობს, თუ იმისი შვილია. წამოვიდა და ქალაქელებს უთხრა: ხვალ შევებმი თქვენს გმირსაო. ზურაბი მოსწონებოდა, ხალხს უთხრა:

ზურაბ იჯდა, კოშკსა ჰგვანდა,
ირგვლივ ევლო გალავანი,
მარჯვნივ ეგდო ავგაროზი,
მარცხნივ იყო ფალავანი.

მეორე დღეს ზურაბთან კაცი გაგზავნეს, რომ ჩვენს გმირს უნდა დაეჭიდოო. ზურაბი დათანხმდა.

— ადე, ზურაბ, მოიკაზმე,
ტანთ ჩაიცვი საომარი!
— წამოდექით, ირანელნო,
ვინ ხართ უფრო ფალავანი?
ნუ იკვეხით ფალავნობას,
თუ არა გაქვთ ბეჭი პრტყელი,

თუ არ იცით, მე გასწავლით,
თუ კი მოგავლევით ხელი.

ზურაბმა რომ როსტომი დაინახა, ცოტა ეჭვი შეეპარა: დედის ნათქვამი ნიშანი, რომ მამაშენს კარიანი კბილები აქვს, ბეჭშია წახრილი და მარცხენა ფეხს ათამაშებს, როცა ცხენზე ზისო, ენიშნა; როსტომს უთხრა:

ბერიკაცო, ჩამომეხსენ,
გული რასღაც მეყოყმება,—
მე დედეურთა ნიშანი,
ეგ ნიშანი მენიშნება:
კბილს კარი და ბეჭთა წახრა
მამეულთა მემსგავსება.

როსტომი ეტყვის:

არცა ვარ როსტომიანი,
არცა იმათი გვარისა,
ვარ ერთი თურქი მოლაშქრე,
მომკვლელი უზანფარისა.
ბატონის გამოგზავნილი,
ვარჯილო ცხენოსანისა.
აქ ფალავნისა მომკვლელი,
დამლევი მუჭა სისხლისა.

შვილი ეტყვის:

ეგ რა მითხარ, ბერიკაცო,
დამიკოდე წყლული გული,
ნეტავი კი არ მენახე,
შინვე დაგელია სული!

ზურაბს არ უნდოდა დასჭიდებოდა როსტომს, როსტომმა არა ქნა. დაეჭიდნენ და ზურაბმა წააქცია. დაბრუნდა ქალაქში შერცხვენილი როსტომი, ხალხს უთხრა: ნუ გეში-

ნიანთ, ჯერ მაგის გულზე ვარდი არ აყვავებულაო,—ვითომ ჯერ ქალი არ უნახია და გამოუცდელიაო.

როსტომი ქაქაოზ მეფეს ეტყვის:

ერთი ჭაბუკი მოსულა,
ყველა მტრისათვის მახია.
ომშიაც ვნახე, ლახტშიაც,
ყველა იმასთან ჩატია.
იმისი ფეხის ნადგამი
სამარის კარსა გვანდია!

ქაქაოზ მეფეს ძალიან შეეშინდა. რაკი ეს ფალავანი წამიქცია, აქ აღარ მედგომებაო. ბარგი ააბარგა და წასვლა დააპირა.

როსტომმა უთხრა:

ქაქაოზ, ბარგი აქ დადე,
სადაც რომ უწინ გდებია:
იმ ფალავნისა სიკვდილი
ახლო მე მისაზრებია,
შხამში გავლესე ხანჯალი,
ჩექმაში ჩასადებია...

იმ ღამეს როსტომს არა სძინებია. ლესა და ლესა შხამში ხანჯალი. დამალა და მეორე დღეს კიდევ გამოითხოვა ზურაბი.

ზურაბს კიდევ არ უნდოდა დაჭიდება. გული ეუბნებოდა, რომ მამა არისო. როსტომმა გამოითხოვა: გუშინ გუნებაზე არ ვიყავ და დღეს გნახავო.

ზურაბმა კიდევ ისე უთხრა, როგორც გუშინ.

როსტომი არ მოეშვა:

ჩვენში ასეთი წესია,
ფეტვი ადგილზე სთესია,
ფალავანი ფალავანსა
ერთხელ დასცემს, აუშვებსო,

თუ მეორედ წააქცია,
ცოცხალს აღარ გაუშვებსო.

დაეჭიდნენ. ზურაბმა ისევ წააქცია. მაშინ ძირიდან ამოიღო ჩუმად ხანჯალი როსტომმა და მუცელში ჩასცა ზურაბსა.

ზურაბმა უთხრა:

შე ბერიკაცო, რად მომკალ?
ხმალი რად დამეც ვადამდე?
შენ მამაჩემსა როსტომსა
საით წაუხვალ სადამდე?
ზღვას გახვალ, იქ გამოგყვება,
ქვესკნელს ვერ დაემალები.
გერჩივნა ცას წასულიყავ,
ვარსკვლავთა ჭკუა აგეღო,
ხმელეთი საჭვრეტლად გქონდეს,
მიწა სურვილად წაგეღო.
ცოდვას მოინანიებდი,
თავი ძირს აღარ დაგეღო!

ის თქვენმა მტერმა იხადოს, რაც როსტომმა იხადა თავის სახელის გაგონებით!

— შე, კარგი დიაცის შვილო,
ნიშანი სად გაკერია?
— მხარს მეკრა, ზრახვით შევიხსენ,
აი არწივის კვერია!

უთხრა ზურაბმა, აიწია მხარი და იღლიის ქვეშ დაკერებული ნიშანი აჩვენა.

ასწია გმირისა მკლავსა,
ელვანი იყვნენ ცისანი,
აიღო და შამოიკრა
დიდი ნატეხი ქვისანი:
— ვაიმე, შვილო ზურაბო,

შენ მოგეც დანა სრეული.
რისთვის გაგზარდა დედამ,
სული ჩაგიდგა წყეული?!
მე მოგკალ, შვილო ზურაბო,
დავრჩი უშტოვო ხე ვითა!
ვაიმე, შვილო ზურაბო!
ათრთოლდი ფურცელივითა,
მიწას დაეცი რევითა.

ზურაბმა უთხრა:

— შენ მამაჩემი არა ხარ,
არც როსტომიანთ გვარისა,
მოლაშქრე თურქი ჰყოფილხარ,
შვილი მოკალი თავისა!

გაგზავნა როსტომმა კაცი ქაქაოზ მეფესთან და შეუთვალა:

ჩემო ქაქაოზ მეფეო,
შენთვის შევებმი დევსაო,
წამალი გამამიგზანე,
ზურაბი მკიდავ ყელსაო.

ქაქაოზ მეფე მტერი იყო როსტომისა, უნდოდა იმისი თავიდან მოშორება, მაგრამ წამლის გაუგზავნელობაც არ იქნებოდა, როსტომი სამაგიეროს გადაუხდიდა. მერე ასე მოახერხა: ერთ გიჟ დიაკვანს გაატანა და უთხრა: როსტომთან რო მიხვიდე, წამოჰკარ ფეხი და დააქციე, მაშინ რაღას გვიზამსო?

წამალი გამოუგზავნა
გიჟი დიაკვნის ხელითა.
ფეხი წამოჰკრა, დაღვარა,
აივსო იმის ცოდვითა.

შემოჰკრა ხმალი დიაკვანს როსტომმა და შუაზე გასხიპა.

როსტომ თქვა: სიბერკაცითა
სიტყვა სათქმელად გაჭირდა,
სადაც რომ ომი გაჭირდა,
შეშა ხმალივით გასჭრიდა.
წადი და ჰკითხე დიაკვანს,
თუ ჩემი ხმალი არ სჭრიდა!

ზურაბმა დალია სული. წამოხტა გაცოფებული როსტომი და გაექანა ქაქაოზ მეფესთან. ქაქაოზ მეფეს ორი შვილი ჰყავდა, შეუხტა როსტომი, წაგლიჯა იმის შვილებს ქათმებივით თავები და დაუყარა წინა:. აბა შვილის სიკვდილი თუ კარგია, იწვნიეო!

მერე გაიქცა როსტომი და ჩავარდა ზღვაში, უნდა თავი დაეხრჩო. მაგრამ ზღვამ პირი შეიკრა და აღარ ჩაუშვა ძირსა. იყო შიგ როსტომი, არც იხრჩობოდა და არც ნაპირზე გამოდიოდა.

მოქალაქეებმა სთქვეს: ვინც როსტომს გამოიყვანს ზღვიდან, ამდენსა და ამდენს მივცემთო.

ვერავინ ვერ გაბედა როსტომის ზღვიდან გამოყვანა. ბოლოს ერთმა ბებერმა სთქვა: თუ ცოცხალი დავრჩი, მაცხოვრეთ; თუ მოვკვდი და დამმარხეთ, როსტომს მე გამოვიყვანო!

ქალაქი დათანხმდა. წაიღო ბებერმა შავი მატყლი, მივიდა ზღვის პირზე როსტომის პირდაპირ და დაუწყო მატყლს რეცხა. როსტომს საშინლადა სძულდა დედაკაცი და შავი მატყლი. ითმინა, ითმინა როსტომმა, მერე გამოსწია ბებრისკენ განრისხებულმა. ბებერმა დაიძახა:

დიდება და მადლი ღმერთსა,
როსტომ გამოვიდა ზღვასა!
ცალსა ხელსა ზღვაში ურევს,
ცალით მოიქნევდა ხმალსა!

როსტომი მიუახლოვდა კიდეს და დაუყვირა ბებერსა:— შე სულელო ბებერო, შენა!

არ გათეთრდება ყორანი,
რაც უნდა ხეხო ქვიშითა!

ბებერმა გაიცინა და დაუძახა როსტომს:—შე რეგვენო როსტომო.

მკვდარი ვის გაუცოცხლებავ
ტირილითა და ვიშითა?!

როსტომმა ჩაავლო ფეხში ხელი ბებერს და ზღვაში გადისროლა. ამის შემდეგ აღარ შესულა ზღვაში როსტომი, დარჩა ხმელეთზე და ბევრი ლექსი გამოსთქვა თავის მწუხარებაზე.

როსტომ თქვა: დღენიმც კრულია
დაბადებისა ჩემისა!
სიყმე სიბერედ ვაქციე,
დღე ვერა ვნახე ლხენისა.
ვერ გავიხარე კისერი,
ულელი მედგა რკინისა!
სიბერე ძნელი ყოფილა,
შავი ქვა აეწონება,
დამჯდარი ვეღარ ადგება,
ყავარჯენს დაეღონება!

ს ა რ ჩ ე ვ ი

	გვ-
საწყალი კაცი	3
ფისოს ზღაპარი	7
მარგალიტის ცრემლი	15
ზღაპარი მონადირის და დიდი არწივისა	25
ბოქმის ყვავილი	33
ცეროდენა	43
სამი და	46
მუჭა-ნახევარა	53
სოვდაგარი და გლახა	56
ზღაპარი უხეიროსი	59
დათვი და მელია	73
მელია, მამალი, ბატკანი და ჩიტი	77
ნახევარწიწილას ამბავი	79
ზღაპარი ივანე ცისკრისა	81
სამი ქაჩალი	92
პური და ხვნა-თესვა	94
ქურდი და თული	96
ეშმაკის ლაგამი	100
მუხა-გლეჯია სიდედრისა და სიმამრისა	103
სოლომონ ბრძენი და ბერიკაცი	107
ამბავი მელიისა, თუ როგორ გადაარჩინა კაცი დათვსა	110
ხელმწიფის შვილისა და ხელმწიფის ამბავი	112
დედაბრის შვილი	114
მიწა თავისას მოითხოვს	127

სამი მტევანი ყურძნის ამბავი 132
გადმოცემა ალექსანდრე მაკედონელზე 137
ორი ცრუპენტელა 144
ბედნიერი 148
ნაცარქექია 156
ია ხათუნი 160
მელია და დათვი 167
კირბალელისა და ზერტელის ამბავი 172
როსტომი 176

———

ტექსტი დახაბეჭდად გაამზადა ანა ღვინიაშვილმა

Т. Разикашвили

НАРОДНЫЕ СКАЗКИ

(на грузинском языке)

Министерство Просвещения ГССР

ДЕТЮНИЗДАТ

Тбилиси — 1952

რედაქტორი — ზ. ჩიქოვანი, მხატვარი — ვლ. გუდიაშვილი, მხატვრული რედაქტორი — ეკ. ბაღდავაძე, ტექრედაქტორი — ქ. დემუროვა, კორექტორი — ნ. ჩირაძე, გამომშვები — ზ. მეძმარიაშვილი

გადაეცა წარმოებას VII/8-51 წ. ხელმოწერილია დასაბეჭდათ 9/V-52 წ. ნაბეჭდ ფორმ. რაოდ. 12. ანაწყობ. ზომა 5,5×9, ქაღ. ზომა 54×84, შეკვ. № 677, ტირ. 8000, უე 00983.

სტამბა № 3 საქპოლიგრაფგამომც. კომის ქ. № 68.